# სარბიელი

სპორტული გაზეთი პარასკევი 30 მაისი 2003 №98 (1869) ფასი 50 თეთრი




ბადრი კეთილაძის ფოტო

დღეს ივო შუშაკი საჩემპიონო მედალს დაიკიდებს

# დღეს დინამოს დღეობაა?





მურად [illegible] ფოტოები

დინამო — ბასკო, დრაჟენ ბრაიკოვიჩი — ნუგზარ კანდელაკი

ამ ჩვენი ეროვნული ჩემპიონატის შემყურეს გარიგებული თამაში როგორ გაგიკვირდება, მაგრამ დღეს, ჩემპიონატის ბოლო ტურში სრულიად უნიკალურ შემთხვევასთან გვაქვს საქმე: „სიონი" „დინამოსთან" წასაგებად სერიოზულად ემზადება და ბოლნისელი ფანებიც ამად მივლენ „ეროვნულზე" — ღმერთმა ნუ ქნას, ვინმე სიონელმა თავი გამოიდოს და „დინამოს" ქულები აწაპნოს, თავისივე გულშემატკივრებს ვერ გადაურჩება.

მთავარი კი ის გახლავთ, რომ „სიონი" წაგებაში არც ფულს ითხოვს და არც დინამოელები მისდგომიან კარზე სამი ქულის სათხოვნელად. „დინამოს" და „სიონის" უსიტყვო გარიგება ჩემპიონატის ცხრილმა და კალენდარმა იკისრეს.

ხდება ის, რაც ადრეც ვივარაუდეთ: „დინამომ" „სიონს" საქართველოს თასი მოუგო და ბოლნისელთათვის უეფას თასზე გასვლის ერთადერთი შანსი „დინამოს" ჩემპიონობაა. ანუ თასის მფლობელი და იმავდროულად ჩემპიონი — ჩემპიონთა ლიგაში, დამარცხებული ფინალისტი კი უეფას თასზე. ჰოდა, მოდი და დაძრახე „სიონი" იმისთვის, ევროპაში გაჭრა რომ მოსურვებია.

არც ეს შეუთანხმებია წინასწარ ვინმეს, მაგრამ შესაძლოა, დღეს ორი „დინამო" გაჩემპიონდეს. საფეხბურთო ჩემპიონატის კვალდაკვალ დღეს საკალათბურთო ჩემპიონატიც სრულდება. პლეი ოფის გადამწყვეტ, მეხუთე მატჩში კი „დინამო" და „ბასკო" ხვდებიან.

„ბასკოს" „სიონის" ამბავი არ სჭირს და თბილისში საომრად მოდის, მაგრამ ჩემპიონობას უფრო „დინამოს" უწინასწარმეტყველებენ.

ბოლოს კი, ამ ნახევრად სალაღობო ამბების მერე, სრულიად სერიოზულ საკითხს მივადგეთ: ორშაბათს საქართველოს ნაკრები საირლანდიო სამზადისს იწყებს. რუსების დამარცხებას სულ სხვა ფასი ჰქონდა, ირლანდიასთან თამაში კი საცხრილო ვითარებისთვის არის მეტისმეტად მნიშვნელოვანი.

გუშინ ივო შუშაკმა 22-კაციანი შემადგენლობა გამოაქვეყნა და სარეზერვოებიც მიათვალა. და ბოლოს მთავარიც — შუშაკს ირლანდიელთა სუსტი ადგილები კარგად შეუსწავლია და დუბლინში იმედიანად მიდის.

# ბოლნისმა დინამო დაიფიცა
# ფედერაციამ ზარაფხანა გაალო



„დინამო“ — „სიონის“ თამაშში გამარჯვებულს გამოცნობაც არ უნდა

ᲘᲥᲜᲔᲑ ძილის წინ ნათქვამი სიზმარივით გამოგვივიდეს, მაგრამ მაინც გავბედავთ და ვიტყვით — „დინამო“ ჩემპიონია, „ტორპედოს“ ვერცხლს ვერავინ შეეცილება, ხოლო ვეტერინართა მწვანე ჯვარი ბრინჯაოთი დაიფერება.

ეს რომ ასე იქნება, ამაში ფეხბურთის ფედერაციის გუშინდელმა გადაწყვეტილებამაც დაგვარწმუნა. იქაურმა საშეჯიბრო კომიტეტმა ჩემპიონისა და პრიზიორების დღესვე დაჯილდოება ჩაიფიქრა. საჩემპიონო თასს და ოქროს მედლებს „ეროვნულზე“ რომან შოთაძე და ანატოლი მილჩენკო მიაბრძანებენ, შოთა ხინჩაგაშვილი და გია ძამუკაშვილი ქუთაისში ვერცხლით დატვირთულები ჩავლენ, ხოლო ბადრი ქარქაშაძე და გელა კეტაშვილი ბრინჯაოს ფოთში წაიღებენ.

რა თქმა უნდა, ფედერაციაში არც გულთმისნები სხედან და არც რაღაც უკუღმართ გარიგებაზეა ლაპარაკი. უბრალოდ, ყველაფერი უნებლიედ, თავისთავად დალაგდა.

„დინამო“ რომ ჩემპიონია, ამაში თავად ბოლნისელთა განწყობამ დაგვარწმუნა, „სერიოზულად ვემზადებით, რათა წავაგოთ“ — ნახევრად ხუმრობით გამოგვიტყდა „სიონის“ ერთ-ერთი წარმომადგენელი. ბოლნისის გამგებელმა და კლუბის ერთ-ერთმა სულისჩამდგმელმა ზურაბ ჯაფარიძემ კი ეს გვითხრა: „ხვალ თბილისში მოვდივარ და თან ალა და ფანები მომყავს, „ეროვნულზე“ არნახული ქომაგობა უნდა გავაჩაღოთ, ოღონდ ამჯერად „დინამოს“ ვუგულშემატკივრებთ“.

ქვემოქართლელებისთვის საევროპო გზა სწორედ „დინამოს“ ჩემპიონობაზე გადის. მართალია, სხვაც ისეთი ფაქტი არ გვახსენდება, ვინმეს დამარცხება წინასწარ დაეგეგმოს და ამიტომ სიხარულით ცას სწეოდეს, მაგრამ ეს ის შემთხვევაა, როცა ბოლნისელებს ვერავინ უსაყვედურებს, სპორტული პრინციპი შინ რად დაგრჩათო.

ქუთაისში „ლოკომოტივმა“ სულ ვარსკვლავები რომ წყვიტოს ციდან, „ტორპედოს“ ვიცე-ჩემპიონობას მაინც არაფერი დაემუქრება. ყველაზე უკეთეს შემთხვევაში „ვიტ ჯორჯია“ შეიძლება ქულებით გაუთანაბრდეს ფრუიძის გუნდს, მაგრამ ვეტერინარები დასკვნით ეტაპზე რიონისპირელებს დაეჩაგვრინნენ და სასწაულის მოხდენის ბოლო შანსიც მოისპეს.

„ლოკომოტივმა“ გუშინ მოახერხა და 11 ფეხბურთელს თავი მოუყარა. დღეს ქუთაისში ექვსი ძირითადის და ხუთი ფარმკლუბელი მიემგზავრება. იმისთვის, რომ რიონისპირა ქალაქს კაცნაკლული არ ეწვეოდა, ლუის ცაკარიასი ხვეწნამუდარად გადაიქცა და აკაკი ჩხაიძეს მიხეილ სოსელიას შეწყალება გამოსთხოვა. გიორგი ლომაია, გიორგი ონიანი, ლაშა სალუქვაძე, რონ ონიანი, ზურაბ ძამსაშვილი, რატი თაყაიშვილი, რომან გოგინაშვილი, მურთაზ ბურნაძე, მიხეილ სოსელია, ლადო კობახიძე და ირაკლი სანიკიძე — ამ გუნდით უნდა ეთამაშოს ცაკარიასი „ტორპედოს“ და როგორ გგონიათ, ვინ მოიგებს?

ჰოდა, ახლა თავად განსაჯეთ, სწორად იქცევა თუ არა ფედერაცია, ჩემპიონის და პრიზიორების დაჯილდოება დღესვე რომ დაუჩქარებია. მართალია, ფეხბურთში ყველაფერი ხდება და ფარმკლუბელებით გაძლიერებულმა „ლოკომოტივმა“ შესაძლოა ქუთაისში იძალოს. ამას „ფაზისზე“ ვიტელთა მარცხიც თუ მოჰყვა, მაშინ შეფუცხუნება მოუწევს ფედერაციას. თუმცა ფოთის და ქუთაისის შორის არც ისე დიდი მანძილია და რაინგზელებს „ზესტაფაზე“ თუ ვერ მოუსწრეს, რიკოთზე მაინც დაეწევიან ბრინჯაოს, მაგრამ არა გგონია, სრულიად უმოტივაციო „კოლხეთთან“ „ვიტ ჯორჯიამ“ წააგოს.

ზესტაფონში ასე თუ ისე ყველაფერი გარკვეული კია, მაგრამ აუტსაიდერებში ისეთი ამბები ტრიალებს, რომ დანდობა გამორიცხულია. ზესტაფონური „მეტალურგი“ რახანია, უმაღლესი ლიგიდან გავარდა და, ალბათ, ბოლო ტურშიც მორიგ მატჩს წააგებს, რაც „ბათუმს“ ქვედივიზიონში გაპირველების შანსს მისცემს.

„გორდას“ და „მილანის“, საქმე კი მეტოქეებზე და ბეწვზე ჰკიდია. დღეს ორიდან ერთი უმაღლესში დარჩება, მეორეს კი გადათამაშებაში მოუწევს თავის გადარჩენა, სადაც პირველლიგელი „მეზეთა“ ელის. ფედერაციამ თამაშის ადრიანად დაიჭირა და გადათამაშების დრო და ადგილიც გუშინ გამოაცხადა. ქვეექვსეულში მეოთხე ადგილზე გასული და პირველი ლიგის მესამეადგილოსანი 4 ივნისს, ექვს საათზე „ეროვნულზე“ გაარკვევენ ურთიერთობას.

მანამდე დრო კიდევ არის და უმჯობესია, ისევ „გორდას“ და „მილანს“ მივუბრუნდეთ. რუსთაველებიც და წნორელებიც დღეს სტუმრად თამაშობენ, თანაც ისეთ მეტოქეებთან, დამარცხების შემთხვევაშიც რომ არაფერი ემუქრებათ. „მერანი-ოლიმპს“ და „დილას“ საამსეზონოდ საზრუნავი არ დარჩენიათ, თავი ქუდში აქვთ.

არ გაგვიკვირდება, დღეს „გორდამაც“ იმარჯვოს და „მილანმაც“. მაშინ ალადაშვილის გუნდი ზედიზედ მეორედ წავა გადათამაშებაში, „მილანი“ კი იქ დაბრუნდება, საიდანაც შარშან ამაღლდა.

„გორდას“ ფრე მხოლოდ მაშინ შველის, თუ „მილანმა“ წააგო. არადა, ეროვნული ჩემპიონატის ისტორიაში პირველად გავარდება ლიგიდან. კახელები კი მშველელად ჯერ ჯიქიელებს მიიჩნევენ, მერე კი გორში მოსაპოვებელ სამ ქულას.

**ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲙᲕᲐᲜᲢᲐᲚᲘᲐᲜᲘ**

| ᲑᲝᲛᲑᲐᲠᲓᲘᲠᲔᲑᲘ | |
|---|---|
| 25 - ᲘᲝᲜᲐᲜᲘᲫᲔ | *ტორპედო* |
| 20 - ᲛᲔᲚᲥᲐᲫᲔ | *ვიტ ჯორჯია* |
| 14 - ᲓᲐᲠᲐᲡᲔᲚᲘᲐ | *დინამო* |

## ᲘᲢᲐᲚᲘᲐ
**ᲡᲔᲠᲘᲐ A**
**ᲞᲚᲔᲘ ᲐᲣᲢᲘ. I ᲛᲐᲢᲩᲘ**

ᲠᲔᲯᲘᲜᲐ 0:0 ᲐᲢᲐᲚᲐᲜᲢᲐ

## ᲰᲝᲚᲐᲜᲓᲘᲐ
**ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲓᲘᲕᲘᲖᲘᲝᲜᲘ**
**XXXIV ᲢᲣᲠᲘ**

ᲖᲕᲝᲚᲔ 2:1 ᲒᲠᲐᲐᲤᲡᲮᲐᲞᲘ
ᲣᲢᲠᲔᲮᲢᲘ 3:2 ᲢᲕᲔᲜᲢᲔ
ᲒᲠᲝᲜᲘᲜᲒᲔᲜᲘ 0:0 ᲞᲡᲕ ᲔᲘᲜᲓᲰᲝᲕᲔᲜᲘ
ᲕᲐᲚᲕᲐᲘᲙᲘ 0:1 ᲜᲐᲘᲛᲔᲒᲔᲜᲘ
ᲠᲝᲖᲔᲜᲓᲐᲚᲘ 1:2 ᲑᲠᲔᲓᲐ
ᲐᲘᲐᲥᲡᲘ 3:0 ᲰᲔᲠᲔᲜᲕᲔᲜᲘ
ᲐᲚᲙᲛᲐᲐᲠᲘ 3:1 ᲔᲥᲡᲔᲚᲡᲘᲝᲠᲘ
ᲤᲔᲘᲔᲜᲝᲝᲠᲓᲘ 3:1 ᲠᲝᲓᲐ
ᲕᲘᲢᲔᲡᲘ 2:0 ᲢᲘᲚᲑᲣᲠᲒᲘ

## ᲓᲐᲜᲘᲐ
**ᲗᲐᲡᲘᲡ ᲤᲘᲜᲐᲚᲘ**

ᲑᲠᲝᲜᲓᲑᲘᲣ 3:0 ᲛᲘᲓᲢᲘᲣᲚᲐᲜᲓᲘ

## ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲐ
**ᲛᲐᲥᲡᲑᲣᲜᲓᲔᲡᲚᲘᲒᲐ**
**XXXVI ᲢᲣᲠᲘ**

ᲐᲣᲡᲢᲠᲘᲐ 0:2 ᲑᲠᲔᲒᲔᲜᲪᲘ
ᲙᲔᲠᲜᲢᲔᲜᲘ 1:2 ᲒᲠᲐᲪᲔᲠᲘ
ᲠᲘᲓᲘ 0:3 ᲐᲓᲛᲘᲠᲐ
ᲖᲐᲚᲪᲑᲣᲠᲒᲘ 3:0 ᲞᲐᲨᲘᲜᲒᲘ
ᲨᲢᲣᲠᲛᲘ 0:1 ᲠᲐᲞᲘᲓᲘ

## ᲨᲕᲔᲘᲪᲐᲠᲘᲐ
**A/B ᲯᲒᲣᲤᲘ. XIV ᲢᲣᲠᲘ**

ᲕᲐᲓᲣᲪᲘ 4:0 ᲙᲠᲘᲜᲡᲘ
ᲚᲣᲪᲔᲠᲜᲘ 1:5 ᲡᲔᲜᲢ ᲒᲐᲚᲔᲜᲘ
ᲡᲘᲝᲜᲘ 3:1 ᲐᲐᲠᲐᲣ

## ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐ
**ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲚᲘᲒᲐ**
**XXVII ᲢᲣᲠᲘ**

Მ. ᲖᲐᲞᲝᲠᲝᲟᲘᲔ 0:3 ᲓᲘᲜᲐᲛᲝ
ᲨᲐᲮᲢᲐᲠᲘ 4:0 ᲙᲐᲠᲞᲐᲢᲘ

## ᲜᲝᲠᲕᲔᲒᲘᲐ
**VIII ᲢᲣᲠᲘ**

ᲢᲠᲝᲛᲡᲘᲝ 1:3 ᲡᲢᲐᲑᲔᲙᲘ
ᲝᲚᲔᲡᲣᲜᲓᲘ 2:2 ᲝᲓ ᲒᲠᲔᲜᲚᲐᲜᲓᲘ
ᲑᲠᲘᲜᲘ 4:0 ᲚᲘᲜᲘ
ᲑᲠᲐᲜᲘ 0:2 ᲑᲝᲓᲘᲝ ᲒᲚᲘᲛᲢᲘ
ᲕᲝᲚᲔᲠᲔᲜᲒᲐ 2:0 ᲛᲘᲝᲚᲓᲔ

## ᲤᲘᲜᲔᲗᲘ
**V ᲢᲣᲠᲘ**

ᲰᲘᲙ 1:0 ᲛᲘᲣᲞᲐ
ᲰᲐᲐᲛᲔᲜᲚᲘᲜᲐ 0:3 ᲐᲚᲘᲐᲜᲡᲘ
ᲘᲜᲢᲔᲠᲘ 1:1 ᲘᲐᲠᲝ
ᲙᲢᲞ 3:0 ᲯᲐᲖᲘ
ᲙᲣᲝᲞᲘᲝ 0:3 ᲰᲐᲙᲐ
ᲚᲐᲰᲢᲘ 0:1 ᲘᲝᲙᲔᲠᲘᲢᲘ
ᲢᲐᲛᲞᲔᲠᲔ 2:0 ᲢᲣᲠᲙᲣ

## ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ
**ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲐᲚᲚᲘᲒᲐ**
**ᲒᲐᲓᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲐᲢᲩᲘ**

ᲙᲐᲘᲖᲔᲠᲡᲚᲐᲣᲢᲔᲠᲜᲘ (Მ) 1:0 ᲖᲐᲐᲠᲑᲠᲘᲣᲙᲔᲜᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ 14 ᲚᲘᲒᲐ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲔᲢᲐᲞᲘ
# 10 ᲢᲣᲠᲘ
ანონსი

## I–VI ᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲘ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ. 30 მაისი. 18 საათი. ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
### ᲓᲘᲜᲐᲛᲝ — ᲡᲘᲝᲜᲘ
ᲛᲡᲐᲯᲔᲑᲘ: ზ. ანიაშვილი (გორი); ზ. ჟვარიძე, ი. აფციაური; ი.შალამბერიძე (სამივე თბილისი); ᲡᲤᲤ-ის ᲘᲜᲡᲞᲔᲥᲢᲝᲠᲘ: ა. მილჩენკო; ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ: რ. შოთაძე

ᲤᲝᲗᲘ. 30 მაისი. 18 საათი. ᲤᲐᲖᲘᲡᲘ
### ᲙᲝᲚᲮᲔᲗᲘ — ᲕᲘᲢ ᲯᲝᲠᲯᲘᲐ
ᲛᲡᲐᲯᲔᲑᲘ: ა. მეშკოვი; ზ. მენთეშაშვილი, ზ. ხუციშვილი (სამივე თბილისი); ჟ. ბუიშვილი (ჭიათურა); ᲡᲤᲤ-ის ᲘᲜᲡᲞᲔᲥᲢᲝᲠᲘ: ბ. ქარქაშაძე; ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ: გ. კეტაშვილი
ᲓᲘᲡᲙᲕᲐᲚᲘᲤᲘᲪᲘᲠᲔᲑᲣᲚᲜᲘ: მალანია (კოლხეთი), მუჯირი (ვიტ ჯორჯია)

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ. 30 მაისი. 18 საათი. ᲢᲝᲠᲞᲔᲓᲝ
### ᲢᲝᲠᲞᲔᲓᲝ — ᲚᲝᲙᲝᲛᲝᲢᲘᲕᲘ
ᲛᲡᲐᲯᲔᲑᲘ: კ. მესხი (ზუგდიდი); ა. სამხარაძე (სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); ი. კახიანი (თბილისი); ᲡᲤᲤ-ის ᲘᲜᲡᲞᲔᲥᲢᲝᲠᲘ: შ. ხინჩაგაშვილი; ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ: გ. ძამუკაშვილი
ᲓᲘᲡᲙᲕᲐᲚᲘᲤᲘᲪᲘᲠᲔᲑᲣᲚᲜᲘ: ბაბუნაშვილი (ტორპედო), სირაძე (ლოკომოტივი)

## VII–XII ᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲘ

ᲒᲝᲠᲘ. 30 მაისი. 18 საათი. ᲗᲔᲜᲒᲘᲖ ᲑᲣᲠᲯᲐᲜᲐᲫᲔ
### ᲓᲘᲚᲐ — ᲛᲘᲚᲐᲜᲘ
ᲛᲡᲐᲯᲔᲑᲘ: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); ლ. მიქელაძე (სამტრედია), ლ. სილაგავა; მ. მაისურაძე (ორივე თბილისი); ᲡᲤᲤ-ის ᲘᲜᲡᲞᲔᲥᲢᲝᲠᲘ: ო. გუნთაძე; ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ: ო. რუხაძე
ᲓᲘᲡᲙᲕᲐᲚᲘᲤᲘᲪᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ: გ. სომხიშვილი (დილა)

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ. 30 მაისი. 18 საათი. ᲘᲡᲐᲜᲘ
### ᲛᲔᲠᲐᲜᲘ-ᲝᲚᲘᲛᲞᲘ — ᲒᲝᲠᲓᲐ
ᲛᲡᲐᲯᲔᲑᲘ: ა. შალამბერიძე (ქუთაისი); გ. ჩიგოგიძე (სამტრედია), მ. ელიკაშვილი; მ. მალაღურაძე (ორივე თბილისი); ᲡᲤᲤ-ის ᲘᲜᲡᲞᲔᲥᲢᲝᲠᲘ: ი. მჭედლიშვილი; ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ: მ. ანჯაფარიძე

ᲖᲔᲡᲢᲐᲤᲝᲜᲘ. 30 მაისი. 18 საათი. ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ
### ᲛᲔᲢᲐᲚᲣᲠᲒᲘ — ᲑᲐᲗᲣᲛᲘ
ᲛᲡᲐᲯᲔᲑᲘ: ა. შილაკაძე (თბილისი); კ. გაბრიაძე, ნ. რუსიშვილი (ორივე ქუთაისი); დ. სანაია (სოხუმი) ᲡᲤᲤ-ის ᲘᲜᲡᲞᲔᲥᲢᲝᲠᲘ: ე. სილაგავა; ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ: მ. ქელიძე

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ᲓᲘᲜᲐᲛᲝ | 9 | 5 | 2 | 2 | 14:6 | 45 |
| ᲢᲝᲠᲞᲔᲓᲝ | 9 | 5 | 2 | 2 | 13:4 | 43 |
| ᲕᲘᲢ ᲯᲝᲠᲯᲘᲐ | 9 | 4 | 3 | 2 | 8:5 | 40 |
| ᲚᲝᲙᲝᲛᲝᲢᲘᲕᲘ | 9 | 4 | 1 | 4 | 15:8 | 38 |
| ᲡᲘᲝᲜᲘ | 9 | 2 | 2 | 5 | 8:17 | 23 |
| ᲙᲝᲚᲮᲔᲗᲘ | 9 | 0 | 4 | 5 | 3:21 | 19 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ᲛᲔᲠᲐᲜᲘ-ᲝᲚᲘᲛᲞᲘ | 9 | 4 | 3 | 2 | 15:4 | 27 |
| ᲓᲘᲚᲐ | 9 | 4 | 3 | 2 | 12:7 | 26 |
| ᲑᲐᲗᲣᲛᲘ | 9 | 4 | 3 | 2 | 8:5 | 25 |
| ᲒᲝᲠᲓᲐ | 9 | 4 | 3 | 2 | 7:3 | 22 |
| ᲛᲘᲚᲐᲜᲘ | 9 | 3 | 4 | 2 | 6:4 | 20 |
| *ᲛᲔᲢᲐᲚᲣᲠᲒᲘ* | *9* | *0* | *0* | *9* | *0:25* | *10* |



დღეს „ლოკომოტივს“ ქუთაისში დისკვალიფიცირებული დავით სირაძეც (მარჯვნივ) მოაკლდება

*11 ივნისს ირლანდია — საქართველოა, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის მეექვსე ტურის მატჩი. ჩვენების სტუმრობამდე ირლანდია 7 ივნისს ალბანელებს დაუხვდება, მეორე დღეს დაისვენებს და მომავალი შეხვედრისთვის მზადებას დაიწყებს. ქართველები კი დილომში, „დინამოს" საწვრთნელ ბაზაზე ორშაბათს შეიკრიბებიან. ერთ კვირას „ეროვნულზე" ივარჯიშებენ და დუბლინს 9 ივნისს ჩარტერული რეისით გაფრინდებიან.*

*გუშინ კი, როგორც წესი და რიგია, ირლანდიასთან მატჩამდე ორი კვირით ადრე, ეროვნული გუნდის თავკაცმა ივო შუშაკმა ის 22 ფეხბურთელი დაასახელა, რომლებიც ამ თამაშისთვის გამოიძახა და პრესკონფერენციაც გამართა*



მაშ ასე, შუშაკის რჩეულები

*მეკარეები:* გიორგი ლომაია („ლოკომოტივი"), დავით გვარამაძე („დინამო");
*მცველები:* ზურაბ ხიზანიშვილი („დანდი", შოტლანდია), კახა კალაძე („მილანი", იტალია), დავით კვირკველია, ოთარ ხიზანეიშვილი, გიორგი შაშიაშვილი, ალექსანდრე ამისულაშვილი (ყველა „დინამო");
*ნახევარმცველები:* გიორგი ქინქლაძე („დერბი", ინგლისი), გიორგი ნემსაძე („დანდი"), ლევან კობიაშვილი („შალკე", გერმანია), ვიტალი დარასელია, ლადო ბურდული (ორივე „დინამო"), ალექსანდრე რეხვიაშვილი („ტორპედო-მეტალურგი", რუსეთი), დავით სირაძე („ლოკომოტივი"), მალხაზ ასათიანი („ლოკომოტივი", მოსკოვი, რუსეთი), ლევან ცქიტიშვილი („ფრაიბურგი", გერმანია), გივი დიდავა („ქოჯაელი", თურქეთი);
*თავდამსხმელები:* რატი ალექსიძე („დინამო"), გიორგი დემეტრაძე („მეტალურგი", დონეცკი, უკრაინა), ალექსანდრე იაშვილი („ფრაიბურგი"), შოთა არველაძე („რეინჯერსი", შოტლანდია).

# შუშაკს კინლანდიის არ ეშინია

## ხორვატს ირლანდია ზედ წამწამზე უზის

**ამ ფეხბურთელების** გარდა მწვრთნელმა ექვსი სარეზერვოც ჩამოთვალა: მეკარე ირაკლი ზოიძე, ნახევარმცველები — ალეკო გოგობერიშვილი, შოთა ბაბუნაშვილი, ზურაბ მენთეშაშვილი, ლადო ახალაია და თავდამსხმელი ლევან მელქაძე საირლანდიოდ გაუთვალისწინებელი შემთხვევისას მოემზადებიან.

— ირლანდიასთან მატჩის შედეგი ჩვენთვის რუსებთან შეხვედრაზე მნიშვნელოვანია. რუსეთთან საქართველოს ნაკრებს მარტო ქულები არ ჰქონდა გასაყოფი, სხვა ფაქტორებიც იყო. ირლანდიასთან კი საქართველოს მხოლოდ საფეხბურთო საქმე აქვს და ამდენად, თუ დუბლინიდან ხელცარიელები არ დავბრუნდით, ეს ჩვენთვის ძალიან კარგი იქნება — თქვა ივო შუშაკმა — რუსეთთან მოგებამ საქართველოს ნაკრების ფეხბურთელებს საკუთარი თავის რწმენა დაუბრუნა, რაც სამომავლო მატჩებში წარმატებისთვის უმნიშვნელოვანესია. ირლანდიელებზე საკმაოდ მაქვს ინფორმაცია და ურთულესი თამაშისთვის ვემზადები. ვიცი, რა სიძნელეებიც გველის მოედნიდან დაწყებული ტრიბუნებით დამთავრებული, ამიტომაც გადავწყვიტეთ, რომ მომზადება 10 დღით ადრე დავიწყოთ. ნაკრები 2 ივნისს თერთმეტის ნახევარზე დიღმის ბაზაზე შეიკრიბება. თუმც სრული შემადგენლობა არ იქნება. 31 მაისს შოტლანდიის თასის ფინალია და სამმა ქართველმა უნდა ითამაშოს, ამავე დღეს იტალიაშიც თასის ფინალია და ალბათ კახა კალაძესაც შეაგვიანდება ჩამოსვლა.

სხვა თითქმის ყველა ქვეყანაში სეზონი დამთავრებულია. ფეხბურთელები გადაღლილები არიან და დიდი შანსია, ვინმე დაშავდეს. თუ ასე მოხდა, ტრავმირებულის ნაცვლად რომელიმე სარეზერვოს დავიხმართ. დღესდღეობით კი კობიაშვილსა და ცქიტიშვილს ფეხის ტკივილი აწუხებთ. ჩამოვლენ თუ არა ისინი შეკრებაზე, უახლოეს დღეებში გაირკვევა.

ფეხბურთელთა დატვირთვას მოვერიდებით, ირლანდიამდე ამხანაგური მატჩის ჩატარებას არ ვაპირებთ, მომქანცველი სეზონის მერე ბიჭებს ცოტა ამოსუნთქვა სჭირდებათ.

არ არის ნაკრები, სისუსტე არ ჰქონდეს. ირლანდიას საკმაოდ სიმპათიური გუნდი ჰყავს, თუმც ნაკლიც მოეძებნება. მათ მსოფლიოს ჩემპიონატზე კარგი თამაშით ბევრი ქომაგიც შეიძინეს და თბილისში მოგებაც ირლანდიელთა სიძლიერეზე მეტყველებს. ჩვენთვის მთავარი ისაა, რომ მეტოქეს არ ავყვეთ და ის ფეხბურთი ვითამაშოთ, რაც შეგვიძლია. გამოვიყენოთ ჩვენი უპირატესობა. უპირატესობა კი ზოგიერთ საფეხბურთო კომპონენტში ნამდვილად გვაქვს. ქართველმა ფეხბურთელებმა თავიანთი საუკეთესო თვისებები თუ გამოავლინეს, წარმატების შანსი ერთიორად გაგვეზრდება.

მართალია, დაუწერელი საფეხბურთო კანონია, რომ მოგებული შემადგენლობა არ იცვლება, მაგრამ ეს კლუბებზეა ნათქვამი, როცა კვირაში ორი თამაში გიწევს. ნაკრები კი სამ-ოთხ თვეში ერთხელ იკრიბება და მომდევნო მატჩისთვის ძველი შემადგენლობის შენარჩუნება პრაქტიკულად შეუძლებელია. აი, ახლაც აშვეთიამ რუსეთთან ბრწყინვალედ ითამაშა, მაგრამ მისი დახმარების იმედი ირლანდიასთან არ უნდა გვქონდეს — დისკვალიფიცირებულია.

ირლანდიური დაცვა შინ თამაშისას მეტოქის მოედნიდან იწყება. მასპინძლები ცდილობენ, ბურთი იქვე მოიპოვონ. დარწმუნებული ვარ, ახლაც ასე იქნება. ირლანდიელები საკუთარ ნახევარზე ისე მჭიდროდ აღარ ითამაშებენ, როგორც ეს თბილისში იყო. ამიტომაც ვეცდებით, ჩვენი კარის სიახლოვეს ბურთი არ დავაყოვნოთ და სწრაფად ავიტანოთ. ასეთ შემთხვევაში მასპინძლები სივრცეს ვეღარ შეავსებენ, ჩვენს ფეხბურთელებს კი ამის გამოყენება შეუძლიათ. წარმოიდგენია, როგორი თამაშიც იქნება, სწრაფი აზროვნება ბევრს გადაწყვეტს.

ხორვატიის ნაკრებმა საფრანგეთის მსოფლიოს ჩემპიონატზე ბრინჯაო რომ მოიპოვა, მას შემდეგ პირველივე მატჩი დუბლინში გვქონდა. ეიფორიაში ვიყავით და 0:3 დავმარცხდით. ეს იმიტომ გავიხსენე, რომ რუსებთან ჩვენი შეხვედრა უკვე ისტორიას ჩაბარდა და უნდა დავივიწყოთ.

ვინც ნაკრებში გამოძახებულია, ყველას აქვს სათამაშო პრაქტიკა და ვიცი, რომ სადღეისოდ ისინი კარგ ფორმაში არიან. დანარჩენს კი მაშინ გეტყვით, როცა შევიკრიბებით. ირლანდიასთან სათამაშოდ ვინ გამოგვადგება, ამას ვარჯიშებისას გავიგებ, დავაკვირდები ფეხბურთელებს და არჩევანსაც მერე გავაკეთებ.

ირლანდიის ნაკრებში ჩემთვის ყველა რობი კინია. რა მნიშვნელობა აქვს, თბილისური შეხვედრისგან განსხვავებით ირლანდიელებს კინი და ჰარტი რომ დაემატებიან. ისინი იქნებიან თუ არა, მთელი ძალითა და მონდომებით უნდა ვითამაშოთ და ვეცადოთ, მეტოქეზე ნაკლები შეცდომა დავუშვათ. ჯადოქარი არავინაა, ყველასთან შეიძლება თამაში. ჩვენი ფეხბურთელები არავისზე ნაკლებნი არ არიან.

რაც შეეხება ჩემს მომავალს ნაკრებში, ამაზე ჯერ არ ვფიქრობ. წინ ირლანდიაა. მწვრთნელის ბედის განსაზღვრა წინასწარ ძნელია. გავაგრძელებ თუ არა საქართველოს ნაკრებში მუშაობას, ამის თაობაზე ფედერაციის ხელმძღვანელებთან ჯერ არ მისაუბრია — ივო შუშაკმა „ბორჯომი" მოსვა, სიგარეტი გააბოლა და... დღეს თბილისის „დინამო" მისი მწვრთნელობით საქართველოს ჩემპიონის ტიტულს გაიფორმებს, ორშაბათიდან კი ხორვატისთვის მხოლოდ ჩვენი ეროვნული გუნდი იქნება.

**ქობა ინასარიძე**

# ახალგაზრდული არითმეტიკა

**გუშინ** საირლანდიო შეკრების ოცეული ახალგაზრდული ნაკრების ხელმძღვანელობამაც გამოამზეურა:

*მეკარეები:* ზურაბ მამალაძე („მილანი" წნორი), მანუჩარ ივარდავა („ლოკომოტივი");
*მცველები:* გიორგი ციმაკურიძე („სტალი", უკრაინა), გიორგი ბერიანიძე („ლოკომოტივი", ბელარუსი), ედიკ საჯაია („ტორპედო", რუსეთი), ლაშა სალუქვაძე („ლოკომოტივი"), ალექსანდრე ინწკირველი („ვიტ ჯორჯია"), ანზორ კალაძე („ურალანი", რუსეთი);
*ნახევარმცველები:* დავით გამეზარდაშვილი, რომან ახალკაცი (ორივე „ტორპედო"), გიორგი დეკანოსიძე („ფიურტი", გერმანია), გოჩა ხოჯავა, გიორგი ჭელიძე (ორივე „მერანი-ოლიმპი"), ლაშა რეხვიაშვილი („რუხი", პოლონეთი);
*თავდამსხმელები:* გაგა ჩხეტიანი („ტორპედო"), მიხეილ ბობოხიძე, ლადო ახალაია (ორივე „დინამო"), ირაკლი მოდებაძე („ზაპოროჟიე", უკრაინა).

შეკრება ოცდაერთწლამდელებს 3 ივნისს დაეწყებათ. რევაზ არველაძის ბიჭები სასტუმრო „მესაზღვრეში" დაბინავდებიან და „ნორჩი დინამოელის" მინდორზე ივარჯიშებენ.

ახალგაზრდული ნაკრები ეროვნულთან ერთად 9 ივნისს გაემგზავრება დუბლინში, მეორე დღეს კი მატჩი ელის ირლანდიელ თანატოლებთან.

ოცდაერთწლამდელები 18 ფეხბურთელით წავლენ ირლანდიაში — ეს ოცკაციანი სია გაიცხრილება და ვინძლო ოთხი ფეხბურთელითაც — დაუთმობს თუ არა ივო შუშაკი არველაძეს ალეკო ამისულაშვილსა და დავით სირაძეს, 7-8 ივნისს გადაწყდება.

**დავით თავართქილაძე**



*საქართველო – რუსეთის ხმაურიანმა მატჩმა მიხეილ აშვეთიას კარზე მსურველთა რიგი დააყენა. სხვადასხვა ქვეყნის კლუბები უკვე ხმამაღლა ამჟღავნებენ ქართველი თავდამსხმელის გადაბირების სურვილს. მიხეილ აშვეთიას შეძენას რუსული ფეხბურთის ლიდერი, მოსკოვის ცსკა რომ ცდილობს, უკვე იცით. ახლახან კი ჩვენებურს საბერძნეთიდანაც დაუკავშირდნენ.*

*სად გააგრძელებს ვლადიკავკაზის „სპარტაკ-ალანიაში" დანიური „კოპენჰაგენიდან" განათხოვრებული 25 წლის აშვეთია კარიერას? ამ კითხვაზე პასუხს თავად მისგან გაიგებთ, რომელსაც გუშინ შევეხმიანეთ*

# ვის ერგება მიხოს ხო?

## აშვეთიას ცემსკო: ოლიმპიაკოსი თუ გაზაევი?

**— გავიგეთ, რომ შენით ერთ-ერთი ბერძნული კლუბიც სერიოზულად დაინტერესდა...**

— დასამალი რა მაქვს, საბერძნეთიდან ამ დღეებში მართლაც დამიკავშირდნენ და იქ გადასვლა შემომთავაზეს. ევროპაში საკმაოდ ცნობილი კლუბია.

**— ევროპაში ცნობილი ბერძნული კლუბი ბევრი არაა...**

— არც „ოლიმპიაკოსი"?

**— როგორ ფიქრობ, სერიოზული წინადადებაა?**

— როგორც მითხრეს, „ოლიმპიაკოსი" საკმაოდ სერიოზულადაა ჩემით დაინტერესებული. მალე ყველაფერს გავარკვევ. ვარიანტების ნაკლებობას არც აქამდე ვუჩიოდი.

**— შენი აზრით, სად მოაწონე ბერძნებს თავი?**

— როგორც თავად მითხრეს, რუსეთის ნაკრებთან ჩემი თამაში მოსწონებიათ და ამის შემდეგ შეუგროვებიათ გარკვეული ინფორმაცია. ასე რომ, „ოლიმპიაკოსი" ნაღდად გამოსაყენებელი შანსია, მაგრამ...

**— მაგრამ?**

— ცსკა-ც არ უნდა დავივიწყოთ.

**— ამ ორ გუნდს შორის წინასწარი არჩევანი, ალბათ, გაკეთებული გაქვს...**

— ვფიქრობ, ჩემთვის მოსკოვში გადასვლა უფრო ხელსაყრელი იქნება.

**— რატომ?**

— რუსეთს უკვე შევეგუე. აქაური ცხოვრების სტილიც ავითვისე, გარემოც ნაცნობია. ალბათ, ცსკა-ში უფრო გამიადვილდება, ვიდრე „ოლიმპიაკოსში".

**— ცსკა-ს ასე თავდაჯერებით არ ახსენებდი. მოსკოვში შენს გადაბარგებას ალბათ ბევრიც არაფერი უკლია...**

— შეგიძლიათ, ასეც ჩათვალოთ.

**— მაინც როდის გაირკვევა სად გააგრძელებ კარიერას?**

— 1 ივნისს მოსკოვში მივემგზავრებით „ტორპედო-მეტალურგთან" სათამაშოდ. ალბათ იქვე დავრჩები და კლუბის ხელმძღვანელობას პირისპირ დაველაპარაკები. ერთი სიტყვით, 2-3 ივნისს ყველაფერს გავარკვევ.

**კახა შალამბერიძე**

# ამერიკა შორია

## ტყუპისცალი ოკეანეს გადმოუშვრენს


არჩილ არველაძე

**არჩილ არველაძე** ამერიკაში წინა კვირას გაემგზავრა და ამ უქმეებზე კიოლნში დაბრუნდება.

ტყუპისცალი მეიჯორ ლიგის დასავლეთ კონფერენციის გუნდ „დალასში“ იყო მიწვეული იქაურობის სანახავად და კლუბის მესვეურებთან მოსალაპარაკებლად. აჩიკომ „დალასში“ რამდენჯერმე ივარჯიშა კიდეც, მაგრამ ტრანსფერი არ შედგება.

როგორც ტყუპისცალმა გვითხრა, დალასელებმა მას ორწლინახევრიანი კონტრაქტი შესთავაზეს და მხოლოდ ასეთ შემთხვევაში დაუკმაყოფილებდნენ მოთხოვნებს, მაგრამ აჩიკოს არ სურს შინიდან ასე მოშორებით ორწლინახევრით ყოფნა.

**დავით თავართქილაძე**

# შეყილაძე ჰაერშია

## თავისუფალ ქართველს ორი კლუბი მოშორდა



**ბელგიაში** სეზონი დამთავრდა და გელა შეყილაძე უკლუბოდ დარჩა. ზამთარში „ლიერსიდან“ მეორე დივიზიონის მაჩანჩალა „რუზელარეში“ განათხოვრებული ჩვენებური ახლახან დაშორდა კლუბს. თანაც გელა შეყილაძეს „ლიერსთან“ კონტრაქტიც ამოეწურა და ახლა თავისუფალი აგენტია. ერთ დროს საქართველოს ნაკრების მცველის მომავალი ჯერჯერობით ბუნდოვანია. შეყილაძე კლუბს ეძებს და იმედი აქვს, რომ ივნისის ბოლომდე ამას შეძლებს კიდეც.

შეგახსენებთ, ჩვენებურს საქმეები „ლიერსში“ მთავარ მწვრთნელად ემილიო ფერერას მისვლის შემდეგ აერია. ქართველი ფეხბურთელი ჯერ ძირითად შემადგენლობას გაუუცხოვდა, მერე კი სარეზერვო გუნდში ამოყო თავი.

მალე შეყილაძის გადაბირება მეორე დივიზიონში დასარჩენად მებრძოლმა „რუზელარემ“ მოინდომა. „ლიერსი“ ქართველის მაისის ბოლომდე განათხოვრებას დათანხმდა, საწინააღმდეგო არც გელას ჰქონია და ტრანსფერიც გაიჩარხა.

„რუზელარეში“ 32 წლის შეყილაძეს ფეხის მოკიდება არ გასჭირვებია. სტაბილურად ძირითად შემადგენლობაში იყო, თუმც კლუბს გადარჩენაში მაინც ვერ შეეშველა — „რუზელარე“ უფრო დაბალ დივიზიონში დაქვეითდა. გელამ ამ კლუბში 23 მატჩში ითამაშა.

ახლა კი „რუზელარეში“ წმენდა დაიწყო, თუმც ეს შეყილაძეს არ ეხება — მას ხომ კონტრაქტი დაუმთავრდა და კლუბს თავად გაეცალა. ქართველი მცველის გარდა გუნდი კიდევ რვა ფეხბურთელმა დატოვა, აქედან ოთხი ლეგიონერი იყო.

სად გააგრძელებს შეყილაძე კარიერას, ჯერჯერობით გაურკვეველია. შესაძლოა, ის საქართველოშიც დაბრუნდეს.

**კახა ზალამბერიძე**

# შტელინი 30 პროცენტს ჯენტლმენურად ელის

*ალექსანდრ შტელინის განვრთნილმა ქუთაისის „ტორპედომ“ ზეექვსეულში ორჯერ მოუგო ივო შუშაკის „დინამოს“, მაგრამ უკრაინელი სპეციალისტი „ტორპედოს“ სეზონის დამთავრებამდე, 12 მაისს დაემშვიდობა.*

*ფაქტია, შტელინი „ტორპედოს“ ფინანსურმა პრობლემებმა გადაიყოლა, თორემ სხვა მიზეზი, უბრალოდ, არ არსებობს, შტელინის მომზადებული „ტორპედო“ კი ამ სეზონში ალბათ მეორე ადგილს დასჯერდება ჩემპიონატში.*

*უკრაინელს გუშინ ბელგიაში დავურეკეთ...*

**— ჯერჯერობით ისვენებთ და ახალ შემოთავაზებებს ელით?**

— ეგრეა, ვისვენებ, მაგრამ მალე სამუშაოზე გასვლა მომიწევს. შესაძლოა, ბელგიაში დავრჩე და რომელიმე გუნდი გავწვრთნა, თუმც არც ისაა გამორიცხული, რომ სამშობლოში ვიმუშაო.

**— ქუთაისის „ტორპედოსგან“ კუთვნილი სრულად მიიღეთ?**

— მე „ტორპედოს“ პრეზიდენტთან, ზურაბ ხინიკაძესთან ვიჭერდი საქმეს. დიდი ნაწილი თანხისა გადამიხადეს — გასასტუმრებელი მთლიანი დავალიანების 30 პროცენტი დარჩათ. დარწმუნებული ვარ, „ტორპედოს“ პრეზიდენტი ჯენტლმენია, ასე რომ, საკითხი ამოწურულია.

**— გული ძალიან გწყდებათ, „ტორპედოს“ შუა გზაზე მიტოვებამ რომ მოგიწიათ?**

— გული როგორ არ მწყდება. რამდენიმე კარგ ახალგაზრდა ფეხბურთელს მოვუყარეთ თავი და იმედი მქონდა, რომ „ტორპედოში“ 2-3 წელი დავრჩებოდი — ამისთვის ფსიქოლოგიურადაც ვემზადებოდი. სამწუხაროა ისიც, რომ ჩემპიონები ვერ გავხდით.

**— რასაც ალბათ თქვენგან ითხოვდნენ?**

— ოფიციალური ამოცანა ჩემპიონობა არ ყოფილა, თუმც „ტორპედოს“ ამის ძალა შესწევდა.

**— „ტორპედოდან“ თქვენი წასვლის მიზეზად კლუბის ზოგიერთი მესვეური იმას ასახელებს, შტელინმა თავისი ქცევით განაპირობა გუნდთან განშორებაო...**



— იმ პირობებში, რაც „ტორპედოში“ იყო, ველარ ვიმუშავებდი. პრემია-ხელფასების ვერგაცემის პრობლემა გუნდში მორალურადაც ძაბავდა სიტუაციას. 11 მაისს „ტორპედოს“ პრეზიდენტს დავურეკე და ვუთხარი, ასეთ პირობებში ველარ ვიმუშავებ და წავალ-მეთქი — ჩვენ მშვიდად, მეგობრულად დავშორდით.

**— საქართველოს ამ ჩემპიონატის სამ საუკეთესო ფეხბურთელად ვის დაასახელებდით?**

— იონანიძე, ანჩაბაძე და ხიზანეიშვილი.

**დავით თავართქილაძე**

# არველაძემ კალაძეზე დე ბური დააპატიჟა...

*„ოლდ ტრეფორდზე“ კახა კალაძეს ქართველობაც ქომაგობდა, შოთა არველაძემ კი ჩემპიონთა ლიგის ფინალზე გლაზგოდან რონალდ დე ბურიც გაიყოლა და უკან თავაწეული დაბრუნდა.*



— მანჩესტერიდან ძალიან გახარებული ჩამოვედი — კახამ ჩემპიონთა ლიგაში გაიმარჯვა. მატჩისას ძალიან ვნერვიულობდით. თამაშში რა არ ხდება ხოლმე, მაგრამ როცა გულშემატკივრობ, 11-მეტრიანების ყურება საშინელებაა. კახას მამა ჩემს გვერდით იჯდა და ხომ წარმოგიდგენიათ, რა დღეში იქნებოდა.

**— ფინალის მონაწილე ორივე გუნდიდან ვის გამოარჩევდი?**

— შევჩენკოს და რუი კოშტას, კალაძემ კი, ფაქტობრივად, უშეცდომოდ ითამაშა, ბურთი მხოლოდ ერთხელ დაკარგა და ისიც მეტად უხერხულ სიტუაციაში მიწოლებული. აღსანიშნავია, ორივე გუნდის მეკარეების გარჯაც, ჯენარო გატუზომ კი გამაგიჟა, ისე იბრძოდა და ომობდა.

**— ივო შუშაკმა კი ამასობაში ნაკრებში გამოგიძახა — რუსეთთან მატჩის წინ მომხდარის შემდეგ დარწმუნებული იყავი, რომ შუშაკი მიგიწვევდა გუნდში?**

— სიმართლე გითხრათ, ამაზე ბევრი არ მიფიქრია.

**დავით თავართქილაძე**

# ...გიორგი ქინქლაძის ინგლისელი მეგობარი



*მანჩესტერში იყო გიორგი ქინქლაძეც, თუმც შოთა არველაძესა და სხვა ქართველებს, რომლებიც გუშინწინ მანჩესტერში მრავლად იყვნენ, ის მატჩის შემდეგ შეხვდა. გიოს სტადიონზე თავისი ინგლისელი მეგობარი ახლდა.*

— ვერ ვიტყვი, რომ ასეთი მატჩი არ მინახავს, არც სანახაობრივად იყო მაინცდამაინც გამორჩეული შეხვედრა. ვფიქრობ, „მილანმა“ „იუვენტუსს“ აჯობა და თასიც დამსახურებულად მოიპოვა. ჩვენთვის ყველაზე სასიხარულო კი ისაა, რომ კახა კალაძე მოედანზე ერთ-ერთი გამორჩეული იყო, მან, ფაქტობრივად, უშეცდომოდ ითამაშა. სამწუხაროდ, მასთან შეხვედრა სულ რამდენიმე წუთით მოვახერხე, მილანელები გასახდელიდან გვიან გამოვიდნენ და იმის დრო აღარ იყო, სადმე ერთად დავმსხდარიყავით. მატჩის მერე ვნახე შოთა არველაძეც, ბილეთები სხვადასხვა ადგილზე გვქონია.

**— შოთასაც და კახასაც თბილისში შეხვდები. 2 ივნისს ნაკრების შეკრება იწყება. მიიღე მოწვევა?**

— მივიღე და ორშაბათს თბილისში ვიქნები. სასიამოვნოა, რომ ახალ, უცხოელ მწვრთნელთან ვივარჯიშებ. რა დონის მწვრთნელია შუშაკი, არ ვიცი, თუმც ნაკრების ფეხბურთელებისგან გამიგია, მკაცრი, მომთხოვნი და მცოდნე კაციაო.

**კობა ინასარიძე**

# ასათიანი მთელ ლოკომოტივს შეასკდა

**„იუვენტუსი“ და „მილანი“** რომ ერთურთს ტორავდნენ, მოსკოვში, „ბაკოვკის“ საწვრთნელ ბაზაზე „ლოკომოტივის“ ფეხბურთელები ტელეეკრანს მისჩერებოდნენ და ტურინული გუნდის გამარჯვებას ნატრობდნენ.

გუშინწინ მარჩელო ლიპის ბიჭებს რომ ემარჯვათ, მაშინ იური სიომინის გუნდი ჩემპიონთა ლიგის მომავალ გათამაშებაში საკვალიფიკაციო ეტაპს აირიდებდა და პირდაპირ ჯგუფურ ეტაპიდან ითამაშებდა.

მოსკოველ რკინიგზელებში ერთი ქართველი ერია, ვინაც საკუთარი გუნდის ინტერესები არად ჩააგდო, ტელევიზორთან შეყრილ თანაგუნდელებს არ შეეპუა და ხმის ჩახლეჩამდე „მილანს“ და კახა კალაძეს ქომაგობდა. მალხაზ ასათიანმა გუშინწინ კალაძესთან ერთად გაიმარჯვა.

— თავიდან ვფიქრობდი კახასთვის და „მილანისთვის“ ჩუმად მექომაგა, მაგრამ თავი ველარ შევიკავე. შევჩენკოს ზუსტი პენალტის შემდეგ კი „მილანის“ სიხარულს მეც მთელი არსებით ვიზიარებდი.

კალაძემ ფეხბურთში აწი არაფერი რომ აკეთოს, საქართველოში მაინც პირველი მოთამაშე იქნება. კახას სულ მალე, თბილისში შევხვდები და უდიდეს წარმატებას პირადად მივულოცავ.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციიდან ნაკრებში გამოძახების ფურცელი უკვე მივიღე. უახლოეს ტურში ვითამაშებ და შუშაკის განკარგულებაში 3 ივნისს ვიქნები.



**მამუკა ძვანტალიანი**

# ჩემპიონთა ლიგა 2002-2003. ფინალი

## იუვენტუსი 0:0(პენ. 2:3) მილანი

**მანჩესტერი. „ოლდ ტრეფორდი". 65 000 მაყურებელი. მსაჯი: მარკუს მერკი (გერმანია)**

*პენალტები:* 0:0 ტრეზეგე (მეკარე), 0:1 სერჟინიო, 1:1 ბირინდელი, 1:1 ზეედორფი (მეკარე), 1:1 ზალაიეტა (მეკარე), 1:1 კალაძე (მეკარე), 1:1 მონტერო (მეკარე), 1:2 ნესტა, 2:2 დელ პიერო, 2:3 შევჩენკო

გაფრთხილება: კოსტაკურტა, ტაკინარდი, დელ პიერო

| | |
|---|---|
| ბუფონი, ტურამი, ფერარა, ტუდორი (ბირინდელი 42), მონტერო, კამორანეზი (კონტე 46), ტაკინარდი, დავიდსი (ზალაიეტა 65), ძამბროტა, დელ პიერო, ტრეზეგე<br>*სათადარიგონი:* კიმენტი; პესოტო, იულიანო, დი ვაიო<br>მწვრთნელი: მარჩელო ლიპი | დიდა, კოსტაკურტა (როკე ჟუნიორი 66), ნესტა, მალდინი, კალაძე, გატუზო, პირლო (სერჟინიო 71), ზეედორფი, რუი კოშტა (ამბროზინი 87), შევჩენკო, ინძაგი<br>*სათადარიგონი:* აბიატი; ლაურსენი, ბროკი, რივალდო<br>მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი |

ჯარიმა: 34-23; კუთხური: 5-13; კარისკენ დარტყმა: 9-8; კარში დარტყმა: 2-6; თამაშგარე: 1-6



REUTERS მანჩესტერიდან

ფინალამდე „ატომიკ კიტენის" გოგოებმა „ოლდ ტრეფორდი" გაართეს

# თეთრი მილანი სხვებს შავებს აცმევს

საყოველთაოდ ცნობილი ამბავია, რომ „იუვენტუსის" ტრადიციული ფორმა შავ-თეთრია, „მილანისა" კი — შავ-წითელი. მანჩესტერის „ოლდ ტრეფორდზე" „იუვე" სწორედ თავისი ტრადიციული ფორმით გავიდა, ხოლო „მილანმა" თეთრი სამოსი აირჩია. შემთხვევით კი არაფერი ხდება.

საქმე ისაა, რომ სილვიო ბერლუსკონის ეპოქაში სამივე ჩემპიონთა თასი (1989, 90, 94 წლები) სწორედ თეთრად შემოსილმა „მილანმა" მოიგო. სხვათა შორის, როცა 1963 წლის 22 მაისს „უემბლიზე" „მილანმა" პირველად მოიგო ჩემპიონთა თასი, მაშინაც თეთრი ფორმით ითამაშა. ჰოდა, როგორ უნდა ეღალატათ მილანელებს იღბლიანი თეთრი ფორმისთვის? მით უფრო, რომ შავ-წითლად შეფერილმა „მილანმა" ორჯერ წააგო ფინალი, 1958 წელს „რეალთან" და 1993-ში „მარსელთან".

„იუვენტუსის" ფორმა კი დასაბამიდან შავ-თეთრი არც ყოფილა. ლეგენდა გვამცნობს: ლიცეუმის მოსწავლეებს, პირველ იუვენტუსელებს, ბევრი ფული არ ჰქონდათ და პირველი ფორმები ყველაზე იაფი, ვარდისფერი ქსოვილისგან შეაკერინეს. როცა მაისურები გაცვდა, იმ დროისთვის „იუვეს" ცოტა ფული გასჩენოდა და ახალი ფორმები ინგლისში შეუკვეთეს, ერთ ნოტინგემურ ფაბრიკაში. ლეგენდა არაფერს გვეუბნება, ინგლისელებმა ვარდისფერი ცუდ გემოვნებად მიიჩნიეს თუ უბრალოდ შეცდნენ, მაგრამ ფაქტია, რომ როცა შეკვეთილი მაისურები ტურინში ჩავიდა, „ნოთს ქაუნთის" მსგავსი, შავ-თეთრი აღმოჩნდა. „იუვენტუსს" ახალი მაისურები მოეწონა.

შავ-თეთრი მაისურებით „იუვეს" ზედიზედ ორ ფინალში, 1978 წელს „აიაქსთან" და 1979-ში „ჰამბურგთან" მოეცარა ხელი. სამაგიეროდ, შავ-თეთრი იღბლიანი გამოდგა იმ ავადმოსაგონარ „ეიზელის" ფინალში, 1985 წელს. მომდევნო ორი ფინალი „იუვემ" ცისფერი მაისურებით ითამაშა — 1996-ში „აიაქსს" მოუგო, მომდევნო წელს კი „დორტმუნდთან" დამარცხდა. 1998-ში „იუვე" ტრადიციულ შავ-თეთრ ფორმას დაუბრუნდა და „რეალთან" წააგო. შავ-თეთრი ფორმა არც „ოლდ ტრეფორდზე" გამოდგა იღბლიანი.

ფინალის დღეს მანჩესტერი ეგებ ტურინში ან მილანში აგრეოდათ. საითაც გაიხედავდით, ყველგან იტალიელები დაეხეტებოდნენ და მღეროდნენ. სიმღერას რომ მორჩებოდნენ, კაფეებში შეეხეტებოდნენ. იქიდან გამოსულებს, უკვე შემთვრალებს, ქუჩა ახსენებდათ, რომ ინგლისში იყვნენ. ქუჩაზე გადასვლისას ავიწყდებოდათ, რომ ინგლისში მოძრაობა მარცხენა მხარესაა. ძირძველი მანჩესტერელი მოქალაქეები ამისთვის მზად იყვნენ და ფრთხილად დაჰყავდათ მანქანები.

თუმც იტალიელებს მანჩესტერში მხოლოდ პრობლემები არ ჩაუტანიათ. მათ... მზეც ჩაიტანეს — ორშაბათიდან მოყოლებული მანჩესტერში გადაუღებლად წვიმდა და მხოლოდ ფინალის დღეს გამოიდარა.

თავად „ოლდ ტრეფორდზე" 25 კამერა იყო დამონტაჟებული. ოცდამეექვსე ცენტრის თავზე, 75 მეტრის სიმაღლეზე ეკიდა. მაგრამ განა კამერებია მთავარი — „ოლდ ტრეფორდის" ბრწყინვალედ მოვლილმა გაზონმა ბრწყინვალე თამაშისთვის განაწყო გუნდები და პირველივე წუთებიდან ნათელი შეიქნა — განთქმული იტალიური ჩაკეტილობა, ანუ სწორხაზოვნება, იმ დღეს არ იქნებოდა.

მატჩამდე აშკარა და უცილობლად არა, მაგრამ ფავორიტად მაინც „იუვენტუსი" ითვლებოდა. თამაში დაიწყო. „იუვეს" ფავორიტობა თვალსა და ხელს შორის გაქრა, „მილანი" გაცილებით მწვავედ უტევდა და მეტი ჟინიც ჰქონდა. „იუვეს" რაღაც ან ვიღაც აკლდა. ალბათ, პაველ ნედვედი. ჩეხის გარეშე, ვინაც საპასუხო ნახევარფინალურ მატჩში სრულიად სულელურად მიიღო მეორე გაფრთხილება, „იუვეს" წინა ხაზი დაობლებულს ჰგავდა. რა მოახერხა „იუვემ" პირველ ტაიმში? ედგარ დავიდსმა მხოლოდ ერთი ხეირიანი პასი გაუკეთა ფორვარდებს, მათ კი ბურთის სათანადოდ დამუშავება ვერ შეძლეს.

ამის საპირისპიროდ, „მილანმა" გოლიც გაიტანა. რუი კოშტა მარჯვენა ფლანგზე გაიჭრა და საჯარიმოში ჩააწოდა. იქ ანდრეი შევჩენკომ ყველაფერი ისე გააკეთა, როგორც საჭირო იყო — ბურთი დაიმორჩილა, მეტოქე ჩამოიცილა, დაარტყა და გაიტანა. მაგრამ მაშინვე გაჩნდა კითხვა: რა ჯანდაბა უნდოდათ კოშტას და ინძაგის ზედ მეკარის ბაქანში, როცა მათ სიახლოვეს ტურინელ მცველთა ჭაჭანება არ იყო?

ეს უპასუხო კითხვაა, თუმც თავად ფაქტმა გერმანელ არბიტრ მარკუს მერკს ოფსაიდის გამო გოლის გაუქმების საშუალება მისცა. მეორე კითხვა: იყო ეს აქტიური თამაშგარე? ალბათ იყო, რადგან მილანელები, უფრო კი რუი კოშტა, მეტისმეტად ახლოს იდგა ჯანლუიჯი ბუფონთან, რომ მასზე ზემოქმედება მოახდინა, ანუ მისი ოფსაიდი პასიური კი არა, აქტიური იყო. ამასთანავე, თავად მილანელებსაც არ დაუწყიათ მერკის გადაწყვეტილების გაპროტესტება, ან კი რა აზრი ჰქონდა — მთელი თამაში წინ იყო და თავიდანვე, მე-10 წუთზე, ნერვების აშლა არ ღირდა.

რამდენიმე წუთში უხეშად შეცდა პაოლო მონტერო, რომელმაც ცენტრალური მცველის ჩვეული პოზიციის ნაცვლად, მარცხენა ფლანგზე გადაინაცვლა. ურუგვაელის შეცდომით კლარენს ზეედორფმა ისარგებლა და ბურთი უმალ საჯარიმოში გაგზავნა. იქ კი ინძაგიმ ისეთი თავური დაჰკრა, გოლი გარდაუვალი ჩანდა. მაგრამ საიდან აღმოაჩნდა ბუფონს ასეთი ჯადოსნური რეაქცია, ვერც ინძაგიმ და ვერც ბევრმა სხვამ, ვერ გაიგეს.

პირველი ტაიმის მიწურულს „იუვემ" მაინც მოახერხა ქოსური, მაგრამ მაინც სახიფათო მომენტის შექმნა და მილანელები ალესანდრო ნესტას უნდა უმადლოდნენ გადარჩენას. პირველივე ტაიმში ძალიან კარგი მომენტი ჰქონდა კახა კალაძესაც, მაგრამ ბუფონი ისევ უბადლო იყო. საერთოდ კი, კალაძემ უშეცდომოდ ითამაშა, ხოლო მის წამოწყებულ იერიშებს მუდამ სწორი გაგრძელება ჰქონდა და თამაშს ამწვავებდა.

შესვენების მერე მარჩელო ლიპიმ ბებერი ანტონიო კონტე შეუშვა და მანაც თამაშის განახლებისთანავე კინაღამ გაიტანა. ალესანდრო დელ პიეროს ჩაწოდებულს თავი დასცხო და ხარიხას გაარტყა.

ამის მერე მეტოქეებმა მეტი სიფრთხილით განაგრძეს თამაში. სისწრაფე ძველებური დარჩა, მაგრამ სახიფათო მომენტები ნაკლებად იქმნებოდა. „იუვემ" საერთოდ ვერაფერი გააწყო „მილანის" კართან, საპირისპირო მიმართულებით კი მალდინის თავურს, ინძაგის ორ ნახევარმომენტს და შავგაშიგ შევჩენკოს აფეთქებებს თუ გავიხსენებთ. ერთ ეპიზოდში აზარტში შესული უკრაინელი ისე გაექანა, თავისივე პარტნიორი წააქცია.

ოვერტაიმებში სიფრთხილემ, ცხადია, კიდევ უფრო იმატა და გამოსარჩევი არაფერი მომხდარა. თუმც ერთ ეპიზოდზე მაინც შევჩერდეთ: 120 წუთი იწურებოდა, როცა ჯენარო გატუზომ ბურთის ლევნაში ლამის მთელი მოედანი სპრინტერული სისწრაფით გადაირბინა. ამაზე მხოლოდ ეს შეგვიძლია ვთქვათ — აი, ენერგია!

ბოლოს საქმე პენალტებზე მიდგა. დიდამ სამი დარტყმა ისე მოიგერია, წარბი არ შეხრია. ჩვენ კი გვერჩივნა, კახა კალაძესაც გაეტანა. ეს რომ მოეხერხებინა, შევჩენკოს მეხუთე პენალტამდე საქმე აღარც მივიდოდა. მაგრამ ბოლო მაინც კალაძისთვის და „მილანისთვის" სასიკეთო გამოდგა.

**გიორგი დარჯანია**



REUTERS მანჩესტერიდან

ანდრეა პირლომ და ალესიო ტაკინარდიმ წაქცევამდე იბრძოლეს



ფინალის პირველი გოლი სერჟინიოსი იყო

# ჩემპიონთა ლიგა 2002-2003. ფინალი



REUTERS მანჩესტერიდან

კლარენს ზეედორფმა ჩემპიონთა ლიგა სამ კლუბში მოიგო

## გრძნობათა ტაიმი





REUTERS მანჩესტერიდან

კარლო ანჩელოტი და მარჩელო ლიპი

**ჰოლანდიელი** ნახევარმცველი კლარენს ზეედორფი ცრემლს ვერ იკავებდა — იგი გახდა პირველი, ვინც ჩემპიონთა თასი სამი სხვადასხვა გუნდის შემადგენლობით მოიგო.

„დაუჯერებელია, დაუჯერებელი — უთხრა „აიაქსის", „რეალისა" და „მილანის" ტრიუმფების მონაწილემ ინგლისურ ტელეარხ „ITV სპორტს" — სიტყვები არ მყოფნის, ბედნიერი ვარ. ჩვენთვის დღეს დიდი სპექტაკლი გაიმართა დიდებულ სტადიონზე, დიდებულ ატმოსფეროში. „მილანი" ამ გამარჯვებას იმსახურებდა, მატჩის მსვლელობისას, მე თუ მკითხავთ, მოწინააღმდეგეს ვჯობდით".

ხოლო, როდესაც იტალიელმა ტელეჟურნალისტებმა „მილანის" თავკაცს, კარლო ანჩელოტის ჰკითხეს, თუ რას განიცდიდა, მან მიუგო: „კმაყოფილი, ნასიამოვნები ვარ — ბევრი კარგი გრძნობა მომერია ერთნაირი ძალით".

შემდეგ ანჩელოტის შეახსენეს, რომ 2001 წელს იგი „იუვენტუსიდან" გააგდეს.

„ხვალ ასეთ ამბებზე სალაპარაკოდ დიდძალი დრო გვექნება, დღეს კი ზეიმის მეტი არაფერი მსურს".

„იუვენტუსის" მწვრთნელმა, მარჩელო ლიპიმ კი პაველ ნედვედის არყოფნა ახსენა:

„ნედვედის გარეშე თამაში ყოველთვის ძნელია. ის რომ ყოფილიყო, გაცილებით ხშირად შევუტევდით. ამას იგორ ტუდორის და ედგარ დავიდსის ტრავმები დაემატა, რაც, ბუნებრივია, ჩვენს წისქვილზე არ ასხამდა წყალს".

„მილანის" კაპიტანი პაოლო მალდინი კი მეოთხე თასს ზეიმობდა. 1963 წლიდან, ანუ პაოლოს მამის, ჩეზარე მალდინის ტრიუმფიდან მოყოლებული ეს „შავწითელთა" მეექვსე ტრიუმფი გახლდათ ევროპის უდიდეს შეჯიბრებაში.

„თასის კაპიტნის რანგში აღმართვა ჩემთვის დიდი პატივია. მართლაც განსაკუთრებული გრძნობაა. როდესაც პირველი წარმატებიდან (1989 წელი) ამდენი ხნის შემდეგ ისევ გუნდში ხარ და მამის კვალს მიჰყვები".

„მილანის" ფორვარდი ფილიპო ინძაგი: „პენალტებით გამარჯვება იქნებ საუკეთესო გზა არც იყოს, მერედა ბუფონმა ფენომენალური ბურთი აშილო, მაგრამ ყველაფერზე მთავარი თასის აღება გახლდათ. „მილანისთვის" რთული სეზონი დიდებულად დამთავრდა. ანჩელოტი მუდმივად დიდებულ გადაწყვეტილებებს იღებდა. იგი ორჯერ უკვე გახლდათ იტალიის ვიცე-ჩემპიონი, ჩვენ კი, ახლა, იტალიის თასი თუ მოვიპოვეთ, საერთოდ ბრწყინვალე დაგვირგვინება გამოგვივა".



REUTERS მანჩესტერიდან

ჯანლუიჯი ბუფონი

„იუვეს" მეკარე ბუფონი, რომელიც ორი პენალტი მოიგერია: „ვგონებ, ზოგადად ჩვენი პენალტისტები სხვებისას სჯობიან და ამიტომ უკეთესად უნდა დაგვერტყა, თუმცა ახლა ამას მნიშვნელობა არა აქვს. მე ოპტიმისტი ვარ და ვიცი, მომავალში კიდევ მოგვეცემა შანსი".

**ბაკუნა ძედია**

## პაოლო ძე ჩეზარესი, ალესანდრო და...

**პაოლო მალდინიმ** მამის ნაკვალევზე გაიარა — ახლა, როგორც ჩეზარეს, ასევე პაოლოს, ჩემპიონთა თასი „მილანის" კაპიტნის რანგში აქვთ აღმართული. ადრე ასეთი რამ არ მომხდარა, არათუ ჩემპიონთა ლიგაში, არამედ ნებისმიერი ევროთასის ისტორიაში. დღეს „მილანი" ჩემპიონთა თასის ექვსგზის მფლობელია და ამ ექვსი ჯერიდან მამის ან შვილის გარეშე ერთი ტრიუმფი არ ყოფილა. ჩეზარე 1963 წელს კაპიტანი იყო, 1969-ში მწვრთნელის, ნერეო როკოს ასისტენტი, ხოლო დღეს, უკვე 70-ს გადაცილებული, სკაუტების უფროსი, ანუ ჩვენში უფრო შეჩვეული სიტყვით თუ ავხსნით, მთავარი სელექციონერი.

„ჩემი და მამაჩემის გარეშე ერთ დიდ წარმატებას არ ჩაუვლია. ასეთი რამ „მილანში" თუ მოხდებოდა და ეს სიტყვებით გამოსახატად ძალიან დიდი გრძნობაა" — თქვა პაოლომ თამაშის შემდეგ.

პაოლო მალდინისთვის ეს მეოთხე ჩემპიონთა თასი გახლდათ 1989, 1990 და 1994 წლების წარმატების შემდეგ. იგი იყო 90-იანი წლების ორი მარცხის მონაწილეც — 1993-ში „მარსელთან" და 1995-ში „აიაქსთან". გამოდის, რომ კაპიტანს სულ ექვს ფინალში უთამაშია, ხოლო მასზე მეტი მხოლოდ ძველი თაობის ორ რეალელს, ფანსისკო ხენტოს (რვა) და ალფრედო დი სტეფანოს (შვიდი) უნახავთ.

საინტერესოა, რომ მალდინის სახელმა თითქოს დაჩრდილა მისივე თანაგუნდელის, ალესანდრო კოსტაკურტას ასეთივე შედეგი — კოსტაკურტასაც ოთხი თასი აქვს მოგებული, ოღონდ ეგაა, ერთით ნაკლებ, ხუთ ფინალში უთამაშია.

რაც შეეხება „იუვენტუსის" მწვრთნელ, მარჩელო ლიპის, მან ერთგვარი ანტირეკორდი დაამყარა — ოთხჯერ გაიყვანა გუნდი ფინალში და ამ ოთხიდან ბოლო სამი წააგო. ლიპის ხელმძღვანელობით „იუვემ" ითამაშა 1996, 1997, 1998 და 2003 წლების ფინალები.

„მილანის" თავკაცი კარლო ანჩელოტი კი 1989 და 1990 წლებში პაოლო მალდინისთან ერთად თამაშობდა და ის ორი თასიც მასთან ერთად მოიგო, ახლა კი მეოთხე ადამიანია, რომელსაც ჩემპიონთა თასი ფეხბურთელობისასაც მოუგია და მწვრთნელობისასაც. დავძინოთ, რაც თასის გათამაშებამ ლიგის ფორმატი მიიღო, ანჩელოტი პირველია ამ შედეგს რომ მიაღწია.

მეორე მხრივ, ეს იყო ჩემპიონთა თასის მეშვიდე ფინალი, რომლის ბედიც პენალტებმა გადაწყვიტა.

**ბაკუნა ძედია**



REUTERS მანჩესტერიდან

პაოლო მალდინიმ ჩემპიონთა თასი მეოთხედ აღმართა, მამა ჩეზარეზე ორით მეტჯერ



## სამსჯავრო



**პენალტების** სერია რომ დამთავრდა, მილანში დიდი ზეიმი გაიმართა. მიუხედავად უგოლო ორი საათისა, არც გამარჯვებულთა და არც დამარცხებულთა ქალაქში, ქუჩებში დამონტაჟებულ ვეებერთელა ეკრანებს ერთი წუთით არ მოწყვეტია არავინ.

„მე ვუცქირე ორ საზიზღარ ტაიმს, დამატებით დროს, რომელიც ნერვებში ლურსმანებს მასობდა და კოშმარულ პენალტებს. ჩემს გარშემო ქვეყანა ჩამოიქცა" — ამბობდა „იუვენტუსის" ერთ-ერთი ქომაგი ტომაზო როსი, რომელიც თამაშს ტურინის ცენტრალურ მოედანზე, პიაცა კასტელოზე ადევნებდა თვალს.

140 კილომეტრის მოშორებით კი „მილანის" გულშემატკივრებს ალარ ახსოვდათ, როგორ იკვნეტდნენ ფრჩხილებს „იუვენტუსის" ყოველი შეტევისას.

„ჩვენ ამ თასის ექვსგზის მფლობელები ვართ. ახლა საკონტინენტთაშორისო თასი, სკუდეტო და ისევ ეს თასი გვინდა" — ხაროდა მანქანებით გაჭედილ ქუჩაში, ერთ-ერთი მანქანის ფანჯრიდან დროშით გამომძვრალი ვინმე რიკარდო ბატალია.

დიდი ეკრანი „სან სიროზეც" იდგა. იქ თამაშის სანახავად 30 ათასი ტიფოზი მივიდა და გამარჯვებულები, მეტროს სადგურისკენ მიმავალ გზაზე ერთმანეთს ულოცავდნენ.

„დღეს „იუვეს" სამსჯავრო მოვუწყეთ. ამ გუნდმა უნდა იცოდეს, რომ ყოველთვის ის ვერ გაიმარჯვებს" — ზეიმობდა უკრაინული დროშით შეიარაღებული მავანი იტალიელი. უკრაინის დროშა, ალბათ, გასაგებია რატომაც ეჭირა ხელში.

ხოლო ტურინში ზრდასრული მამაკაცები ტიროდნენ. შემორჩენილები და დაზაფრულები პიაცა კასტელოზე დატოვებული ბოთლების ზღვაში დაიბიჯებდნენ უაზროდ.

„ჩვენ „რეალთან" დიდებულად ვითამაშეთ, გნებავთ მადრიდში და გნებავთ აქ, თუმცა ნედვედის გარეშე გზააბნეული თინეიჯერებივით ვიქცევით. ამას ძნელად გადავიტან" — თქვა ალბანელმა ემიგრანტმა გელი ოდობაშიმ.

**ბაკუნა ძედია**



# ჩემპიონთა ლიგა 2002-2003. ფინალი

## ჩვენთვის



კახა კალაძემ ოთხშაბათ ღამით პენალტი ვერ გაიტანა, მაგრამ პენალტი ათი ფეხბურთელიდან ნახევარმა ვერ გაიტანა. სამაგიეროდ, კალაძე იყო იქ, სადაც არასდროს ყოფილა ქართველი ფეხბურთელი — ჩემპიონთა ლიგის ფინალში. „მილანმა“ ჩემპიონთა თასი მოიგო, რაც ამ კლუბის ისტორიაში არც პირველია და ალბათ, არც უკანასკნელი, მაგრამ კალაძის მონაწილეობა ამ ამბავში ჩვენი ფეხბურთისთვის გვარიანი მნიშვნელობის არის.

ამას სწორედ ფეხბურთისთვის აქვს მნიშვნელობა და არა ტრაბახისთვის და ცარიელა ყვირილისთვის, რაც ბოლოს ალბათ იქამდე მივა, რომ ჩვენ მოვიგეთ ეს თასი და არა „მილანმა“. ფეხბურთისთვის კი იმიტომაც აქვს მნიშვნელობა, რომ? ჯერ ერთი, პატარა ბიჭებს ეცოდინებათ, რომ შეუძლიათ ითამაშონ და ჩემპიონთა თასი მოიგონ, მეორეც განსხვავება დაინახონ ნამდვილ საფეხბურთო გარემოში ყოფნასა და ტყუილს შორის. მესამეც კიდევ ის, რომ მიხვდნენ, თუ შრომობ, თუ მასწავლებელი ზრუნვას არ გაკლებს და ნიჭიც მოგდგამს, დიდი ფეხბურთი სულ ახლოს არის.

მეორე მხრივ რომ შევხედოთ კალაძის გუნდის მიერ ჩემპიონთა თასის აღებას, ეს ჩვენი ნაკრებისთვის და ჩვენი მოწინავე ფეხბურთელებისთვისაც სასარგებლოა. კალაძემ ძალიან კარგად ითამაშა ნაკრებში რუსების წინააღმდეგ. იმ თამაშში ის გუნდის სიმტკიცის ლამის მთავარი გარანტია და სხვა მოთამაშეების იმედიც იყო. კაცი რომ რაღაც დიდს იგებს, მერე სულ სხვა განწყობით გადის მოედანზე. ეს მას აშკარად ეტყობა და მის სათამაშო ხასიათს იმგვარად გამოკვეთს, რომ სხვებსაც სიმტკიცეს მატებს. თანაც, მისი შემხედვარე, სტანდარტიც იწევა.

ამიტომ, ეს ოთხშაბათი ჩვენი ფეხბურთისთვისაც რაღაცის მომცემი იყო. ფეხბურთში ასეა, გამარჯვება გამარჯვებას სჭედს.

**ირაკლი გამყრელიძე**

## ციხის კაცი

ნელსონ დე ჟესუს სილვა დიდა გუშინწინ ლიგის ფინალის გმირი გახდა, მაგრამ თუ გახსოვთ, თავის დროზე მასხრად ასაგდები რამეები ჩაუდენია.

2000 წლის 19 სექტემბერი, ლიდსი, „ელანდ როუდი“. ჩემპიონთა ლიგის პირველი ჯგუფური ეტაპის მეორე ტურის მატჩში „მილანი“ ლიდსში თამაშობდა. მატჩი უგოლო ფრისკენ იხრებოდა. იხრებოდა კი არა, თითქმის დამთავრებული იყო, 89-ე წუთი მიდიოდა. ამ დროს ლი ბოიერს ძალიან შორიდან დარტყმა მოეპრიანა, თან არცთუ ძლიერად. „მილანის“ კარში დიდა იდგა, ეს უიოლესად დარტყმული ბურთი მკლავებში გაუძვრა და ბადეში აღმოჩნდა. „მილანმა“ თამაში, ცხადია, წააგო, დიდას კი რისხვა დაატყდა თავს. ის და მომდევნო სეზონი დიდამ სათადარიგოთა სკამის ხეხვაში გაატარა, მერე კი მშობლიურ „კორინთიანსში“ დაბრუნდა.

საამსეზონოდ დიდა ისევ დაბრუნდა „მილანში“, ოღონდ უკვე ძირითად მეკარედ. სტატისტიკა მოვიშველიოთ. ამ სეზონში სერია A-ს ოცდათხუთმეტივე შეხვედრაში მილანელთაგან არავის უთამაშია. ყველაზე მეტი კი დიდას გამოუვიდა — 30 მატჩი, 2 673 წუთი (წამატებული წუთების ჩათვლით). ამ 30 შეხვედრაში მან 22 გოლი გაუშვა, ანუ ერთი გოლი ყოველ 121 წუთში. სხვაგვარად, ერთი გოლი ყოველ ორ საათში.

ახლა დიდა გმირია, მაგრამ იცით რა არის საინტერესო? ორიოდე თვის წინ მავან იტალიელ მოსამართლეს რომ მოენდომებინა, დიდა საერთოდ ვერ ითამაშებდა გუშინწინ. საქმე ის გახლავთ, რომ დიდა ყალბი იტალიური პასპორტის ქონაში ამხილეს და სასამართლომ მას შვიდთვიანი პირობითი პატიმრობა მიუსაჯა. ხოლო თუ მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში ის იტალიურ კანონებს დაარღვევს, ციხე არ ასცდება. მართლა რომ დაიჭირონ?





## მოთოკილი თავი

წესითა და რიგით პენალტი გოლია, თუ კარგად არტყამ, მეკარეს ბურთის მოგერიების თეორიული შანსიც არ აქვს, მაგრამ როდესაც ადამიანი ხარ და ნერვიულობ... თან, როდესაც პენალტი ჩვეულებრივი კი არ არის, ჩემპიონთა ლიგის ფინალისაა და ზედაც გადამწყვეტი, შეიძლება შეგეშალოს.

როგორც ვნახეთ, შეეშალათ კიდეც. შეეშალათ „იუვენტუსის“ ათას ომში გამოცდილ ფეხბურთელებს და შეეშალათ მილანელებსაც, მაგრამ ანდრეი შევჩენკოს არ შეშლია.

„დარტყმამდე ძალიან ვღელავდი — გამოტყდა უკრაინელი — მაგრამ ყველა ღონე ვიხმარე თავი რომ დამემშვიდებინა. ვფიქრობ, ასეთ სიტუაციებში ემოციის კონტროლი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ტექნიკა ან დარტყმის ოსტატობა“.

მოგეხსენებათ, ყოფილი კიევის დინამოელისთვის გასული სეზონი უპრობლემო არ ყოფილა, ტრავმებმა ძალიან შეუშალეს ხელი, ბევრი თამაში გააცდენინეს და, ერთი პირობა, მისი „მილანიდან“ წასვლაზეც კი ჭორაობდნენ.

„ეს ჩემი კარიერის ყველაზე მნიშვნელოვანი გოლი იყო — აღიარებდა ბედნიერი თავდამსხმელი — მან ამ სეზონში მომხდარ ბევრ საძაგელ ამბავზე ზევით დამაყენა. საძაგელი ამბები კი პირველივე შეხვედრიდან დაიწყო, როდესაც დავშავდი და მთელი წლის გეგმა ჩამეშალა, მაგრამ ახლა ეგ ყველაფერი მეორეხარისხოვანია, რადგან ფინალში ოცნება ახდა“.

**პაპუნა ძიდია**



## კარგი ბიჭი რინო

„ჩემი მშობლიური ქალაქი კალაბრიაში იმდენად პატარაა, საფეხბურთო მოედნებიც კი არ არის. იქაურობა თავის დროზე იმიტომ დავტოვე, რომ ფეხბურთი მეთამაშა, ამიტომ ჩემს წილ ჩემპიონთა თასს სწორედ იმ ხალხს ვუძღვნი“ — თქვა მატჩის შემდეგ „მილანის“ მებრძოლმა ნახევარმცველმა ჯენარო გატუზომ და, ბუნებრივია, ამ ნათქვამით ბევრი ადამიანის გული მოიგო — „ოცნება ავიხდინე, ჩემპიონთა თასის მოგება ბავშვობის ოცნებად მქონდა“.

გატუზომ ფინალში მთელი გული, სული, ყურადღება, გონება და განცდა ჩააქსოვა, ევროპული საკლუბო ფეხბურთის მწვერვალზე ავიდა, დიდების შარავანდედით შემოსა და აი, ასეთ დროს გაიხსენა პროვინციული ქალაქის მაცხოვრებლები. ეს უთუოდ ამ 25 წლის მოთამაშის პიროვნებაზე მეტყველებს.

და კიდევ:

„არ ვიცი გამარჯვებას ვინ უფრო იმსახურებდა. გულწრფელად რომ გითხრათ, ახლა ისე ვარ დაღლილი, დალაგებით ფიქრიც კი მიჭირს. ერთს ვგრძნობ, რომ მოედანზე დიდი, შეიძლება ითქვას, სამეფო ბრძოლა მიმდინარეობდა“.

ვფიქრობთ, „მილანის“ ბრწყინვალე ტრიუმფში ლომის წილი სწორედ ჯენარო გატუზოს, მის ოსტატობასა და უტეხ სულს მიუძღოდა.

**პაპუნა ძიდია**

# ჩემპიონთა ლიგა 2002-2003. ფინალი


REUTERS

„მილანი" ევროპის ექვსგზის ჩემპიონია

## ესპანური ბოღმა იტალიურ ფინალსა ზედა

### რა უნდა ასეთ თამაშს ოლდ ტრეფორდზე

### რონალდო: ამ საცოდაობის შემყურე კინაღამ ცუდად გავხდი

ჩემპიონთა ლიგის გუშინწინდელ ფინალს ევროპული მედია შესაბამისი ექოთი შეხვდა. მართალია, თითქმის ყველა წამყვანი საფეხბურთო ქვეყნის ჟურნალ-გაზეთებს (საკუთრივ იტალიის ჩათვლით) პენალტებით გადაწყვეტილი უგოლო ფინალის შესახებ დიდი აღტაცება არ გამოუთქვამთ, მაგრამ ესპანელებმა აპენინელთა ლანძღვაში ნამდვილად ყველას გადააჭარბეს.

არავინ იცის, რა მოხდებოდა ტურინის „იუვენტუსის" ნაცვლად „ოლდ ტრეფორდზე" სათამაშოდ მადრიდის „რეალი" რომ გასულიყო, მაგრამ ერთი კი ცხადია — ესპანური პრესა თავისებურ ნიშანს უგებს გამარჯვებულ „მილანსაც", დამარცხებულ „იუვესაც" და საერთოდ, იტალიური სტილი მიწასთან აქვს გასწორებული. ლანძღვაგინების კოეფიციენტი „მარკაში" ყველაზე მეტია და ამიტომაც აქედან დავიწყოთ: „მილანმა" წლევანდელი ჩემპიონთა ლიგა კი მოიგო, მაგრამ ეს დასამახსოვრებელი და შთამბეჭდავი გამარჯვება ნამდვილად არ გახლდათ. კაი, რომ „ოლდ ტრეფორდი" ფინალური შეხვედრის კი არა, სერია B-ს ულიმღამო მატჩის მომსწრე გახდა! ლიპისა და ანჩელოტის შეუძლიათ უკანვე გადაყლაპონ თავიანთი დაპირებანი „ღირსეული მატჩის" შესახებ, რადგან ის თამაში, რაც მათმა გუნდებმა შემოგვთავაზეს, იტალიურ ფეხბურთს მსოფლიოს კრიტიკოსთა დალეწილ ხახაში უფრო ჩააგდებს, ვიდრე დიდების კვარცხლბეკზე აიყვანს! კმარა გოდება ნედვედის არყოფნის შესახებ, ახლა იტალიელებს ისღა დარჩენიათ, საკუთარი ვარსკვლავები ესპანეთში, ამ ჭეშმარიტად საფეხბურთო ქვეყანაში ემიგრაციისთვის გაამზადონ!"

ეს „მარკა" და მისი „ალერსი" ახლა დანარჩენებსაც გადავხედოთ:

*„სპორტი"*: „იუვენტუსმა" და „მილანმა" ძალლებივით დაჯიჯგნეს ერთმანეთი";

*„ევროპა სურ"*: „იტალიურ სტილს არც ერთმა გუნდმა არ უღალატა, რამაც ფინალი მნიშვნელოვნად გააფუჭა;

*„ელ სურ"*: „მილანმა" საცოდავ სანახაობას ბოლო პენალტებით მოუღო";

*„დიარიო დე მალიორკა"*: „მილანი" — „იუვენტუსის" უაზრო და უფერული საფინალო შეჯახება შემთხვევითი მოგებით დასრულდა;

*„ელ ადელანტო"*: „დაბნეული ფინალის ძალისმიერი აღსასრული";

*„ელ მუნდოდეპორტივო"*: „მილანის" მეექვსე გაჩემპიონება „ოლდ ტრეფორდზე" შებოჭილი თამაშის შემდეგ მოხდა".

ყველაზე უფრო შთამბეჭდავი „ლევანტეს" კასტილიური ფოლადივით ბასრი სიტყვებია" „იტალიელთა ფინალი არ იყო იმ მოედნის ღირსი, რომელსაც სერ ბობი ჩარლტონმა „ოცნებათა თეატრი" უწოდა. „მილანს" გამარჯვების სიხარულს ვერავინ ჩაამწარებს, მაგრამ თუ ზემოთ ნახსენებმა ფრაზამ აპენინების პრესაშიც გაიჟღერა, სულ ცოტათი მაინც დაწყვეტს გულს წლევანდელ ჩემპიონებს". ერთი სიტყვით, ავმეხსიერებიანი ესპანური პრესა „რეალ" — „იუვენტუსის" ნახევარფინალის გამო სიამოვნებით ასწორებს ანგარიშს სერია A-სთან.

კალამმომარჯვებული ვინმე კამპოსი ან როდრიგესი უმოწყალოდ ამათრახებს „მილანი" — „იუვენტუსის" შეხვედრას და ფიქრებით რონალდოს ან სხვა მადრიდელის თუ არამადრიდელის თავს ზემოთ აღმართულ ჩემპიონთა თასს უჭვრეტს. თავად რონალდოს წლევანდელი ჩემპიონთა ლიგის დასასრული სავსებით არ მოსწონებია. „ძალზე უაზრო და მომქანცველი ფინალი გამოდგა, თამაშს ტელევიზორით ვადევნებდი თვალს და ამ საცოდაობის შემხედვარემ ცუდად ვიგრძენი თავი" — განუცხადა კიჭამ „ელ მუნდოს" კორესპონდენტებს.

**ლადო ხომერიკი**



რონალდომ „იუვენტუს" — „მილანს" ცუდი თვალით შეხედა

## ჩემპიონთა თასის ყველა ფინალი

| | | |
|---|---|---|
| 1956 | რეალი (ესპანეთი) — რეიმსი (საფრანგეთი) | 4:3 |
| 1957 | რეალი (ესპანეთი) — ფიორენტინა (იტალია) | 2:0 |
| 1958 | რეალი (ესპანეთი) — მილანი (იტალია) | 3:2დ.დ. |
| 1959 | რეალი (ესპანეთი) — რეიმსი (საფრანგეთი) | 2:0 |
| 1960 | აინტრახტი (გფრ) — რეალი (ესპანეთი) | 3:7 |
| 1961 | ბენფიკა (პორტუგალია) — ბარსელონა (ესპანეთი) | 3:2 |
| 1962 | ბენფიკა (პორტუგალია) — რეალი (ესპანეთი) | 5:3 |
| 1963 | მილანი (იტალია) — ბენფიკა (პორტუგალია) | 2:1 |
| 1964 | ინტერი (იტალია) — რეალი (ესპანეთი) | 3:1 |
| 1965 | ინტერი (იტალია) — ბენფიკა (პორტუგალია) | 1:0 |
| 1966 | პარტიზანი (იუგოსლავია) — რეალი (ესპანეთი) | 1:2 |
| 1967 | სელტიკი (შოტლანდია) — ინტერი (იტალია) | 2:1 |
| 1968 | ბენფიკა (პორტუგალია) — მანჩესტერ იუნაიტედი (ინგლისი) | 1:4დ.დ. |
| 1969 | მილანი (იტალია) — აიაქსი (ჰოლანდია) | 4:1 |
| 1970 | ფეიენოორდი (ჰოლანდია) — სელტიკი (შოტლანდია) | 2:1დ.დ. |
| 1971 | პანათინაიკოსი (საბერძნეთი) — აიაქსი (ჰოლანდია) | 0:2 |
| 1972 | აიაქსი (ჰოლანდია) — ინტერი (იტალია) | 2:0 |
| 1973 | აიაქსი (ჰოლანდია) — იუვენტუსი (იტალია) | 1:0 |
| 1974 | ბაიერნი (გფრ) — ატლეტიკო (ესპანეთი) | 1:1დ.დ. |
| 1974 | ბაიერნი (გფრ) — ატლეტიკო (ესპანეთი) | 4:0(გადათამაშება) |
| 1975 | ბაიერნი (გფრ) — ლიდს იუნაიტედი (ინგლისი) | 2:0 |
| 1976 | ბაიერნი (გფრ) — სენტ ეტიენი (საფრანგეთი) | 1:0 |
| 1977 | ლივერპული (ინგლისი) — მიონხენგლადბახი (გფრ) | 3:1 |
| 1978 | ლივერპული (ინგლისი) — ბრიუგე (ბელგია) | 1:0 |
| 1979 | ნოტინგემ ფორესტი (ინგლისი) — მალმიო (შვედეთი) | 1:0 |
| 1980 | ნოტინგემ ფორესტი (ინგლისი) — ჰამბურგი (გფრ) | 1:0 |
| 1981 | ლივერპული (ინგლისი) — რეალი (ესპანეთი) | 1:0 |
| 1982 | ასტონ ვილა (ინგლისი) — ბაიერნი (გფრ) | 1:0 |
| 1983 | ჰამბურგი (გფრ) — იუვენტუსი (იტალია) | 1:0 |
| 1984 | რომა (იტალია) — ლივერპული (ინგლისი) | 1:1(პენ.2:4) |
| 1985 | იუვენტუსი (იტალია) — ლივერპული (ინგლისი) | 1:0 |
| 1986 | სტიაუა (რუმინეთი) — ბარსელონა (ესპანეთი) | 0:0(პენ.2:0) |
| 1987 | პორტუ (პორტუგალია) — ბაიერნი (გფრ) | 2:1 |
| 1988 | პსვ ეინდჰოვენი (ჰოლანდია) — ბენფიკა (პორტუგალია) | 0:0(პენ.6:5) |
| 1989 | მილანი (იტალია) — სტიაუა (რუმინეთი) | 4:0 |
| 1990 | მილანი (იტალია) — ბენფიკა (პორტუგალია) | 1:0 |
| 1991 | ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია) — მარსელი (საფრანგეთი) | 0:0(პენ.5:3) |
| 1992 | ბარსელონა (ესპანეთი) — სამპდორია (იტალია) | 1:0დ.დ. |
| 1993 | მარსელი (საფრანგეთი) — მილანი (იტალია) | 1:0 |
| 1994 | მილანი (იტალია) — ბარსელონა (ესპანეთი) | 4:0 |
| 1995 | აიაქსი (ჰოლანდია) — მილანი (იტალია) | 1:0 |
| 1996 | იუვენტუსი (იტალია) — აიაქსი (ჰოლანდია) | 1:1(პენ.4:2) |
| 1997 | დორტმუნდი (გერმანია) — იუვენტუსი (იტალია) | 3:1 |
| 1998 | რეალი (ესპანეთი) — იუვენტუსი (იტალია) | 1:0 |
| 1999 | მანჩესტერ იუნაიტედი (ინგლისი) — ბაიერნი (გერმანია) | 2:1 |
| 2000 | ვალენსია (ესპანეთი) — რეალი (ესპანეთი) | 0:3 |
| 2001 | ვალენსია (ესპანეთი) — ბაიერნი (გერმანია) | 1:1(პენ.4:5) |
| 2002 | ლევერკუზენი (გერმანია) — რეალი (ესპანეთი) | 1:2 |
| 2003 | იუვენტუსი (იტალია) — მილანი (იტალია) | 0:0(პენ.2:3) |



დიდიე დეშანი



ჟან ლუი კამპორა

*უჩვეულო ამბავია — გუნდმა საფრანგეთის ლიგის თასი მოიგო, ჩემპიონ „ლიონს" ქულით ჩამორჩა, ჩემპიონთა ლიგაში ადგილი დაიბევა და... მეორე დივიზიონში დააქვეითეს.*

*ჩინოვნიკებმა, რომლებიც, რასაკვირველია, წესდებით მოქმედებდნენ, კლუბი ადრევე გააფრთხილეს და ვალის (87 მილიონი ევრო) დროულად გადახდა სთხოვეს. ვადაც მისცეს, მაგრამ პრინცმა სამეფო ხაზინაში ფული ვერ იპოვა. ამიტომ განაჩენი სავსებით ლოგიკურია.*

# სუფრას წიხლი

## გლახაკ მონაკოს საჭურჭლე ვერ მისცეს

**მსგავსი შემთხვევა** ათი წლის წინაც მოხდა, ოღონდ, „მონაკოსგან" განსხვავებით, „მარსელი" „ვალანსთან" გარიგებაში ამხილეს. ჩემპიონთა თასის მაშინდელი მფლობელი „მარსელი" ასევე ქვედა დივიზიონში გაისტუმრეს.

მონაკოელთა ჭირ-ვარამი ორი წლის წინ დაიწყო. კლუბის ბიუჯეტს 15 მილიონი დოლარი დააკლდა და ფეხბურთელებს ჯამაგირი ვერ დაურიგეს. მერე ვალების გასასტუმრებლად ფული ისესხეს. ერთხელ, ორჯერ, სამჯერ და შარშან, სეზონის დასაწყისში, უკვე ყელამდე ჩაეფლნენ.

„მონაკოს" პრეზიდენტმა ჟან ლუი კამპორამ ინვესტორების ძებნა დაიწყო. ამასობაში გუნდის თამაშს ფინანსური პრობლემები სულაც არ ეტყობოდა. პირველ წრეში მესამე ადგილზე გავიდა, გაზაფხულიდან კი სვლას უმატა და ლიგის თასის ფინალში „სოშო" 4:1 გაანადგურა. ბოლოსწინა ტურში სტუმრად „გენგამთან" რომ არ დამარცხებულიყო, ჩემპიონიც გახდებოდა.

სწორედ „გენგამთან" მატჩის შემდეგ შეახსენეს „მონაკოს" პრეზიდენტს, „გადახდა უნდა ვალსაო". ჟან ლუი კამპორამ მონაკოს პრინცს, ალბერტს სთხოვა დახმარება. ალბერტი მიდგა-მოდგა, მაგრამ ოდენ 5 მილიონი ევრო მოაქუჩა. ეს თანხაც ერთ-ერთმა იტალიურმა კომპანიამ კლუბის აქციათა სანაცვლოდ გადაიხადა. იტალიელი ბიზნესმენები ვალის სრულად დაფარვასაც შეჰპირდნენ, მაგრამ დიდიე დეშანის მოხსნა მოითხოვეს.

პრეზიდენტს მწვრთნელის შეცვლა ერთპიროვნულად არ შეეძლო, არადა, მზად იყო, დეშანი 87 მილიონად „დაეხურდავებინა". კლუბის დირექტორატის წევრთა უმრავლესობამ გუნდის თავკაცის პოსტზე დარჩენა ისურვა. შედეგად ჟან ლუი კამპორასა და დიდიე დეშანს შორის ურთიერთობა წახდა.

ფაქტობრივად ვალებში ჩაფლული „მონაკო" მწვრთნელმა სეზონის ბოლომდე გამარჯვებებით ატარა და ხელის ერთი მოსმით მისი მოშორება ვირული საქციელი იქნებოდა.

შარშან, სექტემბრის დასაწყისში, ჟან ლუი კამპორამ თითქოს სპონსორი გამონახა და ფრანგული ფეხბურთის ჩინოვნიკებს აცნო, ფინანსურ პრობლემებს ზამთრის დაწყებამდე მოვაგვარებთო. პოტენციური ინვესტორი რუს ბიზნესმენთა ჯგუფი FEDCOM INVEST-ი გახლდათ. მხარეებმა მოლაპარაკება გააჩაღეს, მაგრამ რუსები მოსკოველი მაფიოზები აღმოჩნდნენ. პრეზიდენტმა მათთან საქმის დაჭერა აღარ ისურვა. ზამთარიც გავიდა. ჟან ლუი კამპორამ თქვა, ფული მარტში გვექნებაო, მერე აპრილი დადგა, მაისი მოვიდა და კლუბმა ბოლო გაფრთხილება მიიღო.

უცნაურია, მაგრამ საფრანგეთის შვიდგზის ჩემპიონ „მონაკოს" აყვავებული სამეფოს პრინცი ვერაფრით დაეხმარა. პრეზიდენტმაც აღმა-დაღმა ტყუილად იარა. პროფესიული საფეხბურთო ლიგის საფინანსო კომიტეტმა განაჩენი გამოიტანა და ბეჭედიც დაჰკრა. კლუბს განაჩენის გასაჩივრებისთვის ექვსდღიანი ვადა მისცეს, ერთ კვირაში კამპორამ 87 არა, მაგრამ 25 მილიონი ევრო თუ ვერ იშოვა, „მონაკო" ოფიციალურად მეორე დივიზიონის ბინადარი გახდება.

კამპორამ გულშემატკივრებს მხარდაჭერა სთხოვა. შესაძლოა, რამდენიმე ვარსკვლავის გაყიდვა მოუწიოს. ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირს შაბანი ნონდას, ლუდოვიკ ჟიულის, ჟერომ როტენს და ამ სეზონის აღმოჩენას, ხორვატ დადო პრსოს მსურველები არ აკლიათ. ჯიბეზე ხელი სამეფოს მმართველმა დინასტიამაც უნდა გაიკრას. პრინცმა ალბერტმა და პრინცმა რენემ ხაზინაში ეგებ თითო-ოროლა ფრანკი მაინც გამოქექონ.

„ვიცით ჩინოვნიკების გადაწყვეტილების შესახებ და, ცხადია, არ ვეთანხმებით. ჩვენი ადვოკატები რამდენიმე დღეში ყველაფერს გაარკვევენ" — ასეთია კლუბის წარმომადგენლის განცხადება.

„მონაკოს" ვერცხლის მედლებით, ჩემპიონთა ლიგის საგზურით და საფრანგეთის ლიგის თასით გაწყობილ სუფრაზე წიხლი ისე მოულოდნელად უკრეს, რომ ზეიმით დატკბობაც კი ვერ მოასწრო.

შვებულებაში მყოფი გუნდის კაპიტანს, ლუდოვიკ ჟიულის ამბავი ტელეფონით აცნობეს: „რაო? — იკითხა კაპიტანმა — რამდენი დღე გვაქვს ვადა? ექვსი? ეგებ ახლა მაინც აწიონ უკანალები სავარძლებიდან. მთელი წლის განმავლობაში ამთქნარებდნენ. ძლივს სიხარული გველირსა და მეორე დივიზიონის დროა? სასწრაფოდ ინვესტორია მოსაძებნი".

სებასტიან „ტოტო" სკილაჩი: „გული ცუდს მიგრძნობდა და ამისთვის მზად ვიყავი. შემოდგომიდან ასეთ დღეში ვართ და დროა, საქმეს სერიოზულად მიუდგნენ. ხან ვინ გამოჩნდა, ხან ვინ, მაგრამ საშველი არ დაგვადგა. პრეზიდენტი ვალდებულია, ინვესტორი მონახოს. ფეხბურთელებმა ჩვენი საქმე გავაკეთეთ. ლიგის თასიც მოვიგეთ და ჩემპიონთა ლიგის საგზურიც. ამ საქმეს დაფასება სჭირდება".

საფრანგეთის პროფესიული ლიგის ჩინოვნიკებმა კიდევ ერთ გუნდს, „ნიცას" ასევე ფინანსური საქმიანობის მოუწესრიგებლობის გამო ტრანსფერების განხორციელება აუკრძალეს.

მეორედივიზიონელები „კრეტეი", „ნანსი" და „მარტიგი" კი კონტროლზე აიყვანეს, რადგან მათაც ვალები დაჰგროვებიათ.

**მაშა ხუციშვილი**

### ნორვეგია

VIII ტური

ვიკინგი 2:1 სოგნდალი

რუსენბორგი 1:1 ლილესტრიომი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუსენბორგი | 8 | 7 | 1 | 0 | 20:5 | 22 |
| ვიკინგი | 8 | 4 | 3 | 1 | 16:9 | 15 |
| სოგნდალი | 8 | 4 | 2 | 2 | 14:11 | 14 |
| ბოდიო გლიმტი | 7 | 3 | 3 | 1 | 11:7 | 12 |
| ოდ გრენლანდი | 7 | 4 | 0 | 3 | 12:13 | 12 |
| სტაბეკი | 7 | 3 | 2 | 2 | 10:7 | 11 |
| ლინი | 7 | 2 | 3 | 2 | 12:13 | 9 |
| ლილესტრიომი | 8 | 2 | 3 | 3 | 7:13 | 9 |
| მოლდე | 7 | 2 | 2 | 3 | 8:9 | 8 |
| ბრინი | 7 | 2 | 0 | 5 | 10:13 | 6 |
| ვოლერენგა | 7 | 1 | 3 | 3 | 8:11 | 6 |
| ბრანი | 7 | 1 | 3 | 3 | 7:14 | 6 |
| ტრომსიო | 7 | 1 | 2 | 4 | 12:17 | 5 |
| ალესუნდი | 7 | 0 | 3 | 4 | 9:14 | 3 |

### შვედეთი

VIII ტური

ჰალმსტადი 1:1 ელფსბორგი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აიკ | 8 | 6 | 1 | 1 | 17:6 | 19 |
| იურგორდენი | 8 | 6 | 0 | 2 | 20:3 | 18 |
| ჰამარბი | 8 | 5 | 3 | 0 | 13:6 | 18 |
| ჰელსინგბორგი | 8 | 4 | 2 | 2 | 10:8 | 14 |
| იორებრო | 8 | 4 | 1 | 3 | 13:11 | 13 |
| ჰალმსტადი | 8 | 3 | 2 | 3 | 11:12 | 11 |
| გიოტებორგი | 8 | 2 | 3 | 3 | 11:9 | 9 |
| მალმიო | 8 | 2 | 3 | 3 | 11:11 | 9 |
| ლანდსკრონა | 8 | 2 | 3 | 3 | 9:10 | 9 |
| სუნდსვალი | 8 | 2 | 3 | 3 | 9:11 | 9 |
| იორგრიტე | 8 | 2 | 2 | 4 | 11:17 | 8 |
| იოსტერი | 7 | 2 | 1 | 4 | 6:12 | 7 |
| ელფსბორგი | 7 | 1 | 3 | 3 | 7:14 | 6 |
| ენკოპინგი | 8 | 0 | 1 | 7 | 3:21 | 1 |

### ბრაზილია

თასის ნახევარფინალი

საპასუხო მატჩები

ფლამენგო 0:0 სპორტ რესიფე (1:0)

კრუზეირო 2:1 გოიასი (3:2)

# Copa Toyota Libertadores '2003

## ლიბერტადორესის თასი 2003

### მეოთხედფინალი. საპასუხო მატჩები

*სანტოსი (ბრაზილია)* 1:0 *კრუზ ასული (მექსიკა)* (2:2)

1:0 რობინიო (13)

**სანტოსი:** ჟულიო სერჟიო, რეგინალდო, ალექსი, ანდრე ლუისი, ლეო, პაულუ ალმეიდა, რენატო, ელანო (ნენე 79), დიეგუ, რობინიო (ფაბიანო 65), ვილიამი (დუგლასი 46)

**კრუზ ასული:** ო. პერესი, ოსორიო, კაბრერა (სეპედა 46), ანჯელესი (ვ. გუტიერესი 35), მ. ბრაუნი, ჟ. ხიმენესი, ხ. ერნანდესი, ტ. კამპოსი, კორონა (ლედესმა 70), ჩიტივა, პალენსია

გაძევება: ბრაუნი (90)

მსაჯი: ეპიფანიო გონსალესი (პარაგვაი)

15 000 მაყურებელი

*ბოკა ხუნიორსი (არგენტინა)* 2:1 *კობრელოა (ჩილე)* (2:1)

1:0 დონეტი (7), 2:0 ტევესი (14), 2:1 გალაზი (27)

**ბოკა ხუნიორსი:** აბონდანსიერი, კროზა, სკიავი, ხერესი, კ. როდრიგესი, კანია (ვილიარეალი 72), კასკინი, ბატალია, დონეტი, გ. ბაროს შელოტო, ტევესი

**კობრელოა:** ნ. ტაპია, ბ. გონსალესი, ფუენტესი, დ. ვერონი, რ. პერესი, მარტელი, მელენდესი, ხუან გონსალესი, დიასი, გალაზი, ხაიმე გონსალესი (დინამარკა 76)

მსაჯი: კარლოს ეუხენიო სიმონი (ბრაზილია)

45 000 მაყურებელი

# ბოკა ორჯერ დათვრა

## სიხარულით და სიძულვილით

**ლიბერტადორესის თასის** პირველ ნახევარფინალისტს, კოლუმბიის „ამერიკას", ბრაზილიური „სანტოსი" და არგენტინული „ბოკა ხუნიორსი" კვალში მიჰყვნენ.

„სანტოსმა" მექსიკაში „კრუზ ასულთან" პირველი მატჩი ფრედ, 2:2 ითამაშა. მასპინძლებს საპასუხო შეხვედრაში უგოლო ფრეც ხელს აძლევდათ, მაგრამ ბრაზილიელები რომ მოსაგებად ითამაშებდნენ, უეჭველი იყო.

სანტოსელთა ჯილამ, ყმაწვილმა რობინიომ, მეტოქეს თავგზა მალევე აუბნია. დამხვდურთა შეტევებში ახლართული მექსიკელები მან მეცამეტე წუთზე დაამწუხრა. თანაგუნდელ უილიამს პასი მიაწოდა, რომლის დარტყმულიც მეკარე ოსკარ პერესმა მოიგერია, მაგრამ რობინიომ დაამატა და ანგარიში გახსნა. გახსნა და შეხვედრის ბოლომდე აღარც შეცვლილა.

აღსანიშნავია, რომ „კრუზ ასულმა" ორი წლის წინ ლიბერტადორესის თასის ფინალს უწია, თუმც ამჯერად ხელმოცარული დარჩა. პელეს ყოფილ გუნდს, „სანტოსს", ნახევარფინალში კოლუმბიის „მედელინსა" და ბრაზილიურ „გრემიოს" შორის გამარჯვებული ელის. „კრუზ ასულმა" მატჩი კაცნაკლულმა დაასრულა, რადგან მელვინ ბრაუნმა ბოლო წუთზე მეორე გაფრთხილება მიიღო და ეპიფანიო გონსალესმა გაძევა.

კოლუმბიის „ამერიკისგან" „რივერ პლეიტის" ძლევის შემდეგ ლიბერტადორესის თასზე არგენტინელთა დიდებას „ბოკა ხუნიორსი" დაიცავს. „ბოკამ" ჩილურ „კობრელოას" სტუმრად პირველ შეხვედრაშიც 2:1 მოუგო, 2000 და 2001 წლების არგენტინის ჩემპიონ გუნდს სეზონის დასაწყისში კარლოს ბიანკი დაუბრუნდა. მისი მეცადინეობით „ბოკა ხუნიორსი" კლაუსურაში მესამე ადგილზეა და ლიდერებს ოდენ ქულით ჩამორჩება.

მასპინძელთა ნახევარმცველმა მატის დონეტმა მეშვიდე წუთზევე დააწინაურა თავისიანები, ხოლო დიეგო მარადონას აღთქმიანი მაისურით მოთამაშე ფორვარდ კარლოს ტევესს ზუსტად ამდენივე დრო დასჭირდა მეორე გოლის გასატანად. არგენტინელებმა საქმე პირველივე ტაიმში მოათავრეს, მიუხედავად იმისა, რომ ჩილელმა პატრისიო გალასმა ერთი საპასუხო მალევე შეაგდო. შესვენების შემდეგ „ბოკა ხუნიორსის" მეკარე რობერტო აბონდანსიერი სტუმრებმა რამდენჯერმე შეაწუხეს, მაგრამ მეტი გოლის გატანა ველარ შეძლეს.

„ბოკას" 45 ათასმა ფანმა, როგორც წესი, ტრიბუნებს ბოლო ადღინა და თავისი გუნდის გამარჯვებაზე არანაკლებ მეოთხედფინალიდან საძულველი „რივერ პლეიტის" გავარდნის გამო ხარობდა.

**მაშა ხუციშვილი**



REUTERS

ბოკა ხუნიორსი — კობრელოა. მეკარესთან პირისპირ შეყრილ ბოკელ კარლოს ტევესს გოლის გატანა არ გასჭირვებია

რეკლამა
სარბიელ–ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

# სარბიელი და კროკი

## წარმოგიდგენთ


**გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდილოეთი). XXXIII ტური**

1 ივნისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17.00 | 001 | დორტმუნდი(მ)-კიოლნი(მ) | 1,9 | 3,4 | 3,2 | 1,21 | 1,19 | 1,64 |
| 17.00 | 002 | ქემნიცი-დინამო | 1.8 | 3,1 | 4,0 | 1,13 | 1,24 | 1,74 |
| 17.00 | 003 | დრეზდენი-აუე | 6,5 | 4,4 | 1,15 | 2,62 | 1 | 1 |
| 17.00 | 004 | ჰამბურგი(მ)-ოსნაბრიუკი | 3,5 | 3,3 | 1,7 | 1,69 | 1,14 | 1,12 |
| 17.00 | 005 | კილი-ლევერკუზენი(მ) | 1,35 | 4,0 | 6,5 | 1 | 1,11 | 2,47 |
| 17.00 | 006 | მიუნსტერი-ბაბელსბერგი | 1,15 | 4,2 | 8,0 | 1 | 1 | 2,75 |
| 17.00 | 007 | ესენი-პადერბორნი | 1,5 | 3,6 | 5,6 | 1,05 | 1,18 | 2,19 |
| 17.00 | 008 | ფერლი-ურდინგენი | 1.85 | 3,3 | 3,5 | 1,18 | 1,21 | 1,69 |
| 17.00 | 009 | ვატენშაიდი-ვერდერი(მ) | 1,65 | 3,5 | 4,4 | 1,12 | 1,2 | 1,94 |

**გერმანია. რეგიონალლიგა (სამხრეთი). XXXVII ტური**

30 მაისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 011 | ბაიერნი(მ)-აუგსბურგი | 2,3 | 3,3 | 2,8 | 1,35 | 1,26 | 1,51 |

31 მაისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17.30 | 012 | უნტერჰახინგი-აინტრახტი(მ) | 1,1 | 6,0 | 12,0 | 1 | 1 | 4 |
| 17.30 | 013 | რეგენსბურგი-ზიგენი | 1,75 | 3,8 | 1,9 | 1,19 | 1 | 1,26 |
| 17.30 | 014 | ოფენბახი-შვაინფურტი | 2,2 | 3,4 | 1,8 | 1,33 | 1 | 1,17 |
| 17.30 | 015 | ვეენი-ფულენდორფი | 1,5 | 3,4 | 4,2 | 1,04 | 1,1 | 1,87 |
| 17.30 | 016 | კიკერსი-ელვერსბერგი | 2,0 | 3,3 | 3,2 | 1,24 | 1,23 | 1,62 |
| 17.30 | 017 | ჰოფენჰაიმი-დარმშტადტი | 1,9 | 3,8 | 2,0 | 1,26 | 1 | 1,31 |
| 17.30 | 018 | აალენი-ერფურტი | 1,9 | 3,3 | 3,4 | 1,2 | 1,21 | 1,67 |

**იტალია. სერია "C1 A". პლეი ოფი.**

1 ივნისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.30 | 031 | ალბინოლეფე-პადოვა | 1,95 | 2,7 | 4,6 | 1,13 | 1,36 | 1,7 |
| 19.30 | 032 | ჩეზენა-პიზა | 1,8 | 2,8 | 5,0 | 1,09 | 1,32 | 1,79 |

**იტალია. სერია "C1 A". პლეი აუტი.**

1 ივნისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.30 | 033 | ლუკეზე-ალძანო | 1,8 | 2,8 | 5,0 | 1,09 | 1,32 | 1,79 |
| 19.30 | 034 | ვარეზე-კარარეზე | 2,0 | 2,7 | 4,4 | 1,14 | 1,37 | 1,67 |

**იტალია. სერია "C1 B". პლეი ოფი.**

1 ივნისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.30 | 035 | პესკარა-სამბენედეტეზე | 1,7 | 2,9 | 6,0 | 1,07 | 1,32 | 1,95 |
| 19.30 | 036 | მარტინა-ტერამო | 1,85 | 2,8 | 4,8 | 1,11 | 1,33 | 1,76 |

**იტალია. სერია "C1 B". პლეი აუტი.**

1 ივნისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.30 | 037 | გელა-პატერნო | 1,95 | 2,7 | 4,6 | 1,13 | 1,36 | 1,7 |
| 19.30 | 038 | ჯულიანოვა-სორა | 1,85 | 2,7 | 5,0 | 1,09 | 1,35 | 1,75 |

**ესპანეთი. I დივიზიონი. XXXVI ტური**

31 მაისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 00.30 | 040 | რეალი-სელტა | 1,4 | 4,0 | 7,5 | 1,03 | 1,17 | 2,6 |

1 ივნისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 042 | დეპორტივო-ატლეტიკო | 1,65 | 3,4 | 5,0 | 1,11 | 1,24 | 2,02 |
| 22.00 | 043 | ვალიადოლიდი-ოსასუნა | 2,15 | 2,5 | 3,6 | 1,15 | 1,34 | 1,47 |
| 22.00 | 039 | მალიორკა-რაიო | 1,35 | 4,2 | 8,0 | 1,02 | 1,15 | 2,75 |
| 22.00 | 044 | ვილიარეალი-ბილბაო | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 22.00 | 045 | ალავესი-ბეტისი | 1,9 | 3,4 | 3,5 | 1,21 | 1,23 | 1,72 |
| 22.30 | 046 | ბარსელონა-მალაგა | 1,35 | 4,2 | 8,0 | 1,02 | 1,15 | 2,75 |
| 23.00 | 047 | სევილია-უელვა | 1,75 | 3,5 | 4,0 | 1,16 | 1,21 | 1,86 |
| 24.00 | 048 | სოსიედადი-ვალენსია | 1,8 | 3,2 | 4,2 | 1,15 | 1,26 | 1,81 |
| 00.15 | 041 | რასინგი-ესპანიოლი | 2,15 | 2,5 | 3,6 | 1,15 | 1,34 | 1,47 |

**ესპანეთი. II დივიზიონი. XXXVIII ტური**

31 მაისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21.30 | 049 | ბადახოსი-ლას პალმასი | 1,95 | 3,0 | 3,6 | 1,18 | 1,26 | 1,63 |
| 21.30 | 050 | ხეტაფე-ლეგანესი | 1,9 | 3,0 | 3,8 | 1,16 | 1,26 | 1,67 |
| 21.30 | 051 | ოვიედო-ალბასეტე | 2,8 | 2,8 | 2,6 | 1,4 | 1,34 | 1,34 |
| 21.30 | 052 | სარაგოსა-სპორტინგი | 1,6 | 3,2 | 6,5 | 1,06 | 1,28 | 2,14 |
| 21.30 | 053 | ალმერია-ხერესი | 2,0 | 3,0 | 3,4 | 1,2 | 1,25 | 1,59 |

1 ივნისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 15.00 | 054 | მურსია-ლევანტე | 1,9 | 3,0 | 4,0 | 1,16 | 1,28 | 1,71 |
| 21.00 | 055 | კომპოსტელა-ეხიდო | 2,0 | 2,6 | 4,4 | 1,13 | 1,37 | 1,63 |
| 21.00 | 056 | ებარი-ელჩე | 2,0 | 2,6 | 4,4 | 1,13 | 1,37 | 1,63 |
| 21.00 | 057 | ფეროლი-სალამანკა | 1,95 | 3,0 | 3,6 | 1,18 | 1,26 | 1,63 |
| 22.00 | 058 | ტერასა-ნუმანსია | 2,0 | 2,8 | 4,0 | 1,16 | 1,33 | 1,64 |
| 22.00 | 059 | ტენერიფე-კორდობა | 1,95 | 2,8 | 4,0 | 1,14 | 1,31 | 1,64 |

**პორტუგალია. I ლიგა. XXXIV ტური**

1 ივნისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 060 | ბეირა მარი-მარიტიმუ | 1,5 | 3,5 | 5,3 | 1,04 | 1,16 | 2,1 |
| 20.00 | 061 | ბენფიკა-გიმარაეში | 1,5 | 3,8 | 6,0 | 1,07 | 1,2 | 2,32 |
| 20.00 | 062 | ლეირია-ჟილ ვისენტე | 1,85 | 3,3 | 3,8 | 1,18 | 1,24 | 1,76 |
| 20.00 | 063 | ნასიონალი-ბოავიშტა | 2,3 | 3,0 | 3,1 | 1,3 | 1,32 | 1,52 |
| 20.00 | 064 | სეტუბალი-ბელენენსეში | 2,35 | 3,2 | 2,8 | 1,35 | 1,27 | 1,49 |
| 20.00 | 065 | პორტუ-სპორტინგი | 1,7 | 3,4 | 4,6 | 1,13 | 1,24 | 1,95 |
| 20.00 | 066 | აკადემიკა-ბრაგა | 1,4 | 4,0 | 6,5 | 1,03 | 1,15 | 2,47 |
| 20.00 | 067 | სანტა კლარა-ვარზიმი | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |
| 20.00 | 068 | მორეირენსე-ფერეირა | 1,65 | 3,3 | 4,8 | 1,1 | 1,22 | 1,95 |

**პორტუგალია. II ლიგა. XXXIV ტური**

1 ივნისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 069 | კოვილია-ავეში | 2,3 | 3,0 | 3,1 | 1,3 | 1,32 | 1,52 |
| 20.00 | 070 | ოვარენსე-ალვერკა | 2,6 | 3,2 | 2,4 | 1,43 | 1,24 | 1,37 |
| 20.00 | 071 | რიუ ავე-ნავალი | 2,0 | 3,4 | 2,0 | 1,25 | 1 | 1,25 |
| 20.00 | 072 | მარკუ-შავეში | 1,9 | 3,1 | 4,0 | 1,17 | 1,28 | 1,74 |
| 20.00 | 073 | ლეცა-ფარენსე | 1,4 | 3,5 | 4,0 | 1 | 1,03 | 1,86 |
| 20.00 | 074 | პენაფიელი-სალგეიროში | 1,45 | 3,8 | 4,4 | 1,04 | 1,09 | 2,03 |
| 20.00 | 075 | პორტიმონენსე-ამადორა | 2,25 | 3,3 | 2,7 | 1,33 | 1,22 | 1,48 |
| 20.00 | 076 | ფელგეირაში-ლამაში | 1,05 | 5,0 | 8,0 | 1 | 1 | 3,07 |
| 20.00 | 077 | მადეირა-მაია | 1,45 | 3,6 | 4,2 | 1,03 | 1,07 | 1,93 |

**ჰოლანდია. II დივიზიონი. XXXIV ტური**

30 მაისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 088 | ეინდჰოვენი-დორდრეხტი | 1,6 | 3,6 | 5,0 | 1,1 | 1,21 | 2,09 |
| 23.00 | 089 | ოსი-ემენი | 3,2 | 3,4 | 2,05 | 1,64 | 1,24 | 1,27 |
| 23.00 | 090 | ტელსტარი-ვეენდამი | 1,85 | 3,1 | 4,2 | 1,15 | 1,28 | 1,78 |
| 23.00 | 091 | კამბური-ვოლენდამი | 2,7 | 3,4 | 2,3 | 1,5 | 1,24 | 1,37 |
| 23.00 | 092 | სიტარდი-დენ ბოსხი | 3,0 | 3,4 | 2,15 | 1,59 | 1,25 | 1,31 |
| 23.00 | 093 | მაასტრიხტი-ვენლო | 2,0 | 3,4 | 3,3 | 1,25 | 1,24 | 1,67 |
| 23.00 | 094 | ჰელმონდი-სპარტა | 1,6 | 3,6 | 4,4 | 1,1 | 1,17 | 1,98 |

31 მაისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 095 | დენ ჰააგი-ჰაარლემი | 1,25 | 4,8 | 9,0 | 1 | 1,09 | 3,13 |

**ჩეხეთი. XXX ტური**

31 მაისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17.25 | 100 | ზლინი-სპარტა | 3,5 | 3,4 | 1,9 | 1,72 | 1,23 | 1,21 |
| 17.25 | 101 | პრჟიბრამი-ლიბერეცი | 3,0 | 3,4 | 2,0 | 1,59 | 1,2 | 1,25 |
| 17.25 | 102 | ბლშანი-ტეპლიცე | 2,35 | 3,1 | 2,9 | 1,33 | 1,29 | 1,49 |
| 17.25 | 103 | ჰ.კრალოვე-ბუდეიოვიცე | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 17.25 | 104 | ბოჰემიანსი-სინოტი | 2,25 | 3,2 | 3,0 | 1,32 | 1,28 | 1,54 |
| 17.25 | 105 | იაბლონეცი-ბრნო | 2,25 | 3,1 | 3,1 | 1,3 | 1,3 | 1,55 |
| 17.25 | 106 | ჟიჟკოვი-ბანიკი | 1,4 | 4,0 | 5,6 | 1,03 | 1,12 | 2,33 |
| 17.25 | 107 | სიგმა-სლავია | 2,7 | 3,1 | 2,45 | 1,44 | 1,28 | 1,36 |

**პოლონეთი. XXIX ტური**

31 მაისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 108 | კატოვიცე-ამიკა | 1,5 | 3,8 | 6,0 | 1,07 | 1,2 | 2,32 |
| 19.00 | 109 | ლეგია-რუხი | 1,35 | 4,4 | 7,5 | 1,03 | 1,14 | 2,77 |
| 19.00 | 110 | ვისლა-ვიძევი | 1,3 | 4,6 | 8,0 | 1,01 | 1,11 | 2,92 |
| 19.00 | 111 | გროცლინი-ზაგლებე | 1,5 | 3,8 | 6,0 | 1,07 | 1,2 | 2,32 |
| 19.00 | 112 | ოდრა-პოლონია | 1,45 | 3,6 | 6,5 | 1,03 | 1,18 | 2,31 |
| 19.00 | 113 | გურნიკი-ლეხი | 2,2 | 3,4 | 2,2 | 1,33 | 1,1 | 1,33 |

**თურქეთი. XXXIV ტური**

30 მაისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 116 | გალათასარაი-გაზიანთეფი | 1,5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,21 | 2,31 |

31 მაისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.30 | 117 | ქოჯაელი-ადანა | 2,4 | 3,3 | 2,6 | 1,38 | 1,24 | 1,45 |
| 18.30 | 118 | ისთანბული-ალთაი | 2,4 | 3,5 | 1,95 | 1,42 | 1,07 | 1,25 |
| 18.30 | 119 | ანკარაგუჯუ-დენიზლი | 1,45 | 3,8 | 6,5 | 1,04 | 1,18 | 2,39 |
| 18.30 | 120 | დიარბაქირი-ელაზიგი | 2,2 | 3,1 | 2,2 | 1,28 | 1,1 | 1,28 |
| 18.30 | 121 | ბურსა-გენჩლერბირლიგი | 1,6 | 3,6 | 4,0 | 1,1 | 1,14 | 1,89 |
| 21.00 | 122 | სამსუნი-ბეშიქთაში | 3,1 | 3,5 | 1,9 | 1,64 | 1,17 | 1,23 |
| 18.30 | 123 | გიოზთეფე-ფენერბაჩე | 7,5 | 4,8 | 1,2 | 2,92 | 1,03 | 1 |
| 18.30 | 124 | ტრაბზონი-მალათია | 1,7 | 3,5 | 3,3 | 1,14 | 1,12 | 1,69 |

**დანია. XXX ტური**

31 მაისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 125 | ორჰუსი-ფარუმი | 2,1 | 3,4 | 3,1 | 1,29 | 1,25 | 1,62 |

1 ივნისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 126 | ოლბორგი-კიოგე | 1,35 | 4,2 | 8,0 | 1,02 | 1,15 | 2,75 |
| 18.00 | 127 | ესბიერგი-მიდტიულანდი | 1,9 | 3,3 | 3,6 | 1,2 | 1,24 | 1,72 |
| 18.00 | 128 | აკადემისკი-სილკებორგი | 2,2 | 3,2 | 3,1 | 1,3 | 1,28 | 1,57 |
| 18.00 | 129 | კოპენჰაგენი-ოდენსე | 1,5 | 3,8 | 6,0 | 1,07 | 1,2 | 2,32 |
| 20.35 | 130 | ვიბორგი-ბრიონდბიუ | 3,5 | 3,3 | 1,95 | 1,69 | 1,25 | 1,22 |

**შვეიცარია. A ჯგუფი. XIV ტური**

31 მაისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.15 | 136 | ციურიხი-სერვეტი | 1,95 | 3,2 | 3,6 | 1,21 | 1,26 | 1,69 |
| 23.15 | 137 | ვილი-თუნი | 1,95 | 3,2 | 3,6 | 1,21 | 1,26 | 1,69 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.15 | 138 | ბაზელი-ქსამაქსი | 1,2 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,07 | 3,33 |
| 23.15 | 139 | იანგ ბოიზი-გრასჰოპერი | 5,3 | 3,8 | 1,55 | 2,21 | 1,19 | 1,1 |
| | | **შვეიცარია. B ჯგუფი. XIV ტური** | | | | | | |
| | | **30 მაისი** | | | | | | |
| 22.30 | 144 | ბადენი-კონკორდია | 1,9 | 3,2 | 3,8 | 1,19 | 1,26 | 1,73 |
| | | **31 მაისი** | | | | | | |
| 20.30 | 145 | შაფჰაუზენი-ივერდონი | 1,9 | 3,3 | 3,6 | 1,2 | 1,24 | 1,72 |
| 20.30 | 146 | ვოლენი-ბელინცონა | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |
| | | **რუსეთი. XI ტური** | | | | | | |
| | | **31 მაისი** | | | | | | |
| 16.00 | 147 | კრილია-ცსკა | 2,8 | 2,9 | 2,5 | 1,42 | 1,32 | 1,34 |
| 16.00 | 148 | ურალანი-ზენიტი | 3,1 | 3,1 | 2,25 | 1,55 | 1,3 | 1,3 |
| 16.00 | 149 | შინიკი-ტორპედო | 2,1 | 3,0 | 3,5 | 1,23 | 1,31 | 1,61 |
| 16.00 | 150 | ჩერნომორეცი-როსტსელმაში | 2,4 | 2,9 | 3,0 | 1,31 | 1,33 | 1,47 |
| 16.00 | 151 | სატურნი-ლოკომოტივი | 2,4 | 2,9 | 3,0 | 1,31 | 1,33 | 1,47 |
| 16.00 | 152 | რუბინი-სპარტაკი | 2,8 | 3,1 | 2,4 | 1,47 | 1,29 | 1,35 |
| 16.00 | 153 | დინამო-როტორი | 1,5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,21 | 2,31 |
| | | **1 ივნისი** | | | | | | |
| 16.00 | 154 | მეტალურგი-ალანია | 1,7 | 3,0 | 3,6 | 1,08 | 1,15 | 1,63 |
| | | **შვედეთი. IX ტური** | | | | | | |
| | | **1 ივნისი** | | | | | | |
| 20.00 | 159 | ჰალმსტადი-ლანდსკრონა | 1,75 | 3,4 | 4,2 | 1,15 | 1,23 | 1,87 |
| 20.00 | 160 | იორებრო-სუნდსვალი | 1,8 | 3,4 | 3,8 | 1,17 | 1,22 | 1,79 |
| 20.00 | 161 | იორგრიტე-ჰამარბი | 2,4 | 3,3 | 2,6 | 1,38 | 1,24 | 1,45 |
| | | **2 ივნისი** | | | | | | |
| 22.00 | 162 | ჰელსინგბორგი-ენკიოპინგი | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1,01 | 1,13 | 3,04 |
| | 163 | ჰელსინგბორგი-ენკიოპინგი 0:1 | 1,75 | 3,2 | 3,0 | | | |
| 22.00 | 164 | ელფსბორგი-გიოტებორგი | 2,5 | 3,3 | 2,45 | 1,42 | 1,23 | 1,4 |
| 22.00 | 165 | იოსტერი-მალმიო | 3,0 | 3,3 | 2,2 | 1,57 | 1,26 | 1,32 |
| 23.00 | 166 | აიკ-იურგორდენი | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **გერმანია. თასი. ფინალი (ბერლინში)** | | | | | | |
| | | **31 მაისი** | | | | | | |
| 22.30 | 204 | კაიზერსლაუტერნი-ბაიერნი | 5,0 | 3,4 | 1,65 | 2,02 | 1,24 | 1,11 |
| | | **იტალია. თასი. ფინალი. II მატჩი** | | | | | | |
| | | **31 მაისი** | | | | | | |
| 23.45 | 205 | მილანი-რომა | 2,25 | 3,1 | 3,1 | 1,3 | 1,3 | 1,55 |
| | | **საფრანგეთი. თასი. ფინალი (პარიზში)** | | | | | | |
| | | **31 მაისი** | | | | | | |
| 23.45 | 206 | ოსერი-პსჟ | 3,0 | 3,0 | 2,35 | 1,5 | 1,31 | 1,31 |
| | | **ჰოლანდია. თასი. ფინალი (როტერდამში)** | | | | | | |
| | | **1 ივნისი** | | | | | | |
| 21.00 | 207 | ფეიენოორდი-უტრეხტი | 1,55 | 3,6 | 5,6 | 1,08 | 1,21 | 2,19 |
| | | **ბელგია. თასი. ფინალი (ბრიუსელში)** | | | | | | |
| | | **1 ივნისი** | | | | | | |
| 18.00 | 208 | სტ.ტრუიდენი-ლუვიე | 1,75 | 3,4 | 4,2 | 1,15 | 1,23 | 1,87 |
| | | **შოტლანდია. თასი. ფინალი (გლაზგოში)** | | | | | | |
| | | **31 მაისი** | | | | | | |
| 19.00 | 210 | დანდი-რეინჯერსი | 9,0 | 4,6 | 1,3 | 3,04 | 1,13 | 1,01 |
| | | **ავსტრია. თასი. ფინალი** | | | | | | |
| | | **1 ივნისი** | | | | | | |
| 19.15 | 212 | ავსტრია-კერნტენი | 1,45 | 3,8 | 7,0 | 1,04 | 1,2 | 2,46 |
| | | **ამხანაგური მატჩები** | | | | | | |
| | | **31 მაისი** | | | | | | |
| 15.00 | 219 | იაპონია-კორეა | 2,0 | 3,1 | 3,6 | 1,21 | 1,28 | 1,66 |
| | | **1 ივნისი** | | | | | | |
| 22.00 | 220 | გერმანია-კანადა | 1,2 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,07 | 3,33 |
| | | **კალათბურთი. ესპანეთი** | | | | | | |
| | | **30 მაისი** | | | | | | |
| 23.30 | 623 | ბარსელონა-ალიკანტე | 1,1 | 12,0 | 5,0 | 1 | 1 | 3,52 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | | კი | არა |
|---|---|---|---|---|
| | | **31 მაისი** | | |
| 22.30 | 2303 | კაიზერსლაუტერნი-ბაიერნი | 1,75 | 1,85 |
| 23.45 | 2304 | მილანი-რომა | 1,7 | 1,9 |
| 23.45 | 2305 | ოსერი-პსჟ | 1,7 | 1,9 |
| 19.00 | 2306 | დანდი-რეინჯერსი | 1,9 | 1,7 |
| | | **1 ივნისი** | | |
| 24.00 | 2307 | სოსიედადი-ვალენსია | 1,75 | 1,85 |
| 21.00 | 2308 | ფეიენოორდი-უტრეხტი | 1,8 | 1,8 |
| 19.00 | 2309 | სტ.ტრუიდენი-ლუვიე | 1,7 | 1,9 |

## I ტაიმის შედეგი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **31 მაისი** | | | | | | |
| 22.30 | 2003 | კაიზერსლაუტერნი-ბაიერნი | 5,0 | 2,25 | 2,05 | | | |
| 23.45 | 2004 | მილანი-რომა | 2,8 | 2,0 | 3,6 | | | |
| 23.45 | 2005 | ოსერი-პსჟ | 3,5 | 2,0 | 2,9 | | | |
| 19.00 | 2006 | დანდი-რეინჯერსი | 9,0 | 3,1 | 1,45 | | | |
| | | **1 ივნისი** | | | | | | |
| 24.00 | 2007 | სოსიედადი-ვალენსია | 2,25 | 2,05 | 5,0 | | | |
| 21.00 | 2008 | ფეიენოორდი-უტრეხტი | 1,85 | 2,3 | 6,0 | | | |
| 19.00 | 2009 | სტ.ტრუიდენი-ლუვიე | 2,15 | 2,15 | 5,0 | | | |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|---|
| | | **31 მაისი** | | | |
| 22.30 | 2503 | კაიზერსლაუტერნი-ბაიერნი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.45 | 2504 | მილანი-რომა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.45 | 2505 | ოსერი-პსჟ | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 19.00 | 2506 | დანდი-რეინჯერსი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| | | **1 ივნისი** | | | |
| 24.00 | 2507 | სოსიედადი-ვალენსია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 21.00 | 2508 | ფეიენოორდი-უტრეხტი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 19.00 | 2509 | სტ.ტრუიდენი-ლუვიე | 3,0 | 2,8 | 2,0 |

**თასის აღება**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | **31 მაისი** | | |
| 22.30 | 1004 | კაიზერსლაუტერნი-ბაიერნი | 3,1 | 1,25 |
| 23.45 | 1005 | ოსერი-პსჟ | 1,95 | 1,65 |
| 19.00 | 1006 | დანდი-რეინჯერსი | 5,0 | 1,1 |
| | | **1 ივნისი** | | |
| 21.00 | 1007 | ფეიენოორდი-უტრეხტი | 1,2 | 3,5 |
| 18.00 | 1008 | სტ.ტრუიდენი-ლუვიე | 1,35 | 2,6 |
| 19.15 | 1009 | ავსტრია-კერნტენი | 1,2 | 3,5 |


კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ


## რამდენი გოლი გავა მატჩში. (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | **31 მაისი** | | |
| 22.30 | 2203 | კაიზერსლაუტერნი-ბაიერნი | 1.9 | 1.7 |
| 23.45 | 2204 | მილანი-რომა | 1.8 | 1.8 |
| 23.45 | 2205 | ოსერი-პსჟ | 1.7 | 1.9 |
| 19.00 | 2206 | დანდი-რეინჯერსი | 2.1 | 1.55 |
| | | **1 ივნისი** | | |
| 24.00 | 2207 | სოსიედადი-ვალენსია | 1.8 | 1.8 |
| 21.00 | 2208 | ფეიენოორდი-უტრეხტი | 2.0 | 1.6 |
| 19.00 | 2209 | სტ.ტრუიდენი-ლუვიე | 2.1 | 1.55 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | **31 მაისი** | | |
| 22.30 | 2403 | კაიზერსლაუტერნი-ბაიერნი | 3.4 | 1.3 |
| 23.45 | 2404 | მილანი-რომა | 1.8 | 2.0 |
| 23.45 | 2405 | ოსერი-პსჟ | 2.0 | 1.8 |
| 19.00 | 2406 | დანდი-რეინჯერსი | 4.4 | 1.15 |
| | | **1 ივნისი** | | |
| 24.00 | 2407 | სოსიედადი-ვალენსია | 1.5 | 2.6 |
| 21.00 | 2408 | ფეიენოორდი-უტრეხტი | 1.2 | 4.0 |
| 19.00 | 2409 | სტ.ტრუიდენი-ლუვიე | 1.4 | 3.0 |

# ფორმულა 1. მონაკო. 31 მაისი (23.45)

| 4001 გამარჯვებული | სამეული | ექვსეული | 4002 უსწ. წრე |
|---|---|---|---|
| მ.შუმახერი ------- 1,5 | 4101 ------ 1,15 | 4201 ----- 1,1 | 1,6 |
| ბარიკელო -------- 5,0 | 4102 ------ 1,55 | 4202 ----- 1,2 | 3,3 |
| რაიკონენი -------- 8,0 | 4103 ------- 1,8 | 4203 --- 1,25 | 4,6 |
| კულტჰარდი ----- 9,0 | 4104 ------- 1,9 | 4204 --- 1,25 | 7,0 |
| მონტოია -------- 12,0 | 4105 ------- 3,3 | 4205 ----- 1,3 | 4,6 |
| რ.შუმახერი ---- 15,0 | 4106 ------- 3,3 | 4206 ----- 1,3 | 10,0 |
| ალონსო -------- 15,0 | 4107 ------- 3,3 | 4207 ----- 1,3 | 15,0 |
| ტრული --------- 30,0 | 4108 ------- 5,6 | 4208 ----- 1,7 | 30,0 |
| ბატონი ---------- 75,0 | 4109 ------ 15,0 | 4209 ----- 2,2 | 100,0 |
| ფრენცენი ------ 75,0 | 4110 ------ 15,0 | 4210 ----- 3,0 | 100,0 |
| ჰაიდფელდი ---- 75,0 | 4111 ------ 15,0 | 4211 ----- 3,0 | 100,0 |
| ვილნევი -------- 75,0 | 4112 ------ 15,0 | 4212 ----- 3,0 | 100,0 |
| ფიზიკელა ------- 75,0 | 4113 ------ 15,0 | 4213 ----- 3,0 | 100,0 |
| პანისი ------- 75,0 | 4114 ------ 15,0 | 4214 ----- 3,0 | 100,0 |
| ვებერი ------- 75,0 | 4115 ------ 15,0 | 4215 ----- 3,0 | 100,0 |

| 4301 გამარჯვებული გუნდი | |
|---|---|
| ფერარი | 1,4 |
| მაკლარენი | 3,3 |
| უილიამსი | 5,0 |
| რენო | 12,0 |
| ზაუბერი | 40,0 |
| ბარ | 40,0 |
| ჯორდანი | 40,0 |
| ტოიოტა | 50,0 |
| იაგუარი | 50,0 |
| მინარდი | 150,0 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო | | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **31 მაისი** | | | | | | | | | |
| 22.30 | 2103 | კ.ლაუტერნი-ბაიერნი | 7,0 | 10,0 | 20,0 | 8,0 | 4,6 | 3,4 | 20,0 | 10,0 | 2,3 |
| 23.45 | 2104 | მილანი-რომა | 3,4 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 4,6 |
| 23.45 | 2105 | ოსერი-პსჟ | 4,6 | 10,0 | 20,0 | 4,8 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,6 |
| 19.00 | 2106 | დანდი-რეინჯერსი | 15,0 | 15,0 | 30,0 | 15,0 | 5,3 | 3,4 | 30,0 | 15,0 | 1,55 |
| | | **1 ივნისი** | | | | | | | | | |
| 24.00 | 2107 | სოსიედადი-ვალენსია | 2,6 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,6 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 21.00 | 2108 | ფეიენოორდი-უტრეხტი | 2,1 | 12,0 | 25,0 | 3,4 | 4,8 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 9,0 |
| 19.00 | 2109 | სტ.ტრუიდენი-ლუვიე | 2,5 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,6 | 7,5 | 20,0 | 10,0 | 6,5 |


სამ თბილისურ ბიუროში
კონსტანტინე გამსახურდიას გამზირი № 3;
ვაჟა ფშაველას გამზირი №46 (მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან", ყოფილი „დელისი");
დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, I კორპუსი
პროკომ უქმეებზე სამუშაო დრო გაახანგრძლივა
შაბათი 12.00-21.30
კვირა 12.00-20.30

საქართველოს 12 ჩემპიონატი

## საქართველოს ჩემპიონატი

პლეი ოფი. ფინალი სამ მოგებამდე

## დინამო 2:2 ბასკო

მეხუთე მატჩი. 30 მაისი. სპორტის სასახლე. 18 საათი

# ვინ ჩაიბარებს თავანს?

## კანდელაკმა სანაძლეო ვერ მოიგო, მაგრამ არც წაუგია

*დღეს მე-12 ეროვნული ჩემპიონატის გადამწყვეტი მატჩია. თბილისის „დინამომ" და ბათუმის „ბასკომ" ფინალურ სერიაში ორ-ორჯერ იმარჯვეს და ახლა საჩემპიონოდ თბილისში დაეჭიდებიან ერთმანეთს. ეს ფინალი სულაც არ ჰგავს შარშანდელს, როცა „ბასკომ" ზედიზედ სამჯერ დაამარცხა „დინამო" და მიჯრით მესამედ მოიპოვა საუკეთესო ქართული გუნდის წოდება. ახლა სხვა ვითარებაა, ჩემპიონობას თბილისელებს უწინასწარმეტყველებენ და ასეთი განწყობა, მცირე თუ დიდი დოზით, მოწინააღმდეგე ბანაკების ხელმძღვანელთა გამონათქვამებიდანაც ჩანს*

**ნუგზარ კანდელაკი,** *„ბასკოს" მთავარი მწვრთნელი*

— არავის ელოდა, რომ „ბასკო" ფინალში ორ მატჩს მოიგებდა. „დინამო" შემადგენლობითაც გვჯობს და გრძელი საიდარიგო სკამიც ჰყავს, მაგრამ ჩვენ მაინც შევძელით საქმის გადამწყვეტ მატჩამდე მიყვანა. ფინალურ სერიაში მეტოქენი თამაშებს მორიგეობით ვიგებთ და ამ ლოგიკით ახლა ჩვენი გამარჯვების ჯერია, თუმცა უფრო ლოგიკური ისაა, რომ „დინამოს" დამარცხება გაგვიჭირდება.

აბა, შეხედეთ, ვინ ითამაშა შარშანდელ ფინალში ბათუმელთა დღევანდელი შემადგენლობიდან, მხოლოდ პლასიდე როდუმეტამ. „დინამოს" კი ორიოდ კალათბურთელის გარდა სულ შარშანდელ ფინალში ნათამაშები ხალხი ჰყავს. ასე, რომ, გამოცდილებაც მათ მხარეზეა, შემადგენლობაც და მოედნის უპირატესობაც. ამის მიუხედავად, ჩვენ უიმედოდ ნაღდად არ ვართ, ერთი თამაშის მოგება ყოველთვისაა შესაძლებელი. ტაქტიკისა და სასტარტო შემადგენლობის შერჩევის მხრივ სიურპრიზებს გპირდებით, მარამ, ცხადია, ვერ გაგიმხელთ, სიურპრიზი ხომ იმისაა, მოულოდნელი იყოს მეტოქესთვის.

ამას ხუმრობით ვამბობ — სანამ ფინალური სერია დაიწყებოდა, ერთ-ერთი დინამოელი მოვიდა და მეუბნება, 3:0 მოგიგებთო. დავნაძლევდეთ-მეთქი. მერე რატომღაც ველარ დავალგით ამ საქმეს თავი და ახლა გული მწყდება, ნაღდი მოგება გავუშვი ხელიდან.

**ზურაბ ტომარაძე,** *„დინამოს" მწვრთნელი*

— რა უნდა ითქვას, 2:2 ანგარიშზე ყველაფერია მოსალოდნელი. ერთი რამ ნაღდია, ორივე გუნდი უკანასკნელ ძალებს გაიღებს ამ მატჩის მოსაგებად.

თბილისური თამაშები რადიკალურად განსხვავებული სცენარით წარიმართა ჯერ „ბასკომ" გვაჯობა ყველაფერში, შემდეგ ჩვენ ვიძალეთ. ამ მატჩებიდან ჩვენ საჭირო დასკვნები გამოვიტანეთ და ბათუმში აშკარად ვაჯობეთ „ბასკოს". ეს ფაქტი იმედიანობის საბაბს გვაძლევს, თუმცა არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ბათუმელებმა თავიანთი სამივე ჩემპიონობა თბილისში იზეიმეს, ასე რომ სპორტის სასახლე არაა „ბასკოსთვის" უცხო არენა. იქ ბათუმლები საკმაოდ კომფორტულად გრძნობენ თავს და საშიში არიან.



ზურაბ ტომარაძე



ნუგზარ კანდელაკი

შანსები ალბათ თანაბარია, თუმცა მცირე უპირატესობა მაინც ჩვენს მხარეზეა. მესამე დღეა, „ბასკო" თბილისშია და საფუძვლიანად ჯერ არ უვარჯიშია. თამაშის წინა დღეს სპორტის სასახლეში რაღაც ღონისძიება მოეწყო და ბათუმელებმა ვერ მოახერხეს ვარჯიში. ესეც, რა თქმა უნდა, „დინამოს" წისქვილზე ასხამს წყალს.

**ირაკლი ბერტაია**

ძალოსნობა



აღმზრდელ-აღზრდილი: გიორგი ასანიძე და ვანო გრიქუროვი

# ვანო მასწავლებელი ჩვენს სკოლაში გადმოვიდა

*საქართველოს ძალოსანთა ნაკრებს ახალი მთავარი მწვრთნელი ჰყავს – ვანო გრიქუროვი. აქამდე პოლონეთში მოსაქმიანე ცნობილი სპეციალისტი ივლისიდან სამშობლოში გადმობარგდება და ქართველ ძალოსნებს ათენის ოლიმპიადისთვის მოამზადებს*

გუშინ სპორტის დეპარტამენტში გამართულ სხდომაზე ადგილობრივ ძალოსან მწვრთნელთა საბჭომ განიხილა გრიქუროვის ნაკრების მწვრთნელად დანიშვნა-არდანიშვნის საკითხი. მწვრთნელთაგან გრიქუროვის წინააღმდეგ არავინ წასულა, პირიქით, ყველამ დაიარა მისი დიდი გამოცდილება. სპორტის დეპარტამენტის ხელმძღვანელი ირაკლი მემშარიშვილიც თავის მხრივ გრიქუროვს ყველა ყოფითი პრობლემის მოგვარებას შეპირდა.

ვანო გრიქუროვი საქართველოდან 1995 წელს თავის აღზრდილ ოლიმპიურ ჩემპიონ კახი კახიაშვილთან ერთად წავიდა, მხოლოდ მან კახიაშვილისგან განსხვავებით პოლონეთის მიამტკა და იქ რვა წელი ნაყოფიერად მოღვაწეობდა, ავარჯიშებდა როგორც პოლონელ ძალოსნებს და ამასთან ახერხებდა ჩვენებური მსოფლიოს ჩემპიონის, გიორგი ასანიძის მომზადებასაც. ამ ორიოდ თვის წინ პოლონელებმა გიორგის იქ ვარჯიშზე უარი უთხრეს. ვანო გრიქუროვიც ასე ვთქვათ, თავის საუკეთესო შეგირდს სამშობლოში „გამოყვა". და აი, ახლა ეს მრავლისმნახველი სპეციალისტი თანახმაა, არა მარტო ასანიძე, არამედ სრულიად ქართველი ძალოსნები ავარჯიშოს.

ვანო გრიქუროვს მივულოცეთ საქართველოს ძალოსანთა ნაკრების მთავარ მწვრთნელად დამტკიცება და რამდენიმე კითხვაც დავუსვით.

**— პოლონეთში ნორმალურ პირობებში მუშაობდით, თქვენ კი მაინც საქართველოში მოდიხართ?**

— უკვე რვა წელია, რაც საქართველოდან წავედი. პოლონეთში ჯერ ნაკრების მწვრთნელის ასისტენტად ვმუშაობდი, შემდეგ კი 18 და 20 წლამდე ნაკრებები ჩამაბარეს. ვხელმძღვანელობდი ოლიმპიური მომზადების ცენტრს, და, რაც მთავარია, პოლონეთს გავუზარდე მილოშ კოლეჩკი — მსოფლიოს ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი. ერთადერთი პოლონელი ძალოსანი, რომელმაც ასეთი შედეგის ჩვენება შეძლო, მიუხედავად ამისა, არც ერთი წუთი არ გამიწყვეტია ურთიერთობა საქართველოსთან და ქართველ ძალოსნებთან.

აუცილებლად უნდა ვთქვა, რომ მაქვს ერთი ოცნება და ეს საქართველოს ეხება. ყველანაირი სინჯის ბედალი და ტურნირი მოუგიათ ჩემს აღზრდილებს, მაგრამ ესენი ცალკეული ვარსკვლავები არია, მე კი ვოცნებობ ვარსკვლავურ გუნდზე, რომლის არამხოლოდ ცალკეული წევრი, არამედ უმეტესობა გახდება ჩემპიონი. ასეთი გუნდის შექმნა საქართველოში უფრო შესაძლებელი, ვიდრე პოლონეთში.

**— შესაძლებელია ასეთი გუნდის პეკინის ოლიმპიადისთვის მომზადება?**

— თუ ყველაფერი ისე წავიდა, როგორც მაიმედებენ, ალბათ შესაძლებელია. ათენის ოლიმპიადისთვის გია ასანიძის გარდა სხვების მაღალ დონეზე მომზადება არ მოხერხდება. შემდეგი ოლიმპიადისთვის მუშაობის დაწყება კი ახლავე საჭიროა.

**— რა რეაქცია ჰქონდა მილოშ კოლეჩკის, როცა თქვენი საქართველოში შესაძლოა დაბრუნების ამბავი გაიგო?**

— წამიყვანე მეცო, მთხოვა. რა თქმა უნდა, მეც, როგორც კავკასიელმა, დავპატიჟე, მაგრამ აქაურ პირობებში ალბათ დიდხანს ვერ გაძლებს.

**შოთა ძოწალეიშვილი**

ხელბურთი

## საქართველოს მე-13 ჩემპიონატი

### სიახლე ქართულ სპორტში: მოთამაშე მსაჯი

# ბოყოჩაძე ფიგაროა, ყველაფერს ასწრებს

29 მაისი

ქუთაისი 37:29 მართვე

თბილისი 34:31 სტუ-2

სტუ-შევარდენი 42:35 საუ-მამული

**მადლობა ღმერთს,** ჩვენ ხელბურთელთა ეროვნული ჩემპიონატის გუშინდელმა, ბოლოსწინა ტურმა გართულების გარეშე ჩაიარა — არც მწვრთნელთა და არც მოთამაშეთა მხრიდან მსაჯების მიმართ აგრესიას ადგილი არ ჰქონია. ეგაა, „ნამდვილი" მსაჯები არც ამჯერად გამოჩენილან და მატჩები რომ არ ჩაშლილიყო, ისევ გამოცდილ მწვრთნელ-მოთამაშეებს მოუხდათ მათი გაძღოლა. ერთი შეხვედრის მსაჯობა „ქუთაისის" ლიდერ ალეკო ბოყოჩაძესაც მოუწია.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს უცვლელი, ანუ 12-გზის ჩემპიონი„ სტუ-შევარდენი" წლეულს საგრძნობლად გაახალგაზრდავებული შემადგენლობით ასპარეზობს, ცხადია, მაინც პირველობის უმთავრესი პრეტენდენტია. გუშინ ტექნიკოსებმა მორიგი იოლი მოგება მიითვალეს — საპრიზო ადგილისთვის მებრძოლ აგრარული უნივერსიტეტის „მამულს" უკვე შუა ტაიმში ხუთი ბურთით „გაექცნენ" — 14:9 და საფინალო სასტვენამდე ერთხელაც არ მისცეს მეტოქეს წამოწევის საშუალება.

პირველი გამარჯვება იზეიმა „ქუთაისმა". ვეტერანები ალეკო ბოყოჩაძე, ზვიად შათირიშვილი და მათი ახალგაზრდა თანაგუნდელები ჯემალ ცერცვაძის სახელობის ხელბურთის სკოლის „მართვესთან" შეხვედრაში მე-20 წუთისთვის თითქმის ორმაგი სხვაობით (17:9) დაწინაურდნენ და ეს რვაბურთიანი უპირატესობა ბოლომდე შეინარჩუნეს.

ბომბარდირთა დავაში ერთ თამაშგამოტოვებულ ბოყოჩაძეს მამულელმა გიორგი წივწივაძემ გაასწრო. 21 წლის ათლეტური აღნაგობის ფორვარდმა „შევარდენს" 14-ჯერ გაუტანა და 45 გოლი დაუგროვდა. ბოყოჩაძე და შევარდნელთა ლიდერი რევაზ ჭანტურია წივწივაძეს ორ-ორი ბურთით ჩამორჩებიან.

დღეს, დასკვნით ტურში, ჩემპიონატის მთავარი მატჩია — ერთმანეთს წაუგებლად მოასპარეზე „სტუ-შევარდენი" და „თბილისი" დაუპირისპირდებიან.

**გია ახალაძე**

| სატურნირო ვითარება | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| სტუ-შევარდენი | 4 | 0 | 0 | 161:99 | 8 |
| თბილისი | 4 | 0 | 0 | 125:118 | 8 |
| საუ-მამული | 2 | 0 | 2 | 134:128 | 4 |
| ქუთაისი | 1 | 0 | 3 | 134:141 | 2 |
| სტუ-2 | 1 | 0 | 3 | 106:127 | 2 |
| მართვე | 0 | 0 | 4 | 104:151 | 0 |



„ქუთაისის" ლიდერმა ალეკო ბოყოჩაძემ გუშინ თამაშიც მოასწრო და მსაჯობაც

## როლან გაროსი 2003 საპრიზო 13 044 055 ევრო

# როგორ არ ვუყვარვართ ესპანელები... ელენას მამის კალთა ენატრება

### მეორე წრე

**კაცები**

**ლეიტონ ჰიუტი** (1, ავსტრალია) — ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) 6:3, 4:6, 6:3, 7:6 (7:5); **ხუან კარლოს ფერერო** (3, ესპანეთი) — ნიკოლას მასუ (ჩილე) 6:2, 3:0 მასუმ შეწყვიტა; **ნიკოლას კუტელო** (საფრანგეთი) — დავიდ ნალბანდიანი (8, არგენტინა) 6:3, 6:3, 4:6, 2:6, 6:1; **ალბერტ კოსტა** (9, ესპანეთი) — რადეკ სტეპანეკი (ჩეხეთი) 6:3, 5:7, 6:4, 3:6, 6:4; **სხენგ შალკენი** (12, ჰოლანდია) — ფაბრის სანტორო (საფრანგეთი) 6:1, 6:3, 6:4; **ფერნანდო ვისენტე** (ესპანეთი) — სებასტიან გროჟანი (14, საფრანგეთი) 7:6 (7:3), 6:3, 6:3; **გუსტავო კუერტენი** (15, ბრაზილია) — ჰიშამ არაზი (მაროკო) 6:1, 6:0, 6:1; **ფერნანდო გონსალესი** (19, ჩილე) — ალბერტ პორტასი (ესპანეთი) 6:3, 4:6, 6:4, 6:2; **ფელიძს მანტია** (20, ესპანეთი) — ფედერიკო ბროუნი (არგენტინა) 6:3, 4:6, 6:3, 6:1; **გასტონ გაუდიო** (21, არგენტინა) — ოლივიე მუტი (საფრანგეთი) 6:2, 1:6, 6:2, 6:2; **ივან ლიუბიჩიჩი** (ხორვატია) — ჯეიმს ბლეიკი (24, აშშ) 6:3, 4:6, 7:6 (7:2), 6:4; **ტიმ ჰენმანი** (25, ბრიტანეთი) — ტოდ მარტინი (აშშ) 7:6 (7:5), 5:7, 6:1, 7:5; **იარკო ნიემინენი** (30, ფინეთი) — ჟულიენ ვარლე (საფრანგეთი) 1:6, 1:6, 7:6 (7:4), 6:2, 6:4; **არნო კლემანი** (32, საფრანგეთი) — ლარს ბიურგსმიულერი (გერმანია) 6:3, 6:3, 6:3

ყველაზე ნაკლები ჯაფა გუშინ მესამე ნომრად განთესილ ხუან კარლოს ფერეროს დაადგა. მისი ჩილელი მეტოქე, მსოფლიოში რანგით 84-ე ჩოგნის მჭნეველი ნიკოლას მასუ მთლად საღად არც მატჩამდე იყო, მატჩის მსვლელობისას კი ნატკენი კოჭი სულ მთლად აიტკია და მატჩის გაგრძელება უაზრობად ჩათვალა.

არადა, რომც არ ჩაეთვალა, 23 წლის ბასრსა და საათობით ხათქუნა ვალენსიელს მისთვის მაინც არაფერი ემეტებოდა. შარშანდელი ფინალისტი როლანგაროსობის უმთავრესი ფავორიტთაგანია და ამის სათანადო საბუთებით შემტკიცებას ყველანაირად — კორტზეც და კორტის გარეც ცდილობს.

თუკი კორტზე ეს მეტოქეთა მოქანცვითა და მისავათებით გამოიხატება, კორტის გარეთ ფერერო ჩოგანს ენას უნაცვლებს. მასუს მერე მისგან ტურნირის ორგანიზატორებსაც მოხვდათ, რომელთაც მათი შეხვედრისთვის ერთ-ერთი პერიფერიული კორტი შეარჩიეს.

ფერერო: „პარიზში ჩამოსვლამდე ჩემს საამსეზონო ბურთაობას ურიგო არ ეთქმოდა, მაგრამ ამ ბატონებმა მაინც განაპირა კორტზე გამამწესეს. ჩანს, ისინი არ თვლიან, რომ მე ერთ-ერთი ფავორიტი ვარ. სხვა თუ არაფერი, ჩვენი თამაშის ყურება იმაზე მეტ ადამიანს უნდოდა, ვიდრე ამ კორტზე ეტევა... არა, ნაღდად არ მოველოდი, ასეთ კორტზე თუ მათამაშებდნენ.“

შეგახსენებთ, რომ წინა ოთხ როლანგაროსობაზე ფერერო, სულ ცოტა, ნახევარფინალში მაინც გადიოდა. ის ამ სეზონშიც ჩაუქად თიხნარობდა და 25 თიხნარმატჩში 23-ჯერ რომ იმარჯვა, ამ მოგებებმა მონტეკარლოური მასტერსტიტულიც მოარეწინა და მშობლიური ვალენსიურიც...

კვლავ ძალიან გაუჭირდა ლეიტონ ჰიუიტს, ვისაც ამჯერად ნიკოლაი დავიდენკო, წლეულს ჯერ ადელაიდაში, ხოლო მერე ეშტორილურ თიხნარზე წარმატებული რუსი ეჭიდავა.

ჰიუიტმა მატჩი დამაჯერებლად დაიწყო და თითქოს პრობლემებიც არ უნდა შექმნოდა, მაგრამ მეორე სეტში სადავეები მოაბოშა და საათნახევარში მოსაყომარებელი საქმე სამსაათნახევრიანად გადაიქცია.

ნერვებმა მას ხელმეორედ მეოთხე სეტში უმტყუნა, როცა თავის მოწოდებაზე სამი მატჩბურთის გამოყენება ვერ შეძლო. საბოლოოდ საქმე ტაიბრეიკამდე მივიდა და იქ კოჭი ალჩუზე უფრო სტაბილურად მოხათქუნე ავსტრალიელს დაუჯდა.

ჰიუიტისა და დავიდენკოს მატჩს წინ საინტერესო ვერბალური პაექრობა უსწრებდა.

ერთ-ერთი გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში 21 წლის რუსმა თქვა, რომ ჰიუიტს ის არ განიხილავს ტიტულის მთავარმოცილეთა შორის.

მის ამ სიტყვებს 7-გზის სლემტიტულოსანი ავსტრალიელი, განთქმული ჯონ ნიუკომბი გამოეხმაურა.

„ის მთავარმოცილეა, რადგანაც ყველა ის მეჩოგნე დაუმარცხებია, ვისაც ახლა როლანგაროსის ფავორიტებად მიიჩნევენ — თქვა მან — დევისთიხნარზე მას ალ კოსტასთვისაც უჯობნია, გუსტავო კუერტენისთვისაც და ორივე მათგანისთვის — მათსავე ქვეყნებში. და ერთი კვირაც არ გასულა მას შემდეგ, რაც მან დიუსელდორფულ თიხნარზე კარლოს მოია დაამარცხა. ის დაულალავი მებრძოლია და არაერთხელ დაუდასტურებია, რომ ხუთსეტიან მატჩებს კაცურად იტანს. ისინი, ვინც მას როლან გაროსის ფავორიტებში არ მოიხსენიებენ, ცოტა სულელები მგონია.“

ჩვენ მხოლოდ იმას მოგაგონებთ, რომ პირველ წრეში ჰიუიტს ასევე სამსაათნახევრიანი და ოთხსეტიანი განდაგანა გადახდა ამერიკელ ბრაიან ვაალისთან.

სხვაფრივ — გუშინ ძველებურად გაიკაშკაშა ტურნირის სამგზის (1997, 2000, 2001) ჩემპიონმა გუსტავო კუერტენმა. დახვეწილმა ბრაზილიელმა მრავალნაცად მაროკოელ ჰიშამ არაზის სულ რაღაც 82 წუთში გადაუარა.



გუსტავო კუერტენი

REUTERS



კიმ კლაისტერსი

REUTERS

**ქალები**

**კიმ კლაისტერსი** (2, ბელგია) — მარლენ ვაინგარტნერი (გერმანია) 6:2, 6:2; **ვინუს უილიამსი** (3, აშშ) — ევი დომინიკოვიჩი (ავსტრალია); **ლინდსი დევენპორტი** (6, აშშ) — იროდა ტულიაგანოვა (უზბეკეთი) 7:5, 6:1; **ჯენიფერ კაპრიატი** (7, აშშ) — მარიონ ბარტოლი (საფრანგეთი) 6:3, 6:0; **ტინა პისნიკი** (სლოვენია) — ელენა დოკიჩი (10, იუგოსლავია) 4:6, 6:3, 6:2; **მაგდალენა მალეევა** (15, ბულგარეთი) — ევგენია კულიკოვსკაია (რუსეთი) 6:3, 6:2; **რიტა გრანდე** (იტალია) — ელენა ბოვინა (20, რუსეთი) 7:5, 6:3; **ვერა ზვონარიოვა** (22, რუსეთი) — დენიზა ხლადკოვა (ჩეხეთი) 6:2, 6:3; **კონჩიტა მარტინესი** (24, ესპანეთი) — ემანუელე გალიარდი (შვეიცარია) 7:5, 6:2; **ნატალი დეში** (25, საფრანგეთი) — გალა ლეონ გარსია (ესპანეთი) 6:3, 6:4; **სილვია ფარინა ელია** (26, იტალია) — სუსანა ონდრაშკოვა (ჩეხეთი) 6:1, 6:2; **პაოლა სუარესი** (30, არგენტინა) — კორინა მორარიუ (აშშ) 6:1, 6:1

კიმ კლაისტერსმა თამაში თითქმის თავის კაცთან ერთად დაიწყო, მაგრამ მისგან განსხვავებით თავის საქმე ძალიან მალე, 52 წუთში მოამთავრა.

მასზე 14 წუთით მეტხანს გაირჯა მეექვსე ნომრად განთესილი ლინდსი დევენპორტი, ვისაც 21 წლის უზბეკი ხათუნი ტულიაგანოვა პირველ სეტში კი გაუძალიანდა, მაგრამ ეგ იყო და ეგ.

სამგზის სლემტიტულოსანმა ლინდსიმ ალაგ-ალაგ კი გაიბრწყინა, მაგრამ ალაგ-ალაგვე ძალზედ უნიათოდ წაიბურთავა.

შეგახსენებთ, რომ ის უკვე მეცხრედ როლანგაროსობს, თუმცა იქ 2000 წლის შემდეგ აღარ უთამაშია. შარშან და შარშანწინ პარიზში ჩასვლა მას ტრავმებმა დაუშალა.

მოსალოდნელი იყო და აკი ჩაიფლავა კიდეც მეათე ნომრად განთესილმა ელენა დოკიჩმა.

მკერდბირთვა იუგგოგო წლეულს ძალზედ უნიათოდ ჩოგნაობს და როგორც ირკვევა, ეგ ცხოვრებისეულ პრობლემებში ჯეროვნად ვერ გარკვეულობის გამო მოსდის.

დიდი ხანი არ არის, რაც რომ ელენა ყიამყრალი მამის, დამირის ოჯახს განუდგა და სატრფოსთან, ბრაზილიელ მეფორმულე ენრიკე ბერნოლდისთან გადასახლდა.

მაგრამ მამა-მწყემსის გარეშე ცხოვრებას ელენა ჯერაც ვერ ჰგუობს, მაგარი აჭრილია და ამ სეზონში ჯერ დინარის საღირალიც არაფერი გაუკეთებია.

გუშინ ის 22 წლის სლოვენიელმა, ტინა პისნიკმა გააბუნძურა. პისნიკის 42 უნებლიე შეცდომის წილ დოკიჩმა 89-ჯერ მიჰქარა და ეს შესანიშნავად უკუფენს იმ ბალღამს, რაიც მის კოხტა თავსა და ქორფა შიგანში მდუღარებს.

**ლევან ძელაურაძე**

## აგასიანთ სტატისტიკა-3



ანდრე აგასი

მაშ ასე:

კაფანდარა ჭაბუკი [illegible] გრად მოგლაჯუნე მარიო ანჩიჩის 5:7, 1:6, 6:4, 6:2, 7:5 ძლევამ 33 წლის ჯადომჩოგნე ანდრე აგასის კარიერის 763-ე და იმავდროულად — 49-ე საროლანგაროსო გამარჯვება მოახვეჭინა.

როლანგაროსზე მისდარად 49-ჯერ ლეგენდარულ შვედ ბიორნ ბორგს უმარჯვია, მათზე მეტი იქაური მოგება კი ასევე ლეგენდარულთ — იტალიელ ნიკოლა პიეტრანჯელის (50), ჩეხამერიკელ ივან ლენდლსა (53) და არგენტინელ გილერმო ვილასს (56) დაეკვეხებათ.

რაც შეეხება 763 საკარიერო გამარჯვებას, ამჟამად მოჩოგნავეთაგან ასეთ შთამბეჭდავ ნუსხას ვერავინ მოიძევს, ხოლო ღია ტურნირთა ეპოქაში ანუ 1968 წლიდან ყველაზე მეტი შეხვედრის მომგებთა ჩამონათვალში აგასი უკვე მეექვსე საფეხურზე დამკვიდრდა.

მან ერთი მოგებით გადაუსწრო 14-გზის სლემტიტულოსან თვისტომს, ლოსტსა და მთავარმეტოქე პიტ სამპრასას, ვის ანგარიშზეც 762 გამარჯვება ირიცხება.

უნდა ვიცოდეთ ისიც, რომ ორსეტიანი დეფიციტის აღმოფხვრა და მერე მატჩის მოგება აგასიმ უკვე მეხუთედ მოახერხა.

ამ ხუთიდან ყველაზე ცნობილი 1999 წლის როლანგაროსული ფინალია, რომელშიც ორი სეტით ის ანდრეი მედვედევთან მარცხდებოდა...

რვაგზის სლემტიტულოსანი და ავსტრალიის წლევანდელი ღია პირველობის ჩემპიონი მომავალ წრეში ბელგიელ ქსავიე მალისს შეხვდება. ისინი ერთანეთს ორჯერ დაჯახებიან და აგასის ორჯერვე სეტისწაუგებლად მოუგია.

## ივანიშევიჩის ცვლა

მარიო ანჩიჩი ჯერ 19 წლისაა და ანდრე აგასისთან რომ წააგო, ეს მისი ოდენ მე-9 სლემმატჩი გახლდათ.

მძლავრი მოწოდების, ბარაქიანი ხათქუნისა და იმპოზანტური გარეგნობის გამო პარიზულ პუბლიკაში მან უმალ სახელოვანი თვისტომის და მწვრთნელის, 2001 წლის უიმბლდონის ჩემპიონ გორან ივანიშევიჩის ასოციაციები გამოიწვია.

პუბლიკას არც გაემტყუნებოდა — ათლავაშა ხორვატი მართლაც ძალზედ ნიჭიერი მეჩოგნეა და მალე, როცა გამხდარ სხეულს კუნთოვანი ბეგთრით შემოსავს, ხოლო გონებას ტაქტიკის ჯანდარაში გაატარებს, ეგებ ამქრის ერთ ყველაზე დაუნდობელ ქილერადაც იქცეს.

შეგახსენებთ, რომ ავსტრალიის წლევანდელ ღია პირველობაზე მან მეოთხე წრემდე გაატანა, შარშანდელი უიმბლდონიდან კი თვით როჯერ ფედერერი აოტა.



მარიო ანჩიჩი

## კორტის ძახილი

მხოლოდ ამერიკელ ლაურა გრანვილთან 1:6, 2:6 დამარცხების შემდეგ მიხვდა როლან გაროსის 1997 წლის ჩემპიონი ივა მაიოლი, რომ წლეულს სეფეპარიზობაზე საერთოდაც არ უნდა ჩასულიყო.

არ უნდა ჩასულიყო, რადგანაც ბარძაყმოუშუშებელს იქ არაფრის იმედი არ უნდა ჰქონოდა და პირუკუ — საფრთხე იყო, რომ ტრავმასაც უარესად წაიმურდლავდა.

მაგრამ რა ქნას ქალმა, თუკი კორტი, რომელზეც კარიერის უმთავრესი ბრძოლა მოუგია, ისევე გარდაუვლად უხმობს, როგორც იღუმალი სარეცელი პირველ ღამეს...

ცხადია, ქალი ამ ძახილს ნებდება. ოღონდ მერე ხშირად ნანობს ხოლმე, რაკიღა ნაოცნებარი სიამის ნაცვლად იქ ბითური ტკივილი ელოდება.

„ჰო, კარგი გაკვეთილი მივიღე — ამბობს ახლა მაიოლი — და ძალიან მრცხვენია, ასე უსახურად რომ ვითამაშე.“

მაიოლის გავარდნის შემდეგ კენტად მოჩოგნავე ქალთა ამქარს მხოლოდ ორი როლანგაროსოსანი ურჩება. ესენი ჯენი კაპრიატი და სერენა უილიამსი არიან.



ივა მაიოლი პირველმა სიყვარულმა გააწამა




გუშინ ევერესტის საიუბილეოდ ნეპალის დედაქალაქ კატმანდუში მთამსვლელთა სიმპოზიუმი მოეწყო. სიმპოზიუმის პრეზიდიუმში იყვნენ: დედამიწის თოთხმეტივე რვაათასიანზე პირველამსვლელი, იტალიელი რაინჰოლდ მესნერი, ევერესტის პირველდამპყრობი, ახალზელანდიელი ედმუნდ ჰილარი მეუღლითურთ, ნეპალის კულტურის, ტურიზმისა და სამოქალაქო ავიაციის მინისტრი კუბერ პრასად შარმა, ნეპალის კრონ პრინცი პარა ბირ ბიკრამ შაჰ დევი, კრონ პრინცესა ჰიმანი რაჯა ლაჰმი დევი შა, ქალთაგან ევერესტის პირველდამპყრობი, იაპონელი იუნიკო ტაბეი და ამავე მწვერვალზე ჰილარისთან ერთად გზის პირველ გამკვალავ თენსინგ ნორგეის შვილი — ჯამლინგ თენსინგ ნორგეი შერპა

# შერეკილები ოცნების მწვერვალზე

**ჯომოლუნგმას** რომ ლაპარაკი შეეძლოს, გუშინწინ აღმოხდებოდა, ესღა მაკლდაო! ამას იმ საბჭოური თუ რუსული წარმოების შვეულმფრენზე იტყოდა, რომელიც მის საბაზო ბანაკში ჩამოვარდა და იქ მყოფ აუარება მთამსვლელს ლამის ზედ თავზე დაეცა. ამ უბედურ შემთხვევას შვეულმფრენში მყოფთაგან სამი მთამსვლელი ემსხვერპლა და კიდევ რამდენიმე მძიმედ დაშავდა.

მართლაც, რა აღარ უნახავს ჯომოლუნგმას, მაგრამ ის ყოველივე, რაც დედამიწის უმაღლეს მწვერვალზე პირველასვლიდან 50 წლის მერე ამ საიუბილეო დღეებში მოხდა და ხდება, ჩვენი პლანეტის სახურავს არ ახსოვს. არ ახსოვს არც ამდენი ხალხის მოზღვავება და არც მათი საარაკო ამბები. ამ ამბავთაგან ერთ-ერთმა ალპინიზმში საბჭოთა კავშირის მრავალგზის ჩემპიონთან და პრიზიორთან, თბილისელ ოთარ ხაზარაძესთან ერთი ჩემი დიალოგის ფრაგმენტი გამახსენა.

მაშინ, მთამსვლელობის ხიფათიანობის ამბავი რომ ვიცოდი, რომელიღაც ექსპედიციიდან ჩამოსულ ოთარ ხაზარაძეს ვკითხე, თქვენს შვილს თუ გაუშვებდით-მეთქი მთაში?

ეს კითხვა იყო და, ხალისიანად მოუბარს თითქოს დენმა დაარტყა, სკამზე შეხტა და შეიცხადა, რას ამბობ, მთაში რა უნდა, თუ თოვლი და ყინვა უნდა, აგერ თხილამურები, აგერ ბაკურიანი და იმისი ჯანიო.

ასე, იშვიათი გამონაკლისის გარდა, მთამსვლელები შვილებს მთაში სიარულს არ ურჩევენ და ხელსაც უშლიან. მაგრამ მშობლებს ყურს ვინ უგდებს?

ეს შესავალი კი იმისთვის დამჭირდა, რომ სხვა უნიკალური ამბების პარალელურად იაპონელი მამა-შვილის, იუჩირო და გოტა მიურების ამბავიც გიამბოთ.

უკვე გამცნეთ, რომ ეს მამა-შვილი ერთად ავიდა ჯომოლუნგმაზე. ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა დედამიწის უმაღლეს მწვერვალს მამა-შვილის წყვილმა მიაღწია. ეს ასვლა უნიკალური იყო იმითაც, რომ მამა გახდა უხუცესი, რომელმაც ეს მწვერვალი დალაშქრა. მამა, იუჩირო მიურა, იმ დროს 70 წლის და 222 დღისა იყო.

ღმერთმანი, საინტერესოა, რას ერჩოდა ამ ხნის კაცი ან თავის თავს, ან საკუთარ 33 წლის შვილს, რომელიც, სხვათა შორის, ნაგანოს ოლიმპიურ თამაშებზე ფრისტაილში იაპონიის ნაკრების წევრი იყო. ან რას ერჩოდა მათთან ერთად მწვერვალზე ასულ თანამემამულეს ნორიუკი მურაგუჩის, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესო მთამსვლელი და მთების ფოტოგრაფია, იმ დღეს კი დედამიწის კენწეროს 1998 და 2000 წლების მერე მესამედ მიაღწია, რითაც იაპონიის რეკორდსმენი გახდა.

ასვლისას იმ ბერიკაც მამა მიურას, გულის შეტევა რომ მოსვლოდა, წნევას აეწია ან სხვა რამ დამართნოდა, ამით ხომ შვილსაც და მთების ფოტოგრაფსაც დიდ ხიფათში ჩააგდებდა, მაგრამ, ეტყობა, სამივენი ერთმანეთზე დიდი შერეკილები არიან. თუმცა, მგონია, რომ უფროსი მიურა უფრო დიდი შერეკილია და ამ მხრივ მსოფლიოს მთამსვლელთა შორისაც ერთ-ერთი გამორჩეული.

ეს უფროსი მიურა ის მიურაა, რომელმაც ამ 33 წლის წინათ თავისი შერეკილობით ქვეყანა ალაპარაკა. მაშინ ჯომოლუნგმას იაპონელთა მთელი არმია მიადგა და ორ ჯგუფად გაიყო. ერთ ნაწილს, რომელშიც 39 იაპონელიდან 23 მთამსვლელი, 7 მეცნიერი, 9 კინოოპერატორი და ჟურნალისტი იყო, 45 შერპა და 500 მებარგული ემსახურებოდა, მაცუკატა და ოცუკა მეთაურობდნენ. ისინი სამხრეთ დასავლეთიდან ცდილობდნენ ასვლას და 8050 მეტრიდან პირი იბრუნეს, რადგან ორი იაპონელი მთამსვლელი ქვათაცვენაში მოჰყვა და დაშავდა, ერთი შერპა კზუმბუს ყინვარზე ნაპრალში ჩაიჩეხა, მეორე კი გულის შეტევით გარდაიცვალა. ამიტომ ეს გუნდი ბოლოს სამხრეთის კლასიკური მარშრუტით დაკმაყოფილდა, მწვერვალს კი მიაღწია ორმა, ტერუო მაცუურამ და ნაომი უემურამ, რომელმაც მერე თავისი საარაკო სიგიჟით ძალზე გაითქვა სახელი და ბოლოს ჩრდილოეთ ამერიკის სახურავზე, მაკკინლიზე უგზო-უკვლოდ დაიკარგა.

იაპონელთა მეორე ჯგუფს, რომელსაც ტაკახარა მეთაურობდა, მიზნად კლასიკური მარშრუტით ასვლა, იქიდან შერეკილი იუჩირო მიურას თხილამურებით დაშვების უზრუნველყოფა და ამ ფანტასტიკური ამბის ფირზე აღბეჭდვა ამოეჭრა გულში. ამ მიზნის მისაღწევად გუნდში იყო 34 მთამსვლელი, მათ შორის ორი პროფესიონალი სამთომოთხილამურე, 800 მებარგული და 10 კინოოპერატორი.


მანუელა დი ჩენტა

ამ გუნდს პირველზე დიდი ტრაგედია დაატყდა თავს, როცა 5750 მეტრის სიმაღლეზე ვეება ყინული მოწყდა და ექვსი შერპა თავის ნამსხვრევებში ჩამარხა. ამიტომ გუნდმა მწვერვალის კენწეროზე ხელი აიღო და მისი სიახლოვიდან მიურას თხილამურებით დაშვების უზრუნველყოფაზე გადაერთო...

ბრწყინვალე ფილმი გამოვიდა. ამ ფილმმა, რომელსაც „სახიფათო დაშვება ევერესტიდან“ უწოდეს, ოსკარი დაიმსახურა, როგორც საუკეთესო დოკუმენტურმა ფილმმა.

ახლაც თვალწინ მიდგას ამ „სახიფათო დაშვების“ ბოლო კადრები: მიურა რამდენიმე კაცთან ერთად ადის მწვერვალთან ახლოს. იქ თხილამურებს ირგებს ფეხებზე და სიკვდილთან თამაშიც იწყება, რაც სულ რამდენიმე წამს გრძელდება.

სტარტის აღებისთანავე მიურა საშინელი სისწრაფით მოქრის. სიჩქარის შენელებას სლალომით ცდილობს, მაგრამ არაფერი გამოსდის. ბოლოს დასამუხრუჭებლად პარაშუტს ხსნის, მაგრამ სულ რამდენიმე წამში იგი ციცაბო ფერდობზე რაღაც ყინულის შვერილს ედება, იჩუტება და მიურას უკან თოკებზე გამობმული ძონძივით ფრიალებს.

ამასობაში მიურა თხილამურებზე კონტროლს კარგავს, ვარდება და უფსკრულისკენ თავბრუდამხვევი სისწრაფით მისრიალებს. პირქვედამხობილი მთელი ტანის სიმძიმით ამაოდ აწვება წერაყინს, რომ დამუხრუჭდეს. ერთი ამოსუნთქვაც და უფსკრულში გადაიჩეხება. სწორედ ამ დროს მოულოდნელად ერთ ადგილზე ქვავდება. მისკენ აქეთ-იქიდან ორი მთამსვლელი გაჭირვებით მიიწევს, თან დროდადრო მიურას უყვირიან, არ გაინძრეო. ფერდობის სხვადასხვა მხარეს ჩასაფრებული ოპერატორები მიურას მსხვილ პლანში აჩვენებენ, ის კი მართლაც უსულო გვამივით გაშეშებულა...

— მაშინ, ცოცხალი რომ გადავრჩი, ჩემს თავს პირობა მივეცი, ოდესმე აქ კიდევ დავბრუნდები და ჯომოლუნგმადან გადმოვიხედავ-მეთქი. მერე თხილამურებით ყველა კონტინენტის უმაღლესი მწვერვალიდან ჩამოვისრიალე, მაგრამ 33 წლის წინათ დადებული პირობა ახლა გავამართლე. ამჯერად ჩემი გამოწვევა განსაკუთრებული იყო, რადგან მწვერვალზე საკუთარ შვილთან და ნორიუკი მურაგუჩისთან ერთად ავედი...



მამა-შვილი იუჩირო და გოტა მიურები ევერესტზე

ახლა, ამ საიუბილეო დღეებში იმდენი მთამსვლელი ავიდა ჯომოლუნგმაზე და იმდენი უნიკალური ლაშქრობა განხორციელდა, რომ მათი რაოდენობა ჯერაც ვერ დაუდგენიათ, მაგრამ ამ მწვერვალზე რამდენიმე ლაშქრობამ უკვე საყოველთაო ყურადღება მიიპყრო.

ერთ-ერთი ასეთი იყო იტალიელი მანუელა დი ჩენტას ასვლა. იგი 26 მაისს გახდა პირველი იტალიელი ქალი, რომელმაც ჯომოლუნგმას მიაღწია, მაგრამ მან ჩვენი ყურადღება, უწინარეს ყოვლისა, იმით მიიპყრო, რომ ისიც პროფესიონალი მოთხილამურე და ამ საქმეში მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების მრავალგზის ჩემპიონ-პრიზიორია. დი ჩენტამ განსაკუთრებით ლილეჰამერის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე გამოიჩინა თავი.

მაშინ ეს მომხიბლავი 31 წლის იტალიელი თხილამურებით მორბენალი ქალი ხუთჯერ გავიდა სტარტზე და ხუთივეჯერ საპატიო კვარცხლბეკზე ავიდა, აქედან ორ-ორჯერ პირველ და მეორე, ხოლო ერთხელ მესამე საფეხურზე. ამდენი მედალი ლილიჰამერში არავის მოუპოვებია. მანუელას მსოფლიოს უძლიერეს მოთხილამურეებთან ჭიდილში მანამდეც დაუმსახურებია ხუთი მედალი, ოღონდ იმ კოლექციის შეგროვებას ორ წელიწადს მოუნდა, ოღონდ იმ ძველ „ასორტიმენტში“ ოქრო არ ყოფილა. იყო მხოლოდ ოლიმპიური თამაშების ერთი ბრინჯაო და მსოფლიოს ჩემპიონატის ორ-ორი ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალი.

დი ჩენტამ ლილიჰამერში თავი გამოიჩინა არა მხოლოდ როგორც ბრწყინვალე სპორტსმენმა, არამედ როგორც ჩინებულმა მწვრთნელმაც. იგი საოლიმპიადოდ თავის მშობლიურ, ქალაქ ლევიონში განმარტოვდა და, როგორც იტყვიან, საკუთარ თავს თავადვე მიხედა.

„ლევიონში მე თავად ვწყვეტდი, თავი როგორ დამეტვირთა. მე შემეძლო, ყოველდღე ჩემს გემოზე მეცხოვრა“ — თქვა მანუელამ.

ამის მერე დი ჩენტამ ნაგანოს ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზეც იასპარეზა და თავისი მედლების კოლექცია ესტაფეტაში ბრინჯაოს ჯილდოთი გაიმდიდრა, რითაც საბოლოო ჯამში ექვს ოლიმპიურ მედალს მოუყარა თავი.

დი ჩენტას საევერესტო მიღწევა კი ორმაგად უჩვეულოა, რადგან მას ალპინისტური, მით უმეტეს სასიმაღლო ასვლების გამოცდილება საერთოდ არ ჰქონია. იგი მხოლოდ ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში თანამემამულე ფაბიო მერალდისთან ვარჯიშობდა, ძირითადად კი ჟურნალისტიკით იყო დაკავებული, რასაც ნაგანოს ოლიმპიადის მერე მიჰყო ხელი.

ახლა მანუელა დი ჩენტა ალბათ წერაყინს დროებით გვერდზე გადადებს და გიყვარდეთ, ამ ლაშქრობიდან შინ დაბრუნებული წრიაპების ნაცვლად კალამს ალესავს.

ამასვე იზამს შერპა ანგ ჩირინგი, რომელიც 22 მაისს გახდა პირველი ნეპალელი ჟურნალისტი, რომელმაც ჯომოლუნგმა დალაშქრა.

ის დღე მისმა თანამემამულე პემბა დორჯი შერპამ ჯომოლუნგმაზე სხვა უფრო მნიშვნელოვანი მიღწევით აღნიშნა, მაგრამ ამაზე ხვალინდელ „სარბიელში“ გიამბობთ.

**ავთანდილ გურასაშვილი**

*რამაზ ნოზაძის ოქროსა და მუხრან ვახტანგაძის ბრინჯაოს მედლები, გუნდურ ჩათვლაში მეხუთე ადგილი — ამ შედეგით დაბრუნდნენ ბერძნულ-რომაული სტილის ქართველი მოჭიდავეები ბელგრადში გამართული ევროპის ჩემპიონატიდან. ამ თემაზე ვესაუბრეთ ქართული დელეგაციის ერთ-ერთ ხელმძღვანელს თემურ ყაზარაშვილს, რომელიც ტურნირზე მსაჯადაც იყო მიწვეული*

# ჭიდაობას სად უნდა...
## ახალი წესების ქოთანი: საით გამოაბან მსაჯებმა ყური?


რამაზ ნოზაძე

**— როგორ შეაფასებდით ჩვენს მოჭიდავეთა გამოსვლას?**

— ამ ჩემპიონატს შეიძლება ხელიდან გაშვებული შესაძლებლობების ჩემპიონატი ვუწოდოთ. რა თქმა უნდა, ნოზაძემ ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა. ნამდვილი გმირობა იყო ვახტანგაძის მესამე ადგილიც. მუხრანმა, ფაქტობრივად, მთელი ტურნირი ცალი ფეხით იჭიდავა, მაგრამ ხასაიას, კვირკველიას, გიორგაძესა და ლომიძეს მეტი შეეძლოთ.

**— არადა, კარგად მოემზადნენ, მოხერხდა შეკრებებისა და საკონტროლო შეხვედრების ჩატარებაც. რატომ ვერ იჭიდავეს უკეთ?**

— ჭიდაობაში ხან მოიგებ, ხანაც წააგებ. ხასაიას ფინელთან წაგებას არავინ ელოდა. ის დამატებით დროში, ჯვარედინი ჩავლების დროს დამარცხდა. სხვათა შორის, ტურნირზე მსაჯებიც კი ვერ გავერკვიეთ ბოლომდე, რა კრიტერიუმებით განვსაზღვროთ ესა თუ ის მოქმედება. ძალიან ხშირად ცვლიან წესებს. მოჭიდავეებზე არაფერს ვამბობ. რაც შეეხება კვირკველიას დამარცხებას თურქ სერეთ ეროლლუსთან, მიმაჩნია, რომ ეს ბრძოლა ფინალსაც დაამშვენებდა. საერთოდ, ჩვენს მოჭიდავეებს არ გაუმართლათ კენჭისყრისას.

**— მირიან გიორგაძე ებრაელ ევსჩუკს მინსკში, „სტაიკებშიც" ეჭიდავა, მგონი, დაამარცხა კიდეც. ბელგრადში კი სუფთად წააგო. რა მოხდა?**

— ალბათ ზედმეტი თავდაჯერებულობაა მიზეზი. მინსკში სპარინგების დროს მირიანმა რამდენჯერმე დაამარცხა ევსჩუკი, ადვილად-მეთქი, ვერ იტყვი, მაგრამ დაამარცხა. ბელგრადში 1:10 რომ არ წაეგო, მეოთხედფინალში გადიოდა. ფსიქოლოგიურად ვერ განეწყო.

**—სიდნეის ოლიმპიადის პრიზიორ აკაკი ჩაჩუას ლაშა ლომიძე ამჯობინეს, ის კი მეოთხედფინალში დამარცხდა...**

— დამარცხდა ძლიერ ბელარუს სლივინსკისთან. ბელარუსებმა საერთოდ კარგად იასპარეზეს. ოქრო არ მოუგიათ, მაგრამ ექვსი პრიზიორი ჰყავთ და გუნდური პირველი ადგილიც დაიკავეს. ლაშა კი ძალიან პერსპექტიული სპორტსმენია და თანდათან იძენს გამოცდილებას.

**— ირაკლი ჭოჭუას წმინდად დამარცხებამ სომეხ ამოიანთან მთელ გუნდზე უარყოფითად იმოქმედაო. ჰქონდა ირაკლის შანსი ამ შეხვედრაში?**

— ამან მართლაც იმოქმედა გუნდზე. პირველივე დღეს დამარცხება, თანაც წმინდად. ირაკლის ძლიერი მეტოქე შეხვდა და გამარჯვების შანსი ალბათ არ ჰქონდა.

**— მუხრან ვახტანგაძე ტრავმირებული წამოვიდა ევროპის ჩემპიონატზე. ვინ მოისურვა ეს?**

— მუხრანი ტურნირის ნამდვილი გმირია, ჩემი აზრით, კარგ ფორმაშიც იყო. ტრავმა თბილისში, გამგზავრებამდე ცოტა ხნით ადრე მიიღო. შეეძლო, ჭიდაობაზე უარი ეთქვა, მაგრამ თავისი გაიტანა და სომეხ გეგამიანს ნახევარფინალში ასე ბინძურად რომ არ ეჭიდავა, ალბათ ჩემპიონობასაც შეძლებდა. გეგამიანს რაც შეეხება, თავისი პირით თქვა სხვა შანსი არ მქონდაო.

**— ელოდით რამაზ ნოზაძის გამარჯვებას?**

— რამაზი ძალიან ნიჭიერია, ფიზიკურადაც ძლიერია. მისი გვეიმედებოდა, ოღონდ გვეგონა, გამოცდილება არ ეყოფოდა, რამაზმა კი თავდაჯერებულად, ტაქტიკურად უნაკლოდ იჭიდავა და ერთხმად აღიარეს ტურნირის აღმოჩენად.

**— ტურნირის ორგანიზაციით კმაყოფილი დარჩით?**

— ჩემი აზრით, ჯობდა, 50-ე, საიუბილეო ტურნირი უფრო საჭიდაო ქვეყანაში ჩაეტარებინათ. ორგანიზებული კი იყო ნორმალურად, მაგრამ ტრიბუნებზე მაყურებლის სიმცირე იგრძნობოდა, რაც თავისთავად უარყოფითად მოქმედებს ჭიდაობის ხარისხზე.

**შოთა კოპალეიშვილი**



*გუშინ საღამოს სტამბოლში საზეიმოდ გაიხსნა ევროპის რიგით მეოთხე ვაჟთა პირველობა ჭადრაკში. პირველ დღეს მხოლოდ პრეზენტაციები, მისალმებები და ხელის ჩამორთმევები დაიკავებს, მთავარი მოვლენები – თამაშები კი დღეს თბილისის დროით 17 საათზე დაიწყება*

# ვერ არის სტამბოლი კაშივით


ზურაბ აზმაიფარაშვილი ევროპის ჩემპიონატის ფავორიტთაგანია

**ევროპის ჩემპიონატში** სულ 42 ქვეყნის 222 მოჭადრაკე მონაწილეობს, მათ შორის ცნობილი დიდოსტატები — ალექსანდრ გრიშჩუკი, ვასილ ივანჩუკი, ზურაბ აზმაიფარაშვილი, ივან სოკოლოვი და სხვანი. ჩემპიონატი ინდივიდუალურია და თითოეული მონაწილე თავისი ქვეყნის დროშის ღირსებას მარტოდმარტო დაიცავს. თამაშები შვეიცარიული სისტემით წარიმართება და თუ ვინ იქნება შეჯიბრის გამარჯვებული, ეს ბოლო ორ ტურში გამოჩნდება.

ჩემპიონატის ერთ-ერთ ფავორიტად ჩვენებური მოჭადრაკე, ფიდეს ვიცე-პრეზიდენტი დიდოსტატი ზურაბ აზმაიფარაშვილი ითვლება, თუმც სტამბოლში გამგზავრებამდე ბატონმა ზურაბმა ჩვენთან საუბრისას განაცხადა, რომ წლევანდელ პირველობაზე ფავორიტი არავინაა და რეიტინგით პირველ 50 საუკეთესო მოჭადრაკეს გამარჯვების თანაბარი შანსი აქვთ.

შეგახსენებთ, რომ გასული სამი წლის პირველობის გამარჯვებულები, პაველ ტრეგუბოვი (2000), ემილ სუტოვსკი (2001) და ბართლომეო მასიეა (2002) საჭადრაკო ელიტის წარმომადგენლებად არ ითვლებოდნენ და ამჟამად ფიდეს რეიტინგში ოცდამეათე-მესამოცე ადგილებზე იმყოფებიან.

სტამბოლში ყველაზე ბევრი მოთამაშე რუსებს ჰყავთ — 35, შემდეგ მოდიან მასპინძელი თურქები — 19 და უკრაინელები — 15. ქართველები 11 მოჭადრაკით რაოდენობის მხრივ მეოთხე ადგილზე აღმოჩნდნენ, როგორ დაამთავრებენ ხარისხის მხრივ, საინტერესო აი ესაა.

წლევანდელ პირველობაზე მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურებიც გათამაშდება და მას საუკეთესო 39 ვაჟი მიიღებს. რაც შეეხება ფულად ჯილდოებს, სრული საპრიზო თანხიდან (192 ათასი ევრო) ევროპის ჩემპიონი 32 ათასს მიიღებს, მეორე ადგილზე გასული 24 ათასს, ხოლო მესამეადგილოსანი 16 ათასს.

**ლაშა გეგეჭკორი**



giro d'italia

**ჯირო დიტალია 10 მაისი - 1 ივნისი**

*იტალიელმა ალესანდრო პეტაჩიმ ჯიროს მე-17 ეტაპიც მოიგო და წლევანდელ წრეზე მე-6 მორჯულებული ეტაპი დაუგროვდა. პეტაჩი გაუტოლდა თავის თანამემამულე, მსოფლიოს ჩემპიონ მარიო ჩიპოლინის, რომელმაც ჯიროს ექვსი ეტაპის მოგება შარშან შეძლო. რეკორდის მფლობელი კი ლეგენდარული ესპანელი ალფრედო ბინდასია. ბინდასმა შორეულ 1927 წელს ჯიროს 12 ეტაპზე იმარჯვა.*



ალესანდრო პეტაჩი: ესეც ექვსი!

# პეტაჩის პენტა არ ეყო და სეპტა ეზევრა

**ესპანელი** ბინდასის რეკორდს პეტაჩი წლეულს ვერანაირად ვერ შესწვდება, სამაგიეროდ, მას აქვს შანსი, გაუტოლდეს თანამემამულე ჯუზეპე სარონის, ჰოლანდიელ როჯერ დე ვლაემინკს და ბელგიელ ფრედი მაერტენსს. ამ სამეულს ჯიროს შვიდ-შვიდი ეტაპი აქვთ მოგებული.

„ექვსი ეტაპის მოგება შესანიშნავი შედეგია, შვიდი კი ფანტასტიკა იქნება, მაგრამ ამას ალბათ ვერ შევძლებ. სარონი, მაერტენსი და კლაემინკი დიდებული მრბოლელები იყვნენ. მე მათთან ახლოსაც ვერ მივალ" — თავი დაიმდაბლა 29 წლის პეტაჩიმ რბოლის შემდეგ.

პეტაჩი კი ამბობს, ვერ გავაშვიდებო, მაგრამ სპეციალისტები იტალიელის მორიგ ზეობას ამ შაბათს ვარაუდობენ. შაბათს ჯიროს მე-19 ეტაპია და მისი ფინიში მილანის მახლობლად კანტუშია. კანტუ პეტაჩის მშობლიური ქალაქია და მისი ტრასების ასავალ-დასავალი პეტაჩიზე უკეთ ალბათ არავინ უწყის.

ამასობაში ბოლო „შტურმისთვის" ემზადება სტეფანო გარძელი, რომლისთვისაც მე-18 ეტაპი ბოლო შანსია, საერთო ჩათვლის ლიდერს ჯილბერტო სიმონს დაეწიოს.

„მოვიგებ რბოლას სიმონის წამოვეწევი, ვერა და ყველაფერი აქ მორჩება" — თქვა გარძელიმ, რომელიც მევალე ვარაიტას ალპურ ზონას თავიდანვე შეუტევს. ვარაიტის მთები შვეიცარიის საზღვარზეა და უძნელესი რელიეფის აღმართ-დაღმართიანი გზაა.

**ბაჩო სვანიძე**

**ტექნიკური შედეგები**

**XVII ეტაპი. 28 მაისი**
**სალიცე — ტერმე. 117 კმ**

1 ალესანდრო პეტაჩი (იტალია, ფასა ბორტოლო) 2 სთ 39 წთ 47 წმ
2 იან სვორადა (ჩეხეთი, ლამპრე) იგივე დრო
3 ჯოვანი ლომბარდი (იტალია, დომინა ვაკანცე) იგივე დრო

**საერთო ჩათვლა**

1 ჯილბერტო სიმონი (იტალია, საეკო) 74 სთ 01 წთ 13 წმ
2 სტეფანო გარძელი (იტალია, ვინი კალდიროლა) + 1 წთ 58 წმ
3 იაროსლავ პოპოვიჩი (უკრაინა, ლანდბუკრედიტი) + 4 წთ 5 წმ
4 ანდრეა ნოე (იტალია, ალესიო) + 5წთ 16 წმ
5 რაიმონდას რუმსასი (ლიტვა, ლამპრე) + 6 წთ 11 წმ



# ჯონი უილკინსონი საუკეთესოა. ჯერ მხოლოდ სამშობლოში

**ინგლისის** ნაკრების სუპერვარსკვლავს ჯონი უილკინსონს აღიარება არ აკლია. „ვარდების" 22 წლის მე-10 ნომერი არაერთხელ მოხვდა ნაირ-ნაირ სიმბოლურ ნაკრებებში და შარშან მსოფლიოს საუკეთესო მორაგბეთა სამეულშიც დასახელდა.

ოთხაბათს ლონდონში პროფესიულ მორაგბეთა ასოციაციამ ფეხჩუბინი უილკინსონი წლევანდელი პრემიერლიგის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელა. პროფესიულ მორაგბეთა ასოციაციამ მხედველობაში მიიღო როგორც საკლუბო, ასევე სანაკრებო მატჩებში ჯონის შედეგიანობა და მისი ვირტუოზული თამაში.

„ჩემთვის ძალიან დიდი პატივია ასეთი აღიარება. 22 წლის ასაკში — ამას ბევრი ვერ აღწევს. ვეცდები, გავამართლო ნდობა და გპირდებით, რომ თავში არ ამივარდება" — განაცხადა დაჯილდოვების ცერემონიალზე ინგლისის ნაკრებისა და „ნიუკასლის" ვარსკვლავბიჭუნამ.

გამოკითხვაში მონაწილეობდა პრემიერშიპის 600-მდე მორაგბე, ამათგან უმეტესობამ, დაახლოებით 400-მა კაცმა, თავისი ხმა უილკინსონს მისცა.

ლონდონში სეზონის საუკეთესო მოთამაშის გარდა სხვა პრიზებიც ჩამორიგდა. ჩვენ ამათგან ხუთი ნომინაცია გამოვარჩიეთ. საუკეთესო ახალგაზრდა მოთამაშე „გლოსტერის" 21 წლის შემტევი ჯეიმს ფორესტერი გახდა. ლიგის ბომბარდირის ტიტული და შესაბამისად სარაგბო „ოქროს ბუცი" ასევე „გლოსტერის" მე-10 ნომერ ფრანგ ლუდოვიკ მერსიეს ერგო. ნომინაციაში — „რაგბის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის" გაიმარჯვა ინგლისის ნაკრებისა და „ჰარლექუინზის" უბერებელმა მორკინალმა ჯეისონ ლეონარდმა. „დიდების დარბაზს" შეემატა ინგლისელი პიტერ ვილერის, უელსელი ჯერალდ დევისის და ავსტრალიელი ტიმ ჰორანის მაისურები. ფეარ-ფლეის პრიზი „ლონდონ აირიშის" ყოფ ჯაროდ კანინგემს გადაეცა.

**ბაჩო სვანიძე**



ჯეისონ ლეონარდი


ჯონი უილკინსონი

# ზიკო მაინც ითამაშებს

იაპონიის საფეხბურთო ნაკრების მწვრთნელი, განთქმული ბრაზილიელი ზიკო ამ უქმეებზე სამხრეთკორეელების წინააღმდეგ გაიყვანს თავის გუნდს. ატიპიური ვირუსის შიშმა გადადო აღმოსავლეთ აზიის ჩემპიონატი ფეხბურთში, ზიკოს კი არ უნდა, რომ გუნდი მთლად უსაქმოდ ჰყავდეს. ამასობაში კი, ერთ-ერთ იაპონურ ფირმას ველოსიპედი ზიკო გამოუშვია.


REUTERS ტოკიოდან



REUTERS ჰანოიდან

# ბექჰი ვიეტნამში

ვიეტნამის დედაქალაქ ჰანოიში დიახაც უკვე გამოჩნდა დევიდ ბექჰემი, რომელიც „კასტროლის“ ზეთებს უწევს რეკლამას. ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტომ ახლახან გაავრცელა ცნობა, რომ 26 ივნისს ბექჰი ვიეტნამის ყველაზე კომერციულ ქალაქ ჰოშიმინში, ძველ საიგონში ჩავა. საქმე „კასტროლის“ სარეკლამო კამპანიას ეხება. „კასტროლმა“, ცხადია, იცის, რომ ბექჰემი არანორმალურად პოპულარულია აზიაში.


REUTERS ნიურნბერგიდან

# მადლობა

ხომ სცნობთ ამ ტანსა და მოყვანილობას? აბა, როგორ აგერევა ლევერკუზენის „ბაიერის“ პატრონი რაინერ კალმუნდი სხვა კაცში! შარშან „ბაიერი“ ჩემპიონთა ლიგის ფინალში იყო, წლეულს კი „ნიურნბერგის“ 1:0 დამარცხებით გადაურჩა ბუნდესლიგიდან გავარდნას. კალმუნდს კი ეგ არ ეშლება, დადგა და ქედი მოიხარა ერთგულ გულშემატკივართა წინაშე.


REUTERS ბომბეიდან

# მალახამბი

ეს ცირკის ტანმოვარჯიშე ინგლისელი გოგო სატია კოტონ ლეპემი შუა ბომბეიში თოკზე ტრიალებს. სატია ინდურ ტანვარჯიშს, მალახამბს მისდევს. მალახამბი ძველი ინდური ტანვარჯიშის ოსტატობაა, რვა საუკუნის განმავლობაში ჩამოქნილი. აქ შეზავებულია ტანის აგრესიული ფლობა და ინდური სინატიფე.

# მოვიგეთ

სუსანტიკა ჯაიასინგჰე კაი სწრაფი სპრინტერია მსოფლიო მასშტაბით. სიდნეის ოლიმპიადაზე მან ბრინჯაოს მედალი მოიგო. ლანკელთა მთავარი სამძლეოსნო იმედი ახლაც მოგებულია. ინდოეთის ქალაქ ჰაიდარაბადში მიმდინარე შეჯიბრში აზიის სამძლეოსნო დიდ პრიზზე სუსანტიკამ თავისი ასი მეტრი მოიგო.



REUTERS ჰაიდარაბადიდან


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ პოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქროპირიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჩიანია, გიორგი ვაშაკიძე, კახა ჩაჩიაშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ვირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კუთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგეშვილი, ირინა გოგოლაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, მერაბ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, მალხაზ ჭუმბურიძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge